დამოუკიდებელი და ზეპარტიული
# ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2023 წლის
25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი
N 42 1506
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



„შევარდნაძე არის კაცი, რომელიც მოგიკლავს შვილს, მერე მოვა ოჯახში პანაშვიდზე, მოგისამძიმრებს და გვერდში დაგიდგება!“

## „კარგად დააკვირდით ქართველ პოლიტიკოსებს და მიხვდებით,

21-23

რატომ დახვრიტეს ჭიული შარტავა, ჯუმბერ ბეთაშვილი, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია!“







## „შევარდნაძე შეეცადა, გამსახურდია მხოლოდ სამეგრელოსა და მეგრელების პრეზიდენტად წარმოეჩინა!“

20



„ვინ შემიყვანა სამეგრელოში? ვინ მაჟლეტინა მეგრელები? მე რა, ჩემი სურვილით შევედი იქ?“



„მე რეჟიმის წინააღმდეგ სიცოცხლე გავწირე და არ მესმის, რატომ უნდა ვისჯებოდე „ქართული ოცნების“ მხრიდან ასე დაუნდობლად!“

4

5



## დავით გაიხარაშვილი:

3

## ბატონო რატი ბრეგაძევ, მიპასუხეთ – რა მიზეზით მსჯის ჩემი სახელმწიფო?

## დაუყოვნებლივ!

უახლოეს ხანში სააკაშვილის ციხეში არდაბრუნება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის პენიტენციური სისტემისა და მთლიანად სახელმწიფოს სტაბილურობას!

2





## ლოგინში გადატრიალდით!

## საქართველოში იგეგმება სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება!

8

## შესეირნება ყარაბაღში




14

## აკაკი მიქაძე:

კრემლი, თავის მხრივ, გვაფრთხილებს, რომ არ დაუშვებს ხელისუფლების გადაბარებას დასავლეთის რეზიდენტებისათვის!

10-11



# დაუყოვნებლივ!

***2023 წლის 20 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ.***

მსჯავრდებული სააკაშვილი სასამართლო სხდომაში დისტანციურად ჩაერთო კლინიკა „ვივამედის“ ვრცელი და კომფორტული პალატიდან, სადაც მისი ყოფნა უკვე ყოველგვარი ლოგიკისა და მიზანშეწონილობის ფარგლებს სცდება!

**ვნახეთ, რომ ნაცბელადს წონაში მოუმატია და ჯიუტი უჭმელობით ჩაცვენილი ლოყები ისევ ამოვსებია!**

**ალბათ, სააკაშვილის მოსუქებასა და მოფერიანებას უნდა ვუმადლოდეთ იმასაც, რომ ბიულის მხოლოდშობილმა ძემ ამჯერად საჯარო სტრიპტიზი აღარ მოაწყო, ანუ მაისური აღარ გაიხადა და საზოგადოების წინაშე საკუთარი სიგამხდრის დემონსტრირება აღარ მოახდინა!**

მაისური კი უკრაინის სიმბოლიკიანი ეცვა, ცხადია, იმის ხაზგასასმელად, რომ **უკრაინის მოქალაქე და უკრაინელი პოლიტიკოსია!**

თქვა კიდეც — **მე ვარ უკრაინის ამაყი მოქალაქეო!**

ლაპარაკსა და ჟესტიკულაციაზეც ეტყობოდა, რომ უწინდელთან შედარებით უფრო ენერგიული და მხნეა!

მოკლედ რომ მოვჭრათ, **უკვე თავად სააკაშვილიც აღარ ერიდება იმის ვიზუალიზაციას, რომ მისი დემენცია და კიდევ 33 დიაგნოზი, რომელთა გამოც საკუთარი ოჯახის წევრები, მხარდამჭერები, ადვოკატები და დაქირავებული ექიმები გარდუვალ სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ, სინამდვილეში ბლეფი და მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი იყო!**

ჰოდა, რაღა საჭიროა, თვალში საცემად მოკეთებული და მოღონიერებული სააკაშვილი კერძო კლინიკაში კოტრიალებდეს, როცა **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** შეუძლია, აუცილებელი სამედიცინო სერვისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც მიაწოდოს?

**რა აუცილებლობით არის ნაკარნახევი, სასჯელის მოხდას ციხის მაგივრად საავადმყოფოში აგრძელებდეს პატიმარი, რომელიც უკვე მოჩვენებითადაც აღარ კვდება და ისეთ ჰონორზეა მოსული, რომ საკუთარ მომხრეებს საჯარო ინსტრუქციებს აძლევს, როგორ დაამხონ ხელისუფლება ქუჩის პროტესტის გზით?**

პირდაპირ უნდა ითქვას და, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მესვეურთა საყურადღებოდ: **ყოველი წამი და წუთი, რომელსაც სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში“ გაატარებს,** ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებას ნიშნავს!



## იუსტიციის სამინისტროსა და პენიტენციური სამსახურის მესვეურთა საყურადღებოდ:

**ყოველი წამი და წუთი, რომელსაც სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში“ გაატარებს, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებას ნიშნავს!**

**ყოველი დღე, რომელსაც უკვე მომჯობინებული და ფერხორციანი სააკაშვილი კლინიკის ლუქს-პალატაში დაჰყოფს, სულში ჩაფურთხება იქნება ქართულ ციხეებში მყოფი თითოეული პატიმრისათვის!**

**ყოველი დღე, რომელსაც უკვე მომჯობინებული და ფერხორციანი სააკაშვილი კლინიკის ლუქს-პალატაში დაჰყოფს,** სულში ჩაფურთხება იქნება ქართულ ციხეებში მყოფი თითოეული პატიმრისათვის!

უფრო მეტიც, **უახლოეს ხანში სააკაშვილის ციხეში არდაბრუნებამ, შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას პენიტენციური სისტემისა და მთლიანად სახელმწიფოს სტაბილურობას,** რადგან გამორიცხული არ არის, პატიმრებს მსჯავრდებული ნაცბელადის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, ბოლოს და ბოლოს, ყელში ამოუვიდეთ და აბუნტდნენ!

ასე რომ, **მსჯავრდებული სააკაშვილი დაუყოვნებლივ და გადაუდებლად უნდა დააბრუნონ ციხეში!**

**მსჯავრდებული სააკაშვილი დაუყოვნებლივ და გადაუდებლად უნდა ჩააყენონ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც დანარჩენი პატიმრები იმყოფებიან!**

**სააკაშვილზე მძიმე და საშიში დამნაშავე კი ქართულ ციხეებში ბევრი ნამდვილად არ იჯდება, თუ საერთოდ**

# გადაუდებლად!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



საქართველოში **ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკაა,** ბოლო 2 წელი **ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა,** წლეულს კი **7.2 პროცენტი** დაფიქსირდა.

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ივანიშვილის** ყველაზე დიდი ქველმოქმედება იყო, როდესაც **სისხლიანი რეჟიმი გაუშვა იქ, სადაც გასაშვები იყო.** რაც შეეხება ბინძურ პროპაგანდას, **ხდება თანხების გადახდა, რომ ევროპარლამენტმა მიიღოს ბინძური რეზოლუციები.** ეს ევროპა არ არის, მეგობრებო!

ცეცხლს ეთამაშებით, **არავის მიეცემა შესაძლებლობა, ქვეყანაში შემოიტანონ არეულობა,** დაპირისპირება და სცადონ ხელისუფლების დამხობა!

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ქვეყანაში **გენერალური პროკურორი „ეფესბეს“ თუ „კაგებეს“ აგენტი ყოფილა** — მოვითხოვ, საზოგადოებას პასუხი გაეცეს დეტალური გამოძიებით!

ვნანობ **ნათია თურნავას** წარდგენას, რომელმაც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა ვერ დაიცვა, **იგი უნდა გადადგეს!**

„ინტერპრესნიუსი“

**ნათია თურნავა**
*ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი*



**ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული ინსტიტუცია,** ვასრულებთ და პატივს ვცემთ ყველა საერთაშორისო ვალდებულებას, მაგრამ **ჩვენს ქმედებებში ვხელმძღვანელობთ და ამოვდივართ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით.** საქართველო და მისი საფინანსო სისტემა **არასდროს იქცევა სანქციებისგან თავის არიდების ადგილად.** ჩვენ საკმაოდ ძლიერი მონიტორინგის სისტემა გვაქვს დაწესებული და **საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან არაერთი დადებითი შეფასება მიგვიღია** ამასთან დაკავშირებით ჩვენც, ჩვენს საბანკო სისტემას. კვლავაც ერთგული ვრჩებით საერთაშორისო ვალდებულებების.

„საქართველოს რესპუბლიკა“

## სამართლიანობის სახელით!

### უახლოეს ხანში სააკაშვილის ციხეში არდაბრუნება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის პენიტენციური სისტემისა და მთლიანად სახელმწიფოს სტაბილურობას!

**ზის!** რაც შეეხება 20 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ნაცბელადის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ისინი, როგორც ყოველთვის, პოლიტიკური დემაგოგიის სფეროდან იყო და არავითარი შეხება არ ჰქონდა სისხლის სამართლის საქმესთან, რომლის ფარგლებშიც სააკაშვილი ბრალდებულად არის ცნობილი.

**ან კი რა უნდა ილაპარაკოს მან 7 ნოემბრის საქმეზე, როცა პროკურატურას სასამართლოში უამრავი უტყუარი მტკიცებულება და მოწმეთა ჩვენებები აქვს წარდგენილი იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი საპროტესტო აქციის სასტიკი ჩახშობა, მათ შორის, ხალხის დასარბევად ჯარის ნაწილების გამოყვანა, პრეზიდენტ სააკაშვილის უშუალო დავალებითა და ბრძანებით მოხდა!**

ამიტომაც სააკაშვილმა ისევ ძველი ფირფიტა დაატრიალა — **პუტინის დავალებით მსჯიან და მკლავენო; ქართული სახელმწიფოს შემქმნელი და ქვეყნის აღმშენებელი რომ ვარ, ამას არ მპატიობენო; კანდიდატის სტატუსს თუ არ მოგვცემენ, მთავრობა უნდა გადავაყენოთ და ახალი არჩევნები ეროვნული თანხმობის მთავრობის პირობებში ჩავატაროთო...**

მოყოჩაღებულმა და ციხის საკნის მაგივრად კლინიკის ლუქს-პალატაში განცხრომით გაყოყოჩებულმა ნაცბელადმა ბოლოს **ბიძინა ივანიშვილსაც** მიმართა — **დროა, ოპოზიციასთან მოლაპარაკებები დაიწყო ხელისუფლების მშვიდობიან გადაბარებაზეო!**

ე.ი. **ბიძინა ივანიშვილი** მაგიდას უნდა მიუჯდეს დოქსოპულო ხაბეიშვილთან, ლიაკა რუბლოვნა ხოშტარიასთან, შარვალჩახდილ გირჩი ჯაფარიძესთან, თავგასიებულ ჭიჭე ვაშაძესთან ერთად და შეუთანხმდეს, თუ როგორ გადააბარებს ძალაუფლებას მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ!

**აი, ასეთი წვეტიანი აზრების გადმოსაფრქვევად იყენებს სასამართლო სხდომებზე დისტანციურ ჩართვას გიულის ბიჭი, რომელიც, მართალია, არ კვდება, მაგრამ დიდი ხანია, საქართველოში მაოხრებელი მკვდრის ფუნქციას ასრულებს!**

#### ბოლოთქმა

სააკაშვილი სასამართლო სხდომაზე დისტანციურად სანამ ჩაერთვებოდა, მანამდე „ფეისბუქში“ დაწერა — **ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები სწორედ იმ ოთარ ფარცხალაძემ აღძრა, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის აგენტობაში ამხელსო!**

სინამდვილეში, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები **ფარცხალაძის** გენპროკურორობის დროს არ აღძრულა!

**ფარცხალაძე, რომელიც ამერიკის სახდეპმა ქართველ-რუს ოლიგარქად და „ფეესბეს“ აგენტად შერაცხა, საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობას 2013 წლის 7 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე, სულ რაღაც, თვენახევრის განმავლობაში იკავებდა, სააკაშვილს კი პირველი ბრალდება 2014 წლის 28 ივლისს წაუყენეს!**

ასე რომ, ნაცბელადი აქაც ცრუობს!

**მართალია, სააკაშვილი გრძელია, მაგრამ მის ტყუილებსაც მოკლე ფეხები აქვს!**

*ჯაბა ხუბუა*



## ალბათ, მინისტრისათვის უცნობია!



დავით გაიხარაშვილი:

### „მე რეჟიმის წინააღმდეგ სიცოცხლე გავწირე და არ მესმის, რატომ უნდა ვისჯებოდე „ქართული ოცნების“ მხრიდან ასე დაუნდობლად!“



# ბატონო რატი ბრეგაძევ, მიპასუხეთ — რა მიზეზით მსჯის ჩემი სახელმწიფო?

*დასაწყისი იხ. „ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №41*

***დავით გაიხარაშვილის ტრაგედია გრძელდება! ნაცების მიერ ულვთოდ ნაწამებ კაცს, რომელსაც ციხის ბუნტის დროს ძვლები, პირდაპირი მნიშვნელობით, დაუმსხვრიეს და სამუდამოდ დააინვალიდეს, უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული თანამედროვე პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი, ვინმე ეთერ შენგელია აწამებს, რომელიც ამ უწყებაში სააკაშვილის რეჟიმის დროიდან შემორჩა.***

*გაიხარაშვილი სახელმწიფოსგან ჯანმრთელობის ზიანის შესაბამის კომპენსაციას ითხოვდა, მაგრამ ახლახან* ***სასტიკად დასცინეს****: სასამართლომ მისი კომპენსაცია 10 ათასი ლარით განსაზღვრა, მას შემდეგ, რაც* ***იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ეთერ შენგელიამ*** *სხდომაზე ფალსიფიცირებული და ცრუ არგუმენტები ჩამოაყალიბა!*

***„— შეიძლება, ეს ამბავი იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ჯერაც არ იცის. ამიტომ, ნება მომეცით, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან პირადად მინისტრს შევახსენო ჩემი ტანჯვის შესახებ. ვინძლო, მინისტრი დაინტერესდეს, რას სჩადის მისი ზოგიერთი თანამშრომელი, იზრუნოს მათი განუკითხაობის ასალაგმად, რაც საფუძველი გახდება, რომ მე სიცოცხლე შევინარჩუნო და სამშობლოში დავბრუნდე!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სააკაშვილის რეჟიმის დროს სასტიკად ნაწამებმა პატიმარმა, გერმანიის ხელისუფლების მიერ წამების მსხვერპლად აღიარებულმა დავით გაიხარაშვილმა:***

— **ეთერ შენგელია** ახალაიების მარჯვენა ხელია. სააკაშვილის რეჟიმის დროს სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობდა და ამ უწყების ეგიდით სასამართლოებზე ცხადდებოდა. **მას დავალებული ჰქონდა, შეეთითხნა და სხდომებზე ჩამოეყალიბებინა კონტრარგუმენტები ნაწამები, მომაკვდავი პატიმრების მიერ წარდგენილ სარჩელებზე, რომლებიც ჯანმრთელობის გამო სასჯელის გადავადებას ითხოვდნენ**. მოგეხსენებათ, პატიმრის აქტირებას (მძიმე ჯანმრთელობის გამო სასჯელის გამოჯანმრთელებამდე გადავადება ან მომაკვდავი პატიმრის გათავისუფლება) კანონი სააკაშვილის რეჟიმის დროსაც ითვალისწინებდა, თუმცა, ეს კანონი, ფაქტობრივად, არ მუშაობდა. **ციხის ჯალათებს არ აწყობდათ, რომ წამების ფაქტები და შედეგები გახმაურებულიყო ან სულაც პატიმარი ციხეში მომკვდარიყო და სიკვდილიანობის სტატისტიკა გაზრდილიყო.** ამიტომ სიცოცხლის მიწურულამდე ტოვებდნენ ნაწამებ პატიმრებს ციხეში და აქტირებით მხოლოდ იმ მომენტში ათავისუფლებდნენ, როცა დალეწილებს მხოლოდ რამდენიმე საათის, უკიდურეს შემთხვევაში კი, რამდენიმე დღის სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი.

იმ პერიოდში **ეთერ შენგელია** სასამართლო სხდომებზე სასჯელაღსრულების მხარეს წარმოადგენდა და ყალბი კონტრარგუმენტებით მოსამართლეებს უსაბუთებდა, რომ კონკრეტული პატიმარი გათავისუფლებას არ ექვემდებარებოდა! ასეთი დამოკიდებულების გამო უამრავი პატიმარი დაიღუპა, მაგრამ **ეთერ შენგელიას და მისი მსგავსი ჯალათი ჩინოვნიკების ხელშეწყობით** სტატისტიკაში გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობა არ აისახა.

**წარმოიდგინეთ პატიმრის მდგომარეობა, რომელმაც იცის, რომ**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## მოკლედ და კონკრეტულად!

### ელვა-დეპეშა იუსტიციის მინისტრს

***„— დღეში ორჯერ ვნახულობ ჩემს შვილს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, საბრძოლო განწყობა აქვს. გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკურ პროცესში ჩაერთვება!“ — ბრძანა ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ, რამაც მიბიძგა, იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძისათვის ელვა-დეპეშა გამეგზავნა:***

| |
|---|
| ბატონო რატი **წრტ** ახალი ხელისუფლების ხელში პატიმრები ნაცრეჟიმთან |
| შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან **მძ** მაგრამ თქვენი უწყება გამორჩეულ |
| პატივს სცემს სააკაშვილს **მძ** რომელიც დედას დღეში ორჯერ ხვდება **წრტ** |
| როგორც უფლებადამცველი **მძ** გთხოვთ **მძ** სხვა პატიმრებიც დღეში ორჯერ |
| შეახვედროთ მშობელს **წრტ** პატივისცემით ზაზა დავითაია **წრტ** |

ალბათ, მინისტრისათვის უცნობია!

# წამების მსხვერპლი სამართალს

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**მალე დაიღუპება და ოჯახში სიკვდილს ითხოვს... თუმცა, სასამართლო ეთერ შენგელიას „არგუმენტებს“ ითვალისწინებს და სასიკვდილოდ განწირული პატიმარი ოჯახში იქამდე არ გადაჰყავთ, ვიდრე გრძნობას არ დაკარგავს!**

**— თქვენ წინაშე რა ჩაიდინა ამ ქალბატონმა?**

— **იუსტიციის სამინისტროს** სწორედ ჯალათი **ეთერ შენგელია** მომივლინა სასამართლოზე, რომელზეც რეჟიმის მიერ ჩემი ჯანმრთელობის დაზიანების გამო კომპენსაციას და ჩემი მწამებლების დასჯას ვითხოვდი.

**ნუთუ იუსტიციის სამინისტროში იურისტები დაილია?! მე დღემდე წამების ქვეშ მყოფად ვითვლები, ვიდრე ჩემი კანონიერი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება!**

ოთხიოდე თვის წინ სასამართლო დასრულდა დამცინავი განაჩენით — **კომპენსაციად 10 ათასი ლარი განმისაზღვრეს, არადა, გერმანიის ხელისუფლებას მარტო მედიკამენტებით ჩემი უზრუნველყოფა ყოველთვიურად 9 ათას ევრომდე უჯდება!** სასამართლო სხდომებზე **ეთერ შენგელია** ავითარებდა პოზიციას, რომ კომპენსაცია საერთოდ არ მეკუთვნის, რადგან ახალაიას დროინდელ **სასჯელაღსრულების დეპარტამენტს** არც ძვლები დაულეწია ჩემთვის, არც ვუცემივარ და, საერთოდ, თურმე, ციხის ბუნტის დროს მე იქ არ ვყოფილვარ! **მაშ, საიდან მივიღე უმძიმესი ტრავმები? მაშ, რატომ მაღიარა გერმანიამ წამების მსხვერპლად? რა ვუყო აუარებელ დოკუმენტაციას, რომელიც გამაჩნია? რა ვიღონო ამ ფულით? ერთი კვირის სამყოფი მედიკამენტები შევიძინო თუ საქართველოში გამოვემგზავრო, სადაც, ღია ცის ქვეშ უწამლოდ, უჭეროდ და უსახსროდ დარჩენილს, გარდაუვალი სიკვდილი მელის?!**

**— ვხედავ, ახალი ხელისუფლების იმედი გადაგეწურათ...**

— ხალხის სახელით მოვიდა ახალი ხელისუფლება, მაგრამ ხალხის მაგივრად, გვერდით ნაცზონდერები, ჯალათები მოისვა და კოჰაბიტაცია გააჩაღა. სასჯელაღსრულება, იუსტიცია, ძალოვნები, სასამართლო — მაღალ თანამდებობებზე ყველგან ისევ ნაცები იკავებენ პოზიციებს. მე რეჟიმის წინააღმდეგ სიცოცხლე გავწირე და არ მესმის, რატომ უნდა ვისჯებოდე „ქართული ოცნების“ მხრიდან ასე დაუნდობლად, მაშინ, როცა ჩემი მოქალაქეობრივი ვალიც ბოლომდე მოვიხადე და სიცოცხლის რისკით, **ისედაც მძიმედ დაინვალიდებულმა, სასამართლოს ჯალათების წინააღმდეგ ჩვენებები მივეცი...**

სწორედ ჩემი ჩვენებების საფუძველზე მოახდევინა ამ ხელისუფლებამ ისედაც ფორმალური სასჯელები ყველაზე თვალსაჩინო ჯალათებს! რატომ ვერ უნდა ვახერხებდე მონატრებულ სამშობლოში დაბრუნებას, დედისა და ძმების საფლავებზე სანთლების დანთებას, რომლებიც, თავის მხრივ, ამ უსამართლობას შეეწირნენ?!

**რატომ არ აღიარებს საქართველო გერმანიის ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტების დასკვნას, რომ მე წამების მსხვერპლი ვარ?! რატომ არ ითვალისწინებს სასამართლო ევროკავშირის წევრი ქვეყნის, გერმანიის გაცემულ სამედიცინო დასკვნას, რომელსაც ოცამდე გერმანელი პროფესორი აწერს ხელს?!**

**— შეახსენეთ მკითხველს, რა დაზიანებები მიიღეთ რეჟიმისდროინდელ ციხეში?**

— გადამიმტვრიეს მარცხენა მუხლი, ჩამიმსხვრიეს მენჯ-ბარძაყის სახსარი, მქონდა ხერხემლის დისკების მრავალრიცხოვანი მოტეხილობები, კისრის ფუძე ორ ადგილზე მქონდა მოტეხილი, თავი მქონდა გახეთქილი და მარჯვენა ხელზე — მყესები დაწყვეტილი. ქვედა კიდურებში ძვლების ნაცვლად, ლითონის ღერები მაქვს ჩადგმული და მენჯის ძვლები — ლითონის ქანჩებით არის აწყობილ-შეკოწიწებული. ამას გარდა, სხეულში მრავლად მაქვს დარჩენილი ძვლების მცირე ნამსხვრევები, რომლებიც კუნთებში არის ჩახორცებული და მათი სრულად ამოღება, უბრალოდ, შეუძლებელია!

**— ეს ყველაფერი ციხის ბუნტის დროს დაგმართეს?**

— **ციხის ბუნტის დროს დალეწვა არ მაკმარეს, რუსთავის მე-6 ციხეშიც 3 თვის განმავლობაში უმოწყალოდ მცემდნენ, მოსაკლავად ვიყავი გამეტებული და გადადებული!** ამის პარალელურად, დედაჩემს **ქეთევან ბიბაურს** აიძულეს სახლ-კარის გაყიდვა, რადგან ყოველდღე აკით-





**„ნუთუ იუსტიციის სამინისტროში იურისტები დაილია?! მე დღემდე წამების ქვეშ მყოფად ვითვლები, ვიდრე ჩემი კანონიერი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება!“**

**„სასამართლო სხდომებზე ეთერ შენგელია ავითარებდა პოზიციას, რომ კომპენსაცია საერთოდ არ მეკუთვნის, რადგან ახალაიას დროინდელ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს არც ძვლები დაულეწია ჩემთვის, არც ვუცემივარ და, საერთოდ, თურმე, ციხის ბუნტის დროს მე იქ არ ვყოფილვარ! მაშ, საიდან მივიღე უმძიმესი ტრავმები? მაშ, რატომ მაღიარა გერმანიამ წამების მსხვერპლად?“**

ეთერ შენგელია





**„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №41**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ერთ-ერთი რადიკალური პარტიის ლიდერი **ზურა ჯაფარიძე** პირდაპირ ამბობდა — **წლის ბოლოს ვერ მიიღებენ კანდიდატის სტატუსს და ეს უნდა გამოვიყენოთ რევოლუციისთვისო.** იციან, რომ განწირული არიან შემდეგ არჩევნებშიც. **რვა არჩევნები წააგეს, მეცხრესაც აუცილებლად წააგებენ.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



დავივიწყოთ ტერმინი **„პიჯაკების საქმე“. სააკაშვილმა** 2012 წელს რომ ჩაყვინთა სახელმწიფო ბიუჯეტში, დღემდე ფანტომური ტკივილი აქვს იმ ფულზე და „გულაობაზე“, **რაზეც წავიდა მილიონები და ამაზე უნდა აგოს პასუხი, არანაირ პიჯაკებზე!**

„იმედინიუსი“

**ოთარ ფარცხალაძე**
*საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი*



ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ **უკვე 10 წელია, არათუ საჯარო სამსახურში თანამდებობას არ ვიკავებ, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტებთან არანაირი კავშირი არ მაქვს.** მიუხედავად ამისა, ნაციონალურ მოძრაობასა და მის პროპაგანდისტულ მედიას **ჩემ წინააღმდეგ ტალახის სროლა და მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობები** მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი წამითაც არ შეუწყვეტია. **ჩემ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები კონკრეტული ადამიანების ინსპირირებულია** და ამ ათწლიანი დისკრედიტაციის კამპანიის დაგვირგვინებაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ითხოვს!!!

ხავდნენ ჯალათები და მოითხოვდნენ ეღიარებინა, რომ მე და ჩემს უკვე გარდაცვლილ ძმებს სადღაც იარაღი გვქონდა გადამალული. ერთადერთი შვილი შევრჩი სამიდან და, მეც სიკვდილის პირზე ვიყავი, მკურნალობა მესაჭიროებოდა. სახლ-კარი ამ მდგომარეობას შეეწირა. **მანამდე დედაჩემიც სასტიკად აწამეს — შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიღაც არაკაცებმა ფრჩხილები დააძვრეს!** ამის მიუხედავად, წუთით არ დაუყრია ფარ-ხმალი, პირიქით, პატიმართა დედების მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, **სწორედ მან გამოიტანა ფარულად ციხის ბუნტის დროს დახოცილი და სასიკვდილოდ გადადებული პატიმრების სიები და ამის ამსახველი ვიდეოკადრები დღემდე ტრიალებს ინტერნეტში.**

**— მიკვირს, რანაირად გადარჩით, აქამდე როგორ მოაღწიეთ?**

— ცოცხალი რომ გადავრჩი, დედაჩემის დამსახურებად და უფლის სასწაულად მიმაჩნია! „ქართული ოცნება“ უკვე ხელისუფლებაში იყო მოსული, როცა ლესელიძის ქუჩაზე ნაქირავებ სარდაფს შევაფარეთ თავი. კომუნალურ ხარჯებს და ქირას კეთილი ადამიანები გვისტუმრებდნენ, მაგრამ დიდი დავალიანება დაგვიგროვდა. **ველოდი, რომ ახალი ხელისუფლება მოგვხედავდა, მაგრამ დროის მსვლელობა ჩემს აღსასრულს აახლოვებდა.** უკვე გამოსავალი აღარ ჩანდა, როცა თავადაც ყოფილმა პოლიტპატიმარმა **ცოტნე გამსახურდიამ** ითავა ჩვენთვის გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთების ფულის საზოგადოებაში შეგროვება, ნაწილი ნათესავებმა და მეგობრებმა გაიღეს. ასე აღმოვჩნდი გერმანიაში.

**გერმანიამ მომცა ყველაფერი, რასაც ჩემი სახელმწიფოსგან ამაოდ ველოდი — მაღიარა წამების მსხვერპლად, ჩამიტარეს რამდენიმე ურთულესი ოპერაცია** (კიდევ რამდენიმე მჭირდება), **მომცეს ჭერი და გამომიყვეს არსებობისთვის საჭირო თანხები.** ამასობაში დედაჩემი ამდენ ნერვიულობაში უკურნებელ სენს გადაჰყვა. სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე ამაოდ იხვეწებოდა, სამშობლოში ჩამიყვანეთ და შვილების საფლავებზე სანთელი დამანთებინეთო. დიდი მადლობა კეთილ ადამიანებს — **კახი კახიშვილს, ირმა ინაშვილს,** რომელთა დახმარებით დედის ცხედარი საქართველოში გადასვენდა და ქართულ მიწას მიებარა... **დიდი მადლობა „ასავალ-დასავალის“ რედაქტორს ლაშა ნადარეიშვილს,** რომელიც მუდამ მაძლევს საშუალებას, ჩემი ტრაგედია საზოგადოებას პერიოდულად შევახსენო!

**— ახლა რას აპირებთ?**

— ჩემი ერთადერთი მიზანი სამშობლოში დაბრუნებაა! მაგრამ, რანაირად? რომ ჩამოვიდე, სად ვიცხოვრო? რა შემოსავლით ვიცხოვრო სამუდამოდ მძიმე ინვალიდმა? ან გერმანია რომ დავტოვო, მედიკამენტების საყიდელ თანხას ვინ მომცემს? **დღემდე მოთმინებით ველოდები, რომ საქართველოს ხელისუფლება გონს მოეგება და სახელმწიფოსგან დაზარალებულ საკუთარ მოქალაქეს კანონიერი და შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფს.** მინდა, ვისარგებლო მომენტით და იუსტიციის მინისტრს მივმართო: ბატონო მინისტრო! **თუ ჩემ შესახებ ინფორმაციას არ ფლობდით, ამ პუბლიკაციის წაკითხვისთანავე იზრუნეთ, რათა სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი ჯალათები თქვენი უწყებიდან დაითხოვოთ!** ნუ დააჩაგვრინებთ ჩემს თავს თქვენს სისტემაში შემორჩენილ **ეთერ შენგელიებს!** დამეხმარეთ, რათა მივიღო იმ ოდენობით კომპენსაცია, რომ სამშობლოში დაბრუნება და სიცოცხლის შენარჩუნება შევძლო! გერმანიის მადლობელი ვარ, მაგრამ, უპირველესად, ჩემი სახელმწიფოა ვალდებული, მის მოქალაქეს მომხედოს! **ბატონო რატი ბრეგაძევ,** გთხოვთ, ნუ დამაიგნორებთ, მიპასუხეთ — რა მიზეზით მსჯის საკუთარი სახელმწიფო და სიცოცხლის დასრულებამდე მომეცემა თუ არა სამშობლოში დაბრუნების საშუალება?

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

***გაგრძელება იქნება***

„დიდი მადლობა კეთილ ადამიანებს:
**კახი კახიშვილს, ირმა ინაშვილს,**
რომელთა დახმარებით დედის ცხედარი საქართველოში გადასვენდა და ქართულ მიწას მიებარა...
დიდი მადლობა „ასავალ-დასავალის“ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს,**
რომელიც მუდამ მაძლევს საშუალებას, ჩემი ტრაგედია საზოგადოებას პერიოდულად შევახსენო! “



## *დავით გაიხარაშვილი:*

# ბატონო რატი ბრეგაძევ, ნუ დააჩაგვრინებთ ჩემს თავს თქვენს სისტემაში შემორჩენილ ეთერ შენგელიებს!






# სალომე თუ ნანობს, თურნავა თურნავობს!

**სალომე ზოურაბიშვილი** (ეგრე უწერია თავისი გვარი ფეისბუქგვერდზე) **ნანობს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ნათია თურნავას კანდიდატურა წარადგინა!** არამარტო ნანობს, კბილებსაც აღრჭიალებს, სახლში ჯამ-ჭურჭელი აღარ დატოვა და ეზოში — „ტაბურეტკა“.

**ავი ენები ამბობენ, როცა გაბრაზებულზე ყლურწამს, ეგრე იცისო.**

დღეს თურნავას უნდა შევხვედროდი, მაგრამ არ მოვიდაო, შეხვედრა გადადოო. რო მოსულიყო, პირში მივახლიდი ყველაფერს, რასაც მაგაზე ვფიქრობ, ჩაისაც არ დავალევინებდი, ისე გავაძევებდი აქედანო... იმიტომ, რომე, ეგ **კობახიძის** ბრძანებას დაემორჩილა და პლურალიზმის პრინციპები უარყოო.



ჰმ... **სალომე ზოურაბიშვილმა** ორჯერ თუ სამჯერ დასძინა — **ვნანობ,** ძალიან **ვნანობ** და უნდა გადადგესო.

☺

**სხვათაშორის, მეც ვნანობ, ორი კვირა სიღნაღში რო ვიარე აღმართ-დაღმართ და ხალხს ვეხვეწებოდი, სალომე ბაბო აირჩიეთ-მეთქი.**



ჰოდა, ამ **თურნავასაც** მოვუწოდებ, ფეხი არ მაიცვალოს ადგილიდან, ნახოს ერთი, როგორია იმედგაცრუება და სინანული!



# ეს მალე მოდუღთან „სწენკასაც“ მიიტანს!

მეტი რა საქმე აქვს? **თქვენგან მარცხნივ რო მოსუფთავებული ადგილი ჩანს, მანდ „ქუხნას“ ჩადგამს. მარჯვნივ რო ზოლად ტროტუარი ჩადის, მანდ საკუჭნაოსააშენებს და გოგიას დააბინავებს, მოხუცდა, კიბეზე ადი-ჩადი აღარ შეუძლია.**

შუაზე დახაზული ტერიტორია როა, საპარკინგედ გამზადებული, მაგას წაშლის და „სპალნებს“ გააკეთებს, შვიდიოდე მაინც გამოვა, რუსებზე გააქირავებს, ფულს გადმოქაჩავს, რო პუწინმა ტანკები არ ააწყოს და უკრაინელებს არ გადაუაროს. ფაქტობრივად, **ჰელენ ხოშტარია** გმირია, რა ფულსაც ეგ ზიდავს რუსეთიდან, **კობა ნაყოფიაც** კი ვერ დაიკვეხნის.

აი, ცოტა ქვემოთ „მანქნები“ რომ აყენია, მანდ **გასიევი** ჩასახლდება, იგივენაირი პროექტის ფარგლებში. მეზობლები იქნებიან, ეს გადასძახებს, აუუუუუუოოო, ის ამოვა... ის გამოსძახებს, იუოოოოოოო, ეს ჩავა და აეგრე, რააა, გავა კიდევაც ცხოვრება დამკაში.

☺

ახლა მთავარია, სანამ **ჰელენ ხოშტარია** მარცხნივ **„სწენკას“ დადგამს,** დივანი არ დაუფრთხეს და მოუსავლეთისკენ არ გააჭენოს. ეგე, **სალო ბაბოს** დაუფრთხა ამას წინებზე და რომელ განედზე დააჭენებს, ვეღარ გაუგია!

***გაგრძელება მე-6 გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**ნინო ჯღარკავა**
*ჟურნალისტი*



წელს მსოფლიო გინესის წიგნში წითელი ასოებით უნდა შევიდეს **მიხუნხულ გიულიჩ სააკაშვილი,** რომელმაც მსოფლიო სამედიცინო კონსილიუმების მიერ აღმოჩენილი **116 დაავადება დაამარცხა**, მათ შორის, **დემენცია, ანორექსია, ტვინის გალაყება, ქანაობა, დორბლიანობა, ეპილეფსია, ფეკალიების ლეჭვა, ჭირი და დოზანა.** ნობელის პრემია ეკუთვნის **კლინიკა „ვივამედს“ და მის მედპერსონალს.** ვაშა, მეგობრებო, ახალი მესია კვლავ ჯანმრთელია!

„ფეისბუქი“

**კონსტანტინე ზარნაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



ნაცმოძრაობის წევრი **ჩვენ გვადანაშაულებს წამლისა და იარაღის ჩადებაში, ხალხის დაჭერასა და წამებაში**, როდესაც სხდომათა დარბაზში დღესაც უზით ფრაქციის წევრი, რომელსაც **აღიარებული აქვს წამებაც, იარაღის ჩადებაც.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურისა და სპორტის მინისტრი*



დესტრუქციულ ოპოზიციას **დარბაზში არ ჰყავდა კაცები, ჰყავდა ოთხი ნერვებაშლილი ქალი და არმაზ ახვლედიანი.** ეს არის მათი დიაგნოზი.

„ახალი თაობა“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ნაციონალურ მოძრაობას **წარსულიც სისხლიანი აქვს** და, სამწუხაროდ, **მომავლის გეგმებიც სისხლიანი აქვს!**

„პირველი არხი“

**ეკა ბესელია**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სააკაშვილის** ოჯახი აფინანსებდა ლობისტებს იმისათვის, რომ მათ **ეზრუნათ საქართველოს, როგორც ქვეყნის სანქცირებაზე,** ამაზე მეტი ღალატი რაღა გინდა!

„აიპრესი“

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



დასაწყისი მე-5 გვერდზე

# კუტუზოვის ორდენიც ეკუთვნის!





**ჭიჭიკო** ზუსტად ისე უნდა გაიჭინთოს, როგორც მისი ბელადი იჭინთებოდა და პერიოდულად კიდე იჭინთება ხოლმე.

მა რაააა, ჭინთვების, კბენა-ღრენის, ლევა-წევისა და მტვრევის გარეშე რევოლუცია არ ხდება.

ისე, როგორ უნდა ამას, რომ იმას დაემსგავსოს. ჰგავს კიდევაც, განა არა ჰგავს? აბა, შეხედეთ სურათებს, ორივეს ყინულზე წაქცეული სახედარივით დაუკრეჭნია კბილები.

**მერე იტყვით, გმირები არ არიანო!**

**მთელ ცხოვრებას ჭინთვებსა და კრეჭვებში რომ გაატარებ, გმირი ხარ და კუტუზოვის ორდენიც გეკუთვნის!**



# გულს ვერაფერი მოუხერხა!

რაკი **მიშიკომ ეკაკო სოფიკოთი ჩაანაცვლა,** თქვენ გგონიათ, **ეკაკოს** შეხედულებები შეიცვალა?! მაგისი მარცხენა, ანუ **გულის მხარე** ისევ იგეთი თეთრი და სპეტაკი დარჩა, როგორიც მანამდე იყო... აი, მარჯვენა მხარეს კი „კასტუმი“ თავისთავად გაშავდა!

**ეკაკოს** არც კი უფიქრია მაგაზე, უბრალოდ „კასტუმმა“ განიცადა, როცა **მიშიკომ ეკაკოს სოფიკო არჩია.** ეგეთ რამეს არც ელოდა, როგორც ჩანს, ამაშიც ღვთის ხელი ურევია.

☺

**ეკაკო** ერთ ხანობას დადუმდა, მაგრამ მერე გამოვიდა პარლამენტში და „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ ცეცხლი დაუნთო — როდემდე უნდა იყვნეთ ხელისუფლებაში, თუ არ მოგწყინდათ, ჩვენ მოგაწყენინებთ და გაგყრით აქედანო!

უმრავლესობის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და თვალებით ჩაეკითხნენ — **ეკაკო ნახევრად შავი და ნახევრად თეთრი რათ არიო?** მაგათ ვერ ამოხსნეს, რომ **ხერხეულიძემ გულს ვერაფერი მოუხერხა** და მარცხენა მხარე ისევ იგეთი თეთრი და სპეტაკი აქვს, როგორც მაშინ, მიშიკოსთან რომ დეეხეტებოდა დილა-საღამოს!

# სამნიძე თუ სამი ნინძა?



დედაკაცი, რომელიც კაცებზე იწევს, ძალიან საშიშია. საკმარისია, ოდნავ მაინც გაგაკაწროს, ეგრევე რამდენიმე აცრაა საჭირო. აშკარად ჩანს, ეგეთი დედაკაცები უკვე მომრავლდნენ პარლამენტში და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ისინი უფრო გაავდებიან — იმატებს კბენა, ღრენა, ლევა, წევა და მტვრევა.

☺

**უმრავლესობის წევრებს ერთი წლის განმავლობაში მართებთ დიდი სიფრთხილე. ამ წუთას ცოფიან დედაკაცებს კრიზისი აქვთ, სადეპუტატო ვადა ეწურებათ და როგორც კი წარმოიდგენენ, მომავალ ამ დროს „ქუჩნაში“ უნდა დასხდნენ, კრუნჩხვებში ვარდებიან, ანჩხლობენ და საცემრად იწევენ.**

ეს მანდატურებიც დაიღალნენ, როდემდე და რამდენჯერ გააკავებენ? ერთხელაც ვეღარ გააკავებენ და ამ ყველაფერს მოჰყვება სავალალო შედეგები.

☺

**რაცა, მე გაგაფრთხილეთ, აწი თქვენ იცით!**



# ეროვნული მოძრაობის პიონერიც ყოფილა!

ამ ტრულალას განუცხადებია — **ჩვენ ეროვნული მოძრაობა 30 წლის წინათ დავიწყეთ და დღემდე ვაგრძელებთო.** ჯერ არ უთქვამს, დისიდენტი გახლავართო. მაგასაც იტყვის... რა, ჭკუა დაუშლის, გონება თუ სინდისი?!

☺

ჰოოოოო... ეროვნული მოძრაობა დავიწყეთ **30 წლის წინათო!** მოდით, ახლა გადავითვალოთ, რომელი წელიწადი იყო **30 წლის წინათ...** ცოტა ყურადღებით უნდა ვიყოთ, ემანდ არაფერი შეგვეშალოს:

ესე იგი, ახლა ხო არი 2023 წელი? 2023-ს გამოვაკლოთ 30 და დაგვრჩება 1993!

მე, მგონი, ეგრეა... მე მგონი, არაფერი შემეშალა.

კი, მაგრამ რატომ დააგვიანა პაჭიკაშვილმა ეროვნული მოძრაობის დაწყება, მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ ხო გაცილებით ადრე დაიწყეს? ქართველმა ხალხმა ხო ჯერ კიდე 1989 წლის 9 აპრილს გამოაჩინა თავისი გულის წადილი? **სად იყო მაშინ ამხანაგი ტრულალა?!**

☺

მდააააა... სად იყო და „გაპეიში“ ხელმძღვანელობდა კომკავშირულ მოძრაობას და **პერიოდულად მერაბ კოსტავას დასდევდა სკამის გადაჭრილი ფეხით.** მნახველები ყვებიან, ერთხელ **მერაბ კოსტავას** პალტოც კი შემოახია. შემოახევდა, რატომაც არ შემოახევდა... რა, ყოფას კი არ უტირებდა? მაშინაც სამშობლოს ბედზე ფიქრობდა, მაშინაც თავისებური ხედვები და გეგმები ჰქონდა. **ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო ეროვნული მოძრაობა, მაგრამ მერე სხვებმა მიიწერეს!**

# ჩვენი თხოვნით!

დიახ, მეგობრებო, არ გეჩვენებათ — მართლა მიიღო **თბილისის მერიამ** გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც აგერ კითხულობთ.

ეჭვიც აღარ მაქვს, გამოლაგდებიან ე.წ. ოპოზიციონერები და დაიწყებენ ჯღნავილს: **რა დროს ეს იყო-ვო? ეს ხომ დაავადებული ადამიანების მოსყიდვააო? სად არის ბიუჯეტში საამისო თანხაო? ეგეთებს აღარაფერი ეშველებათ, ტყუილად თანხებს რეიზა ვფლანგავთო? აი, ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, კახა კალაძის წინაადმდეგ სისხლის სამართლის საქმეებს აღვძრავთო!**




განა ერთ საქმეს აღვძრავთო? **ჯერ მაგას ისიც არ შერჩება, შოუში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ წინასწარ რომ იცოდა და არ გამჟღავნაო... ჰო, კიდე ისა, რომელიღაცა წლის რომელიღაცა რიცხვში საახალწლოდ პარიზს რომ ეწვია, ეგეც გამოსაძიებელიაო!**

☺

გაფრთხილებთ!

არ მიაქციოთ ყურადღება ამ მაჯლაჯუნებს, ყველაფერს პოლიტიკურ კუდს რო აბამენ და ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებენ. **ჩვენი თხოვნით, კახი კალაძე** ვაი-ოპოზიციონერთა **შტერიზის** სამკურნალო წამალსაც უსასყიდლოდ გაიღებს დღეში ორჯერადი მიღებისათვის — **ფუნქციონირიდან გამოქანებამდე და გამოქანების შემდეგ.**

# არ დაიჯერებ! არ დაიჯერებ!




## ანაბრების ქურდი მამუკა ხაზარაძე და კუპონის მამა რომან გოცირიძე ქართველი ხალხის ანაბრების სადარაჯოზე დგანან!

***წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოზე, რომელიც საინფორმაციო სააგენტოებმა გასულ კვირას გაავრცელეს, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი ხდება — ქართული ოპოზიციური სპექტრის უსახური სახეები, მამუკა ხაზარაძისა და რომან გოცირიძის თაოსნობით, იმას აკეთებენ, რაც აქამდე მრავალჯერ უქნიათ — ქუჩაში მცირერიცხოვან საპროტესტო აქციას მართავენ.***

თუმცა, აქ მთავარი ის არის, **სად და რა თემაზე მართავენ მცირერიცხოვან მიტინგს ხალხში ყაჩაღ-ბანკირის სახელით ცნობილი მამუკა ხაზარაძე და იმავე ხალხის მიერ „კუპონას“ ან „ალ-კუპონეს“ მეტსახელით დაჯილდოებული რომან გოცირიძე...** ისინი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფისთან დგანან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლების გადადგომას ითხოვენ და აცხადებენ, რომ ბანკებში შენახულ მოსახლეობის ანაბრებს საფრთხე ემუქრება!

ჰო, არაფერი მოგესმათ და არაფერი მოგეჩვენათ — **სწორედ ყაჩაღ-ბანკირი მამუკა ხაზარაძე** გამოდის საქართველოს მოსახლეობის ანაბრების დამცველად, რაც იგივეა, ცხვრის ფარას დარაჯად კბილებალესილი მგელი დაუყენო!

აბა, როგორი ამბავია — **ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის ანაბრების მითვისებაშია მხილებული,** იმაზე საუბრობს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის **ნათია თურნავასა** და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის გამო საქართველოს მოსახლეობა ანაბრებს დაკარგავს!

აი, ციტატა **ხაზარაძის** გამოსვლიდან:

> *„ეროვნული ბანკი და საბანკო სექტორი არის ინდუსტრია, რომელშიც ინახება ჩვენი პენსიონერების, ოჯახების და ყველას დანაზოგი. რაც უფრო გაიწელება **თურნავას** გადადგომა იმ ფონზე, როცა ბანკს 4 ვიცე-პრეზიდენტი აღარ ჰყავს, ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი უფუნქციო ხდება. სასწრაფოდ არის საჭირო მენეჯმენტის დაკომპლექტება და რაც უფრო გაიწელება, პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის ჩვენი მოსახლეობის ანაბრებს“.*

ხედავთ, როგორ ღელავს **ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე** ქართველი ხალხის ანაბრებზე?

ისე განიცდის და ნერვიულობს, თითქოს ამავე ხალხის ანაბრები მას კი არა, მარსიდან ჩამოსულ კოსმიურ აფერისტებს გაექროთ **„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციიდან“!**

„ასავალ-დასავალის“ მრავალრიცხოვან მკითხველს, კონკრეტულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 9 წლის წინათ გავუშიფრეთ სქემა, **თუ როგორ მიითვისეს ხაზარაძემ და მისმა ამფსონებმა „საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციაში“ აკუმულირებული მოსახლეობის ანაბრები,** მაგრამ დღეს, როცა გაპოლიტიკოსებული ყაჩაღ-ბანკირის უტიფრობა და უშუბლისძარღვობა იქამდე მივიდა, რომ ხალხის ანაბრების დამცველობას იჩემებს, **უპრიანი იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი 30 წლის წინანდელი ნაავკაცარი.**

**1992 წლის 20 აგვისტოს,** როცა აფხაზეთში ომი იყო გაჩაღებული და საქართველო სისხლისაგან იცლებოდა, **„თბილისის ბიზნეს ცენტრის“** (TBC) ხელმძღვანელმა **მამუკა ხაზარაძემ,** ვინმე **დავით მაყაშვილის** უძრავი ქონების ბირჟამ **„უტა“,** ვინმე **კანდელაკის ფირმამ „SB“** და **ტელეკომპანია „იბერვიზიამ“** ერთობლივად დააფუძნეს **„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია“.**

დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1992 წლის 24 აგვისტოს შედგა, **„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის“** საწესდებო კაპიტალად 2 მილიარდი მანეთი განისაზღვრა, იმავე წლის 23 დეკემბერს კი **შევარდნაძის მთავრობამ ხაზარაძისა და მისი პარტნიორების მიერ დაფუძნებულ კორპორაციას უფლებამოსილება მიანიჭა, ვითომდა პრივატიზების პროცესში გამოყენების მიზნით, მოსახლეობის საბანკო ანგარიშებზე ინდექსირებული თანხების აკუმულირება მოეხდინა.**

ასე და ამრიგად, **საქართველოს მოქალაქეების მიერ შემნახველ სალაროებში შეტანილმა ანაბრებმა ხაზარაძის „სახალხო საინვესტიციო კორპორაციაში“ მოიყარა თავი,** რის შემდეგაც იმავე კორპორაციამ დააფუძნა სააქციო საზოგადოება **„თბილისი ბანკი“,** რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოფიციალურად დაარეგისტრირა 1993 წლის 20 იანვარს.

**„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციაში“** შემნახველი სალაროებიდან და ნაღდი ანგარიშებიდან აკუმულირებული **64 მილიონ 60 ათასი მანეთი,** რომელიც **665 მეანაბრეს** ეკუთვნოდა, **ხაზარაძის „თბილისი ბანკში“** იქნა გადამისამართებული, ხოლო ოთხ წელიწადში, 1997 წლის 23 მარტის ყალბი დადგენილების საფუძველზე, **„სახალხო საინვესტიციო კორპორაცია“** ლიკვიდირებულად გამოცხადდა და მეანაბრეებმა ასეულობით მილიონი მანეთი დაკარგეს.

**ხახამშრალად დატოვებულ მეანაბრეთა შორის ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა ვინმე ნანი ანდიაშვილი,** რომელსაც 1998 წლის 20 მარტს **„სახალხო საინვესტიციო კორპორაციის“** სალიკვიდაციო ბალანსიდან **„თბილისი ბანკში“** გახსნილ პირად ანგარიშზე 116 168 ლარი ჩაერიცხა, რის შემდეგაც იგი ხაზარაძის ბანკის ერთ-ერთი აქციონერი გახდა.

იმის გამო, რომ **„საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის“** ლიკვიდაცია საერთო კრების ყალბი დადგენილების საფუძველზე მოხდა და ასეულობით მეანაბრემ დიდძალი მატერიალური ზარალი განიცადა, **2000 წლის 17 იანვარს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ნომრით — 7400806, მაგრამ გამოძიება ბოლომდე არ მიუყვანიათ.**





ანდერს ბერინგ ბრეივიკი

**მამუკა ხაზარაძე მეანაბრეთა ინტერესების დამცველად — ეს იგივეა, ცნობილი ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბერინგ ბრეივიკი ანტიტერორისტული მოძრაობის ლიდერად მოგვევლინოს!**

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმის ჩაფარცხვის მთავარი მიზეზი იმდროინდელ ხელისუფლებასთან და **პირადად პრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახთან მამუკა ხაზარაძის ახლობლობა იყო...** აკი, სწორედ შევარდნაძის მთავრობამ მისცა უფლება ხაზარაძის კორპორაციას, მოსახლეობის საბანკო ანგარიშებზე ინდექსირებული თანხების აკუმულირება მოეხდინა!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **მამუკა ხაზარაძე ხელშეუხებელი იყო შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც, სააკაშვილის რეჟიმის დროსაც და „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ ვადაშიც,** რამაც მას არამხოლოდ დაუსჯელობის სინდრომი გაუჩინა, არამედ უტიფრობის და უსირცხვილობის ზღვარიც სრულად წაუშალა!

ამიტომაც არის, რომ **ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე,** რომელმაც თავისი **„სახალხო საინვესტიციო კორპორაციით“** ქართველი მეანაბრეები გაძარცვა, დღეს საქართველოს მოქალაქეთა ანაბრების სადარაჯოზე დგომას იჩემებს და საერთოდ არ რცხვენია!

**მამუკა ხაზარაძე მეანაბრეთა ინტერესების დამცველად — ეს იგივეა, ცნობილი ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბერინგ ბრეივიკი, რომელმაც 2011 წელს 77 ადამიანი დახოცა, ანტიტერორისტული მოძრაობის ან ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერად მოგვევლინოს!**

**ჰო, როგორც ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე არ უნდა ილაპარაკო, სწორედ ასე არ უნდა ლაპარაკობდეს ხალხის ანაბრებზე მამუკა ხაზარაძე, რომელმაც ქართველი მეანაბრეების კარში ლელო გაცილებით უფრო ადრე დადო, ვიდრე პარტია „ლელოს“ დააფუძნებდა!**

რაც შეეხება **რომან გოცირიძეს,** ანუ იგივე „კუპონას“ თუ „ალ-კუპონეს“, რომელიც საქართველოს კუპონიზაციის, ქართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშინელი კრახის, ეკონომიკის დაქცევისა და უკიდურესი სიღატაკის ცოცხალ სახე-სიმბოლოს წარმოადგენს, **იგი საქართველოს ეროვნული ბანკის შენობასთან აქციის გამართვას კი არა, მის შორიახლო ჩავლასაც კი უნდა ერიდებოდეს!**

თუმცა, **„კუპონა“ გოცირიძეს,** ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძის მსგავსად, მორალური სამუხრუჭე ხუნდები დიდი ხანია, ბოლომდე გაცვეთილი და მოშლილი აქვს!

მოკლედ, **ლეგენდარული დები იშხნელების ცნობილი სიმღერისა არ იყოს, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ანაბრების ქურდი და კუპონის მამა ქართველი ხალხის ანაბრებისა და საფინანსო ინსტიტუტების სადარაჯოზე დგანან!**

ისე, რადიკალური ოპოზიციის ფლანგზე **ანაბრების ქურდი ხაზარაძისა და კუპონის მამა გოცირიძის** გარდა სხვა რომ არავინ მოიპოვება, ვინც ქართველი ხალხის ანაბრებისა და ქართული საფინანსო ინსტიტუტების დაცვაზე გამოიდებს თავს, ეს კიდევ ერთი მკაფიო ნიშანია, თუ რამხელა პოლიტიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ კრიზისში იმყოფება ქართული რადიკალური ოპოზიცია!

**ასეთი ოპოზიციის ფასი კუპონიც არ არის და ასეთი ოპოზიცია ლიდერებად „კუპონასა“ და ხაზარაძის მეტს არც არავის იმსახურებს!**

***ჯაბა ხუბუა***

# იგეგმება სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება!

# ლოგინში

*გასულ კვირას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე შემაშფოთებელი ამბავი გაცხადდა — საქართველოში სისხლისღვრა და სახელმწიფო გადატრიალება იგეგმება!*

როგორც ბრიფინგზე ითქვა, **სუს**-მა, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მიიღო ინფორმაცია, რომ საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა ჯგუფს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობის თარიღად განსაზღვრული აქვს **მიმდინარე წლის ოქტომბერი,** როცა ევროკომისიამ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით შუალედური დასკვნა უნდა გამოაქვეყნოს და **ამავე წლის დეკემბერი,** როცა საბოლოოდ უნდა გამოცხადდეს, აძლევენ თუ არა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს.

სუს-ის ინფორმაციით, ხელისუფლების დასამხობად შეთქმულ ძალებს მოლოდინი აქვთ, რომ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებს, რის შემდეგაც ისინი, მათ განკარგულებაში არსებული საინფორმაციო ქსელების მეშვეობით, შექმნიან ნიადაგს საზოგადოებრივი მღელვარებისა და არეულობისათვის, რასაც „პრორუსულად“ შერაცხილი მთავრობის ძალადობრივი დამხობა უნდა მოჰყვეს. **გეგმის ავტორებად დასახელებული არიან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი და უკრაინის კონტრდაზვერვის დირექტორის ამჟამინდელი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, უკრაინაში მოქმედი სამხედრო შენაერთის — „ქართული ლეგიონის“ მეთაური, სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი მამუკა მამულაშვილი და სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი, საქართველოს მოქალაქე მიხეილ ბატურინი.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მტკიცებით, საქართველოში არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ავტორები უცხო ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერითა და კოორდინაციით მოქმედებენ. დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, **გიორგი ლორთქიფანიძის** მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება მიმდინარეობს პოლონეთ-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ. რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადებაში ჩართულია ორგანიზაცია **„კანვასი“,** რომლის ბირთვსაც ორგანიზაცია **„ოტპორი“** წარმოადგენს.

რას წარმოადგენდა თავის დროზე სერბული ორგანიზაცია **„ოტპორი“** და რას წარმოადგენს მისი მემკვიდრე **„კანვასი“,** ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ისევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მოვუსმინოთ:

*„განიხილება მოვლენათა განვითარების რამოდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ე.წ. კარვების ქალაქის მოწყობას, ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე პროვოკაციის ელემენტებს. კერძოდ,* ***დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.*** *ასევე ცნობილია, რომ* ***გიორგი ლორთქიფანიძისა და მიხეილ ბატურინის*** *ორგანიზებით, აქციების მიმდინარეობის ადგილას, კერძოდ, „კარვების ქალაქის“ ტერიტორიაზე,* ***წინასწარ შერჩეულ კარავში შეტანილი იქნება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებაც განზრახული აქვთ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორებს“.***

**სუს**-ის მტკიცებით, აფეთქებამ უნდა გამოიწვიოს მსხვერპლი როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში, ასევე სამართალდამცავთა რიგებში. კერძოდ, ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.

**სუს**-ი აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ მსგავსი პროვოკაციები წარსულშიც რამდენჯერმე დაგეგმილა, მაგრამ შეთქმულთა ახლანდელი გეგმა გაცილებით მაღალი რისკის შემცველია და საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას, ასევე საქართველოს რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

როგორც საგანგებო ბრიფინგზე ითქვა, **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინაციით, ყველა საჭირო პრევენციულ ღონისძიებას ახორციელებს და, დამატებითი ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებსაც მიმართავს.**



„ოტპორისა“ და „კანვასის“ დამფუძნებელი და ლიდერი სრჯა პოპოვიჩი



„კანვასის“ ქართული ფილიალის – „კანვას საქართველოს“ ხელმძღვანელი გიორგი მელაძე

## რა ორგანიზაციებია „ოტპორი“ და „კანვასი“?

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგანგებო განცხადებაში ნახსენები ორგანიზაცია **„ოტპორი“,** რაც სერბულ ენაზე **„წინააღმდეგობას“** ნიშნავს, ბელგრადში 1998 წელს ჩამოყალიბდა და 2005 წლამდე არსებობდა. ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელსაც ათეულათასობით ახალგაზრდა აქტივისტი ჰყავდა, დიდი როლი ითამაშა 2000 წელს სერბეთში მომხდარ ე.წ. ბულდოზერების რევოლუციასა და პრეზიდენტ **მილოშევიჩის** გადაყენებაში.

სწორედ სერბული „ოტპორის“გამოცდილებით ხელმძღვანელობდა საქართველოში 2003 წელს შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობა **„კმარა“,** რომელიც „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა. **„კმარას“** ლიდერებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სერბული **„ოტპორის“** წარმომადგენლებთან, რომლებიც ქართველ აქტივისტებს როგორც ბელგრადში, ასევე თბილისში ატრენინგებდნენ და არაძალადობრივი პროტესტის ტექნოლოგიებს ასწავლიდნენ.

უფრო მეტიც, ქართული **„კმარა“** უცვლელად იყენებდა სერბული **„ოტპორის“** სიმბოლიკას — მაღლა აღმართულ მუშტს, რომელიც სერბეთში — „ბულდოზერების რევოლუციის“, საქართველოში კი **„ვარდების რევოლუციის“** ერთგვარ „სამარკო ნიშნად“ იქცა.

**„ოტპორის“** დაშლის შემდეგ მისმა ლიდერმა **სრჯა პოპოვიჩმა** ჩამოაყალიბა ორგანიზაცია **„კანვასი“,** რომლის საქმიანობაც კვლავინდებურად უკავშირდება არაძალადობრივი პროტესტის ტექნოლოგიათა სწავლებას საერთაშორისო მასშტაბით. **„კანვასის“** მთავარი ოფისი, ძველი **„ოტპორის“** მსგავსად, სერბეთის დედაქალაქში მდებარეობს, თუმცა, ორგანიზაციას არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავს.

დღეისათვის **„კანვასის“** ქართულ ფილიალს — **„კანვას საქართველოს“** ხელმძღვანელობს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერი და **ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იმავე ილიაუნის სამართლის სკ-**

**მთავარია, სუს-ის განცხადება მხოლოდ განცხადებად არ დარჩეს, თორემ 2014 წლიდან მოყოლებული, მინიმუმ, სამჯერ მაინც აღიძრა საქმე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით და გამოძიება არცერთხელ არ მისულა ბოლომდე!**

## კვირგვინოსნები

**მამუკა მამულაშვილი**
*უკრაინაში მებრძოლი „ქართული ლეგიონის“ მეთაური*



პირადად ვიზრუნებ, რომ **ბიძინა ივანიშვილიც** დასანქცირდეს.

„AMBEBI.GE“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



**ივანიშვილი** ძალიან ფრთხილი ადამიანია და **თავს მარტივად არავის დაასანქცირებინებს.** სტატუსი თუ ვერ მივიღეთ, ამას მღელვარება მოჰყვება. ვიღაც-ვიღაცები შეეცდებიან ამის გამოყენებას, **რევოლუცია რომ ელანდებათ მთელი 12 წელია.**

„ახალი თაობა“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



მინდა, მივმართო ჩვენს **მრავალგზის გაწბილებულ ოპოზიციას:** კიდევ ბევრჯერ მოგიწევთ **ბიძინა ივანიშვილის** სახელის ხსენება იმიტომ, რომ ეს არის კაცი, რომელმაც **აგენტების მმართველობა დაასრულა საქართველოში** და ვერასდროს ვერ ეღირსებით ისევ მმართველობაში დაბრუნებას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



ხელისუფლება თუ არჩეულ გზას გააგრძელებს, **რევოლუცია ერთადერთი გამოსავალი იქნება!**

„პირველი არხი“

**ზურაბ აბაშიძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*



ნაციონალურ მოძრაობას უნდა **არეულობის გზით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში** და უამრავი ადამიანი გააუბედურონ, როგორც ეს წლების წინ ხდებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

# გადატრიალდით!

**ოლის კონსტიტუციური კვლევების დირექტორი გიორგი მელაძე,** რომელიც, თავის დროზე, „კმარას“ ჩამოყალიბების სათავეებთანაც იდგა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სერბული „ოტპორის“ ლიდერებთან.

**მელაძე** ხშირად ატარებს ტრენინგებსა და საჯარო ლექციებს, რომელთა მიზანიც „არაძალადობრივი სამოქალაქო კამპანიების შესახებ ცოდნის გავრცელებაა“.


უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე გია ლორთქიფანიძე

## ვინ არის მიხეილ ბატურინი?

მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი **მიხეილ ბატურინი,** რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოში დაგეგმილი სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ ორგანიზატორად ასახელებს, 2021 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო ჯგუფური გადაკვეთისათვის ბათუმში იქნა დაპატიმრებული ორ უკრაინელ მეზღვაურთან — **იური ხომიჩთან და ვოლოდიმირ დიაჩენკოსთან** ერთად. 2021 წლის 14 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამივე მათგანს 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ 5 დღეში პატიმრობიდან გაათავისუფლა ისე, რომ მსჯავრდებულებს საქართველოს პრეზიდენტის სახელზე შეწყალების თხოვნაც არ დაუწერიათ.

სააკაშვილის დაცვის წევრის — **ბატურინისა** და მასთან ერთად დაპატიმრებული ორი უკრაინელი მეზღვაურის უეცარი და უცნაური გათავისუფლება საეჭვოდ დაემთხვა უკრაინის პრეზიდენტ **ზელენსკის** ვიზიტს ბათუმში, სადაც იგი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით — **„ევროკავშირის მიზიდულობის ძალა და რეგიონის ტრანსფორმაცია“.**

არაოფიციალური ინფორმაციით, სწორედ ზელენსკის თხოვნა თუ მოთხოვნა იყო, ბათუმში მის ჩამოსვლამდე საქართველოს ხელისუფლებას **ბატურინი, ხომიჩი და დიაჩენკო** გაეთავისუფლებინა, საქართველოს ხელისუფლებამ კი უკრაინის პრეზიდენტის ნებასურვილი ისე აღასრულა, მისთვის არც კი მოუთხოვია — სამაგიეროდ, ის ქართველი ძებნილები გადმოგვეცით, რომლებიც თქვენს ქვეყანაში არამხოლოდ შეიფარეთ, არამედ თანამდებობებზე გყავთ დანიშნული!

## ვინ არის გია ლორთქიფანიძე, იგივე „ბოროტა“?

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის **ვანო მერაბიშვილის** ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე,** მეტსახელად **„ბოროტა“,** უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე — კონტრდაზვერვის დირექტორის მოადგილედ ჰყავს დანიშნული, რაც ზელენსკის რეჟიმის მიერ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის აბუჩად აგდების კიდევ ერთი გამოხატულებაა.

საქმე ის არის, რომ **„ბოროტა“ ლორთქიფანიძე** 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობრივი გადამეტების მუხლით არის ბრალდებული და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს მისჯილი. გამოძიების მტკიცებით, ლორთქიფანიძე, მინისტრ მერაბიშვილის დავალებით, პირადად ხელმძღვანელობდა აქციის მონაწილეთა სასტიკ დარბევასა და მასობრივ დაკავებებს.


უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი

ქართული მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან **„ბოროტა“ ლორთქიფანიძე** მხილებული და ბრალდებულია კიდევ ერთ სისხლის სამართლის დანაშაულში, რომელიც ძებნილი სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთას უკავშირდება. კერძოდ, პროკურატურის მიერ შეკრებილი მტკიცებულებების თანახმად, **სწორედ ლორთქიფანიძემ გაუწია ორგანიზება სააკაშვილის ჩასმას არაყნებით სავსე ტრაილერის კონტეინერში, რომლითაც ნაცბელადი უკანასკნელი ქურდბაცაცასავით შემოიპარა საქართველოში.**

**ლორთქიფანიძის** სახელი ფიგურირებს კიდევ ერთხელ გახმაურებულ და სისხლიან საქმეში, რომელიც „ლაფანყურის სპეცოპერაციის“ სახელით არის ცნობილი. როგორც არაოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების ჩამოყვანას, გაწვრთნასა და შეიარაღებას სწორედ **ლორთქიფანიძე** კურირებდა.

მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მსოფლიოში ცნობილ ტერორისტ ახმედ ჩატაევთან, რომელიც 2019 წელს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

მოკლედ, **გია ლორთქიფანიძე,** რომელიც, **სუს**-ის განცხადების თანახმად, საქართველოში სისხლიან პროვოკაციებსა და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ფიგურაა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

აკი, სააკაშვილის ტრაილერში ჩადება და საქართველოში შემოპარება, რისი ორგანიზატორიც იგივე **ლორთქიფანიძე** გახლდათ, სწორედ არეულობის მოწყობას, რევოლუციური პროცესების ტორპედირებასა და ხელისუფლების დამხობას ემსახურებოდა... უბრალოდ, გეგმა, რომლის მიხედვითაც ნაცბელადი ოპოზიციის მიტინგზე მოულოდნელად უნდა გამოჩენილიყო, მასის ეგზალტაცია გამოეწვია და რევოლუცია დაეწყო, სახელმწიფოს ძალისხმევით ჩაფლავდა!

## რა გამოუვათ გადამტრიალებლებს?


სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი

რაკი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქმის კურსშია, თუ რას გეგმავენ საქართველოში რადიკალური ოპოზიციის შიდა და გარე წარმომადგენლები, ეს, წესით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მათ გეგმებს აღსრულება არ უწერია, რადგან ქართული სახელმწიფო ჩანასახშივე აღკვეთს სისხლისღვრისა და გადატრიალების ნებისმიერ მცდელობას.

ისე კი, **სუს-ის განცხადება საფუძველს მოკლებული რომ არ არის და ნაცრევანშისტების თავში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გეგმა იხარშება, ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა გასულ კვირას, როცა პარლამენტში გალახულ გიორგი ვაშაძეს წამოსცდა — თუ საჭირო იქნება, არამხოლოდ ვიჩხუბებთ, არამედ იარაღსაც ავიღებთ ხელშიო!**

**ვაშაძე,** რომელსაც თავში რუსის ბარაბანივით უბრაგუნებენ, იარაღის ხელში აღებით რომ იმუქრება, ეს სასაცილოა, მაგრამ სახიფათონი არიან ის გარე ძალები, რომლებიც ვაშაძისა და ნაცრევანშისტების უკან დგანან!

ახლა მთავარია, **სუს**-ის განცხადება მხოლოდ განცხადებად არ დარჩეს, თორემ 2014 წლიდან მოყოლებული, მინიმუმ, სამჯერ მაინც აღიძრა საქმე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით და გამოძიება არცერთხელ არ მისულა ბოლომდე!

და კიდევ: **საინტერესოა, გაბედავს თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პირდაპირ დაადოს ხელი იმ უცხო ქვეყნებს, რომლებიც საქართველოში სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას უწევენ კოორდინაციასა და ფინანსურ მხარდაჭერას?**

ყოველ შემთხვევაში, ქართველი საზოგადოება საგამოძიებო ორგანოებისაგან კონკრეტულ მტკიცებულებებსა და უფრო მეტს სიცხადეს ელოდება!

**იმავე ქართველ საზოგადოებას ერთადერთი გზავნილი აქვს მათთვის, ვისაც საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უნდა: ლოგინში გადატრიალდით!**

აკი, სწორედ სააკაშვილის პოლიტიკურმა მამამ **ედუარდ შევარდნაძემ** თქვა ერთხელ — ვისაც გადატრიალება უნდა, ლოგინში გადატრიალდესო!

**საინტერესოა, გაბედავს თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პირდაპირ დაადოს ხელი იმ უცხო ქვეყნებს, რომლებიც საქართველოში სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას უწევენ კოორდინაციასა და ფინანსურ მხარდაჭერას?**

**დროა, სააკაშვილმა „ვივამედის“ ლოგინიდან რუსთავის ციხის ლოგინში გადაინაცვლოს და იქ გადატრიალდეს, რამდენჯერაც გაუხარდება!**

*ჯაბა ხუბუა*

*თემის გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ოპოზიციას არა აქვს არჩევნებით ხელისუფლებაში მოსვლის შანსი და **ერთადერთი გზა დარჩათ — რევოლუცია,** რის უფლებასაც არც ჩვენ და არც ქართველი საზოგადოება არ მისცემს. შეეგუოს ყველა, **საქართველოში რევოლუცია არ იქნება!**

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*„საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი*



ქვეყნის გარეთ შემუშავებულია **თბილისის „მაიდანიზაციის“ სცენარი.** გლობალური ომის პარტიის დამქაშებს სურთ, შეცვალონ ხელისუფლება, რომელმაც **უცხო ქვეყნების ინტერესებზე მაღლა საკუთარი ქვეყნის ინტერესები დააყენა.**

„იმედინიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ზელენსკიმ** საქართველოში ჩამოსვლის წინაპირობად 2021 წელს **ბატურინის გათავისუფლება** დააყენა და პრეზიდენტმა მისი ეს ულტიმატუმი შეასრულა. **ახლა ბატურინი ზის კიევში და საქართველოში არეულობის შემსრულებლად გვევლინება.**

„იმედინიუსი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



თუ უკრაინა დაეცემა, მაშინ **პუტინი** უფრო შორს წავა. **ის თავს დაესხმება ნატოს წევრ ქვეყნებს** და ამ შემთხვევაში შეერთებულმა შტატებმა სხვა მოკავშირეებთან ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, **გაგზავნონ თუ არა საკუთარი ვაჟები და ქალიშვილები ამ სხვა ომში.**

„ნიუმაქსი“

# კრემლმა საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს მოსალოდნელი შეიარაღებული გადატრიალების შესახებ ამცნო!

*თემის დასაწყისი მე-8 გვერდზე*

***საქართველოს უშიშროების სამსახურის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ უკრაინაში მყოფი „ქართული ლეგიონი“ უახლოეს მომავალში თბილისში მაიდნის მოვლენების განმეორებას შეეცდება და ხალხს ცეცხლს გაუხსნის, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდა. სუს-ის განცხადებაში პირდაპირ არის დასახელებული „ქართული ბატალიონის“ მეთაურის მამუკა მამულაშვილის ვინაობა, რომელიც ამ სპეცოპერაციას უხელმძღვანელებს.***

„ქართულ ბატალიონს“ და მის მეთაურ **მამუკა მამულაშვილზე** „ასავალ-დასავალში“ წლების განმავლობაში ვაქვეყნებდით ინფორმაციებს. **პირველად სწორედ „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა 3 ქართველი ბოევიკის, სნაიპერთა ჩვენებები, სადაც ისინი, როგორც უშუალოდ ბანდის წევრები — სააკაშვილის უახლოეს გარემოცვას საზარელ დანაშაულში ამხელდნენ!** ამ ჩვენებებიდან ირკვევა, რომ 2014 წელს **მაიდანზე თავშეყრილი დემონსტრანტების დახვრეტის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლდათ სააკაშვილი!**

როდესაც სისხლიანმა მოვლენებმა ჩაიარეს, დაქირავებულმა ბოევიკებმა ვერ მიიღეს შეპირებული ანაზღაურება და მიხვდნენ, რომ მათი ლიკვიდაცია უფრო მარტივი იყო, ვიდრე სისხლიანი საქმის საზღაურად მათთვის გასამრჯელოს გადახდა, ამიტომ დაწერეს ჩვენებები მომხდარის შესახებ, ამხილეს დამქირავებლები და ამგვარად, გარკვეულწილად, საკუთარი სიცოცხლე დააზღვიეს. **ბოევიკები დეტალურად აღწერდნენ, რომ არიან სააკაშვილის მხარდამჭერები, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს არბევდნენ ოპოზიციის მიტინგებს და დაასახელეს, კონკრეტულად ვისგან იღებდნენ ასეთ დავალებებს.** 2014 წელს მაიდნის მოვლენების წინ ისინი კიევში აღმოჩნდნენ გაყალბებული პასპორტებით, **მამუკა მამულაშვილის** მიწვევით.

თავად **მამუკა მამულაშვილი** თავდაცვის მინისტრ **ბაჩო ახალაიას** მრჩეველი იყო. არაოფიციალურად, ზონდერ-ჯგუფებსაც კურირებდა, რომლებიც თბილისში ოპოზიციონერებს არბევდნენ. სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ იგი უკრაინაში გაემგზავრა და ბატალიონი „ქართული ლეგიონი“ შექმნა, რომელშიც საქართველოდან მიწვეული ზონდერ-ჯგუფები გააერთიანა.

**მაიდნის მოვლენების წინ, კიევში მყოფმა სააკაშვილთან დაახლოებულმა მაღალჩინოსანმა სამხედროებმა, მათ შორის, მამულაშვილმა, საქართველოდან დამატებით ჩაიყვანა რამდენიმე ქართველი ზონდერი, რომელთა ჩვენებები „ასავალ-დასავალმა“ დაბეჭდა.** მგზავრობის ხარჯი **მამულაშვილმა** გაიღო, კიევში კონსპირაციული ბინით მანვე უზრუნველყო და ბოევიკებს 1000-1000 დოლარი წინასწარ გადაუხადა, ხოლო ოპერაციის დასრულების შემდეგ თითოეულ სნაიპერს 10 ათას დოლარსა და საქართველოში უხიფათოდ დაბრუნებას შეჰპირდა.

სნაიპერები ყვებიან, როგორ გასცა **მამუკა მამულაშვილმა** დავალება, რომლის ფარგლებშიც მათ სასტუმრო „უკრაინისა“ და კონსერვატორიის შენობებიდან ცეცხლი უნდა გაეხსნათ მაიდანზე შეკრებილი დემონსტრანტებისათვის. აქაოდა, კიევში დაძაბულობამ იკლოო, მუხტის გასაზრდელად მათ საჭიროდ მიიჩნიეს მსხვერპლი საკუთარ მომხრეებში, რაც მაშინდელ პრეზიდენტ **იანუკოვიჩს** უნდა დაბრალებოდა! **ბოევიკები აღწერენ, ვისი დავალებით და როგორ შეიტანეს იარაღი შენობებში და 20 წუთის განმავლობაში როგორ ესროდნენ განურჩევლად ყველა მომიტინგეს!** მაიდნის მოვლენებში **კობა ხაბაზისა და ბელა ვასაძის** მონაწილეობის შესახებაც ითქვა და, რაც მთავარია, გამჟღავნდა, რომ ამ სისხლიანი დავალების შესრულებამდე ისინი მოინახულა და გაამხნევა თვით მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც სასტუმრო „უკრაინაში“ მივიდა ამერიკელი ოფიცრის **კრისტოფერ ბრაიანის** თანხლებით!

**მოკლედ, სააკაშვილის დაჯგუფებამ, რომელიც უკრაინის მომავალ პრეზიდენტ პოროშენკოს ხელისუფლებაში მოსაყვანად იბრძოდა, სასიკვდილოდ გაწირა საპროტესტო აქციის მონაწილე თანამებრძოლები** და ამგვარად შექმნა ყალბი სურათი, თითქოს მაშინდელმა პრეზიდენტმა **იანუკოვიჩმა** დახვრიტა ოპოზიციურად განწყობილი მომიტინგენი. შედეგი ყველასათვის ნაცნობია: შეიარაღებული გადატრიალება უკრაინაში და პრეზიდენტად **პოროშენკოს** მოყვანა.

ეს ყოველივე იმიტომ გავიხსენეთ, რომ, „ასავალ-დასავალის“ ძველი რესპონდენტების, გამოცდილი სამხედროების და ექსპერტების ნაამბობი ინფორმაციების თანახმად, **სააკაშვილის გარემოცვა ხელისუფლებაში დაბრუნების მსგავს სცენარს საქართველოსთვისაც ამზადებდა.** სცენარის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერი მიზეზით საქართველოში იმართება თუნდაც მცირერიცხოვანი მიტინგი, რომელსაც უცნობი პირები ცეცხლს გაუხსნიან. რამდენიმე მომიტინგე იღუპება, ათობით — დაიჭრება. **მომიტინგეებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ცეცხლი გაუხსნა ხელისუფლებამ და ამით გამძვინვარებული ხალხი იერიშზე გადადის, მათ გვერდით კი აღმოჩნდება წინასწარ საგანგებოდ გამზადებული 2 ათასამდე ბოევიკი, რომლებიც იკავებენ სამთავრობო დაწესებულებებს, ანეიტრალებენ პირველ პირებს და ხელისუფლების ინსტიტუტებს თავად ეუფლებიან.**




ასეთია შეიარაღებული გადატრიალების ამერიკული სცენარი, რომლის განხორციელებას 2014 წლიდან მოყოლებული მუდმივად, ხანდახან წელიწადში რამდენჯერმე ცდილობენ დასავლეთის ადეპტები. ამისთვის მათ საკმარისად გააჩნიათ დაფინანსებაც, ნაცების რეჟიმის დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კასრებით დამარხული იარაღიც, კოჰაბიტაციის წყალობით თავიანთი ხალხი ძალოვან სტრუქტურებშიც მრავლად ეგულებათ და იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობაში მათი რეიტინგი ნულამდე დაეცა, **პარლამენტიც არ განიცდის იმ დეპუტატთა ნაკლებობას, რომლებსაც საჭირო მომენტში წივილ-კივილი და ქაოსის გამოწვევა ევალებათ.** ამჟამად მათ ბანაკში იმყოფება თვით საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი.**

ასე რომ, გადატრიალების დაწყების ალბათობა ყველა ნიშნის მიხედვით, ძალიან მაღალია!

როგორც ირკვევა, საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების ეს სცენარი, რომელიც ახლახან საქართველოს უშიშროების სამსახურმა საჯაროდ გააჟღერა, რუსეთის ვერტიკალისთვისაც კარგად არის ცნობილი. ახლახან ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „Московские новости“-ს საკუთარი კორესპონდენტის **აკაკი მიქაძის** ფეისბუქ-გვერდზე საინტერესო ვიდეორგოლს წავაწყდი — რუსი ჟურნალისტი გოგონა ქართული უშიშროების მიერ გასაჯაროებულ გადატრიალების გეგმაზე, „ქართულ ლეგიონსა“ და მის მეთაურ **მამუკა მამულაშვილზე** საუბრობს და შეიარაღებული გადატრიალების დაწყების სავარაუდო თარიღსაც ასახელებს:

*— დროთა განმავლობაში ქართულმა ბატალიონმა ნატოს ეგიდით მრავალი პოლიგონი და საწვრთნელი ბანაკი მოიარა. ჩემი ინფორმაციით, ქართული ბატალიონის კურატორობით 500-ზე მეტი ადამიანი ამჟამად პოლონეთში გადის საბრძოლო მზადებას.*

***ახლა ყველაზე მთავარი:*** *ოდესღაც ეს იყო უბრალოდ ქართული ბატალიონი, რომელშიც 2008 წლის შემდეგ საქართველოდან გამოქცეული ამჟამად თავაწე-*

## რა რეაგირებას უნდა

***რა მესიჯს გვიგზავნის რუსეთი რუსი ჟურნალისტის მონოლოგით? ვესაუბრებით „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ყოფილ კორესპონდენტს აკაკი მიქაძეს:***



— ამ მონოლოგში შინაარსზე მთავარი არის საქართველოს ხელისუფლებისთვის რუსეთის გზავნილის სწორად გაშიფვრა. რუსეთში ხომ, დიდი ხანია, სრულიად თავისუფალი პრესა არ არსებობს, ხოლო „კომსომოლსკაია პრავდა“ გახლავთ ერთგვარი რუპორი, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იმართება. **მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი გოგონას მონოლოგი, რომელიც ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გავაზიარე, ჩემი ვარაუდით, გახლავთ ერთგვარი მონახაზი, თუ როგორ უყურებს კრემლი მიმდინარე მოვლენებს და კონკრეტულ შემთხვევაში, რა რეაგირებას უნდა ველოდოთ ჩრდილოეთიდან.**

**— კიდევ რაიმეს უნდა ველოდოთ?**

— რა თქმა უნდა! საქართველოს გარეშე რუსეთისთვის აზერბაიჯანი და სომხეთი კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, შუა აზიის ქვეყნები და თვით ჩინეთიც კარგავენ მნიშვნელობას! მოგეხსენებათ, ჩინეთი უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს და, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ამ ქვეყანასთან ამყარებს. **„აბრეშუმის გზის“ პროექტი შევარდნაძის პერიოდში შეიქმნა, მაგრამ ვიდრე რუსეთი საქართველოს ასე თუ ისე აკონტროლებდა, ეს პროექტი ვერ განხორციელდა.** ამჟამად კი, საქართველო შავი ზღვის პორტებით ძალიან აქტუალურია ჩინეთისა და დასავლეთისათვის, მაგრამ რუსეთი არ დაუშვებს, რომ აფსაითში დარჩეს.

საქართველო ამ ეტაპზე ხდება ძალზე მნიშვნელოვანი საკვანძო რეგიონი რუსეთისთვის, დასავლეთისთვის, შუა აზიისთვის, ჩინეთისთვის და ინდოეთისთვისაც! ვიმეორებ — **რუსეთი არ დაუშ-**

***აკაკი მიქაძე:***

## საქართველოს გარეშე რუსეთისთვის აზერბაიჯანი და სომხეთი კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, შუა აზიის ქვეყნები და თვით ჩინეთიც კარგავენ მნიშვნელობას!

# სნაიპერები ყვებიან, როგორ გასცა მამუკა მამულაშვილმა დავალება, სასტუმრო „უკრაინისა“ და კონსერვატორიის შენობებიდან ცეცხლი გაეხსნათ მაიდანზე შეკრებილი დემონსტრანტებისათვის!



„ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი

ული, თუმცა, გახვრეტილ-ქუსლიანი მებრძოლები გაერთიანდნენ. მაგრამ **2017-2018 წლებში უკრაინაში მყოფი ეს ქართული ბატალიონი შეისყიდა ამერიკულმა კერძო სამხედრო კომპანიამ, სახელად „Black water“,** იგივე „Academy“-მ. ეს არის ზუსტად ის, **ერიკ პრინცის** ამერიკული კერძო სამხედრო კომპანია. იმ მომენტიდან ქართული ბატალიონი ხდება „Black water“-ის შვილობილი

აქედან მოყოლებული, ბატალიონის მეთაური **მამუკა მამულაშვილი** ხელმძღვანელობს „Black water“-ის ღამის ფრთას და ზუსტად მასზე ამბობენ, რომ შესაძლებელია, თავის ხალხთან ერთად უკან, საქართველოში, გადაისროლონ. **მაგრამ იმავდროულად, ნურც 500 ბოევიკს დავივიწყებთ, რომლებიც პოლონეთის პოლიგონებზე ქუჩის ბრძოლებში მონაწილეობის მიზნით იწვრთნებიან.**

მე ყველას გირჩევთ, ეს **მამუკა მამულაშვილი** კარგად შეისწავლოთ. 2014 წელს ერთ-ერთი ინტერნეტ გამოცემისთვის მე მასთან ინტერვიუ ჩავწერე. **მამუკა მამულაშვილი** საკმაოდ განათლებული ადამიანია. კარგად ფლობს რუსულ ენას, იცის უკრაინული და ინგლისურიც... ის არ გახლავთ ვიღაც წვერებიანი იდიოტი, რომელიც ვიდეოკამერის წინ მუსკულებს ათამაშებს. **ძალზე ჭკვიანია და საკუთარ თავში დარწმუნებული, კარგად ესმის, რა არის საქართველო და როგორია ქართული რეალობა, ვისზე შეიძლება ფსონის დადება.** ამას გარდა, მან ნატოს სამხედრო ინსტრუქტორთა ეგიდით მომზადების კურსი გაიარა, დენთის სუნი უკრაინაში იყნოსა და ჯერჯერობით ცოცხალმა მოაღწია. ვერ ვიტყვი, რომ მძლეთამძლე იყო ან 7 მეომარს გადაწონის, მაგრამ ამის მიუხედავად, დენთის სუნი მაინც ნაყნოსი აქვს!

**მისი გამოცდილება სრულიად საკმარისია საქართველოში სიტუაციის ასარევად, ისე, რომ დედა შვილს ველარ აიყვანს ხელში.**

ამჯერად უბრალოდ ქართველი სნაიპერები კი არა, „ქართული ლეგიონის“ სნაიპერები გამოვლენ ასპარეზზე, რომლებიც უკვე არიან ამერიკული კერძო სამხედრო კომპანია „Black water“-ის შემადგენლობაში! **სწორედ ისინი გახსნიან ცეცხლს საქართველოში ხალხის მიმართულებით, რათა სისხლი დაიღვაროს და საქართველოს ხელისუფლებამ რყევა დაიწყოს.**

ახლა გაიხსენეთ, თვენახევრის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ეს ყველაფერი ხომ უკვე გვითხრა! მან პირველად მიაწოდა ეს ინფორმაცია რუს საზოგადოებას. და ჩვენ ყველას გვიკვირდა — **ეს როგორ? — საქართველოს პრემიერი, რომელიც ჩვენ მიმართ არცთუ კეთილგანწყობილია, უცებ გამოდის და ამბობს: არავის მივცემთ უფლებას, რუსეთს საქართველოდან მეორე ფრონტი გაუხსნანო...** გამოდის, ის უკვე ფლობდა ამ ინფორმაციას! უკვე იცოდა, ვის გადმოსროლას აპირებდნენ საქართველოში!

**და, უკრაინის შემხედვარე ირაკლი ღარიბაშვილს, უბრალოდ, არ სურს, მის ერს იგივე ხვედრი ერგოს! მას არ სურს, ამერიკელებმა ჩვენ გვირტყან სხვა კუთხიდანაც, ვიდრე „უკანასკნელი ქართველი“ არ შეეწირება ამას!**

ირაკლი ღარიბაშვილს ეს არ სურს, არა იმიტომ, რომ მისი ორიენტაცია პრორუსულია, არა იმიტომ, რომ პუშკინის ტომებს საწოლის ქვეშ ინახავს და რა ვიცი, კიდევ რას აღარ აბრალებენ... **არ სურს, იმიტომ, რომ მანიაკი არ არის და არ სურს, თავისი ქვეყანა ავანტიურაში ჩაათრევინოს!** ჰოდა, უკვე აჰკიდეს ათასგვარი ჭორი, თითქოს მარცხენა მკერდზე — პუტინის პროფილი, ხოლო მარჯვენაზე მედვედევის ანფასი ახატია! არადა, მას, თურმე, თავიდანვე სცოდნია, საითკენ ვითარდება მოვლენები! **ახლა ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა, რის გამოც, შესაძლებელია გეგმა მხოლოდ შეიცვალოს, თუმცა, საბოლოოდ, მასზე უარს მაინც არ იტყვიან!**

ამერიკელები, საერთოდ, სიმბოლოების მოყვარული ხალხია. **ამიტომ მე დაჟინებით ვამბობ, რომ მოვლენები ზუსტად ნოემბერში განვითარდება!** „კომსომოლსკაია პრავდას“ პირდაპირ ეთერში არ ვამტკიცებ, რომ მაინცდამაინც, ვთქვათ, 23 ნოემბერს დაიწყება, რაც 2003 წლის ვარდების რევოლუციის თარიღია... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნოემბრის თვეში მოხდება! **ამერიკელებს სიმბოლოები უყვართ, ამიტომ ნოემბერში შეეცდებიან ჩანაფიქრის განხორციელებას!**

ამერიკელებს არ მოსწონთ **სალომე ზურაბიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს** შორის განვითარებული კონფლიქტი. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველო მათი გავლენის ორბიტიდან გადის. არადა, მათ სჭირდებათ შავი ზღვის კონტროლი, უფრო მეტიც — სურთ, საქართველო ირანის წინააღმდეგ დამატებით პლაცდარმად გამოიყენონ! **სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამჟამად ყარაბაღის მოვლენებისთვის თვალის მიდევნება. იმიტომ, რომ სწორედ სომხეთ-აზერბაიჯანის სიმის ჩამოკვრით შესაძლოა დაიწყოს სამხრეთ კავკასიაში დიდი ომი, რომელშიც პერსპექტივაში ახლო აღმოსავლეთის სხვა მოთამაშეებიც ჩაერთვებიან.** მათ შორის ჩაითრევენ საქართველოსაც თავისი „მაიდნით“. როგორც იტყვიან, ასეთი მოვლენების მომასწავებელი ღრუბლები უკვე იკრიბება!

მოამზადა
**ზაზა დავითაია**

# ველოდოთ რუსეთიდან?

**ვებს, რომ ამ პროექტს ჩამოაცილონ და მის გარეშე გადაწყდეს საკითხი!** აი, ასეთ ჭრილში ვუყურებ საქართველოს უშიშროების სამსახურის მიერ გაჟღერებულ გეგმას მოსალოდნელ შეიარაღებულ გადატრიალებასთან დაკავშირებით და ამავე ჭრილში ვაფასებ კრემლიდან რუსი ჟურნალისტი გოგონას ეგიდით გაჟღერებულ ანალიტიკურ გზავნილს!

რაც შეეხება საქართველოს **სუს**-ს, სპეცსამსახურების საქმე არ არის განცხადების გავრცელება, მათი საქმეა გადატრიალების აღკვეთა და პრევენცია. ამიტომ, **თუ განცხადება სინამდვილეს ასახავს, ვფიქრობ, მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ამსახველ გარკვეულ ინფორმაციულ გზავნილს შეიცავს.** სხვა შემთხვევაში, უშიშროების ინსტიტუტის მხრიდან მსგავსი განცხადების გაჟღერება დაუშვებელია, რადგან ამით, ფაქტობრივად, საკუთარ ინფორმატორებს ჩაუშვებს და სასიკვდილოდ გაწირავს.

**— მაგრამ სუს-ს ხომ, ფაქტობრივად, არც არაფერი უთქვამს ახალი. ამ გეგმის და მისი პოტენციური შემსრულებლების შესახებ წლების წინაც გვქონდა დიდძალი ინფორმაცია და ვაქვეყნებდით კიდეც.**

— ვფიქრობ, **სუს**-ის განცხადება ამ შემთხვევაში შიდა მოხმარების ინფორმაცია გახლავთ. **უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია რუსი ჟურნალისტი გოგონას გამოპასუხება ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით და იმაში დარწმუნება, რომ რუსებმა კარგად იციან მიმდინარე მოვლენების ყოველი წვრილმანი.** ამ ჟურნალისტის ვინაობა არ ვიცი და არც მაინტერესებს, მაგრამ ფაქტია — **ის მწყობრად და ლაკონურად აყალიბებს არა მხოლოდ ჟურნალისტური არხებით მოპოვებულ ცნობებს, არამედ რუსეთის სპეცსამსახურებიდან მიწოდებულ ინფორმაციასაც.** ისიც მნიშვნელოვნად მეჩვენა, რომ თავის დროზე სწორედ ამ გოგონას აუღია **მამუკა მამულაშვილისგან** ინტერვიუ და, დიდი ალბათობით, ამას სპეცსამსახურის დახმარების გარეშე ვერ გააკეთებდა.

**— რა გაფრთხილებას გვაძლევს კრემლი?**

— კრემლი, თავის მხრივ, გვაფრთხილებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და იმის თაობაზეც, რომ **არ დაუშვებს ხელისუფლების გადაბარებას დასავლეთის, ანუ მის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების რეზიდენტებისათვის.** მარტო ჩვენ კი არა, ამ მონოლოგით კრემლი დასავლეთსაც აფრთხილებს, რომ მისი გეგმა გაშიფრული აქვს. ვინც არ უნდა უარყოს, რუსეთს უზარმაზარი გავლენა აქვს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაზე. რამდენიმე დღის წინათ, რუსეთიდან ევროკავშირში და სხვა ქვეყნებში ნავთობპროდუქტების გატანა აიკრძალა და, როგორც ხედავთ, ამას უკვე მოჰყვა ბენზინსა და სხვა ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა!

**თუ რუსეთი იგრძნობს საშიშროებას, რომ დასავლეთი საქართველოში კვლავ თავისი რადიკალი რეზიდენტების დასმას აპირებს, არც ის არის გამორიცხული, რომ ამის**

**ალკვეთის მიზნით თბილისისკენ დაძრას სამხედრო ტექნიკა და ნახევარ საათზე ადრე მოაღწიოს დედაქალაქამდე, რომელიც, შეიძლება, უკრაინის მსგავსად, ბრძოლის ველად გადაიქცეს.**

ფაქტია, რომ დასავლეთს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არ აწყობს. დასავლეთს ქართველები კი არა, ჩვენი გეოგრაფიული ტერიტორია სჭირდება, რათა საკუთარი ინტერესები გაატაროს.

**— და ხელისუფლებაში სააკაშვილი დაბრუნოს?**

— არა. სააკაშვილი უკვე დიდი ხანია, ჩამოწერილი ფიგურაა. მაგრამ საქართველო ისეთი სახელმწიფოების დაზვერვის არეალშია მოქცეული, როგორებიც არიან რუსეთი, ამერიკა, ევროპის ქვეყნები, ისრაელი, თურქეთი, ირანი... **მათთან ერთად ჩვენში აქტიურად მუშაობს სომხების და აზერბაიჯანელების დაზვერვის სამსახურებიც.** ბოლო პერიოდში საქართველოთი ძალიან არის დაინტერესებული **ინდოეთიც!**

**— ჩვენი დაზვერვა რაღას აკეთებს?**

— დაზვერვას დიდი თანხები და პროფესიონალთა ჯგუფები სჭირდება, რაც ძლიერი ქვეყნებისთვის არის ხელმისაწვდომი. **დასკვნების გაკეთებაა საჭირო და, არა განცხადებების გაჟღერება! ჩვენ რომ ძლიერი სპეცსამსახური გვყავდეს, ასეთ განცხადებას კი არ გააკეთებდნენ, არამედ, იმოქმედებდნენ და იგივე მამულაშვილის გუნდში შეგზავნილი საკუთარი მზვერავებისგან მიიღებდნენ ინფორმაციებს,** ხოლო საქმეს იმ მიმართულებით წაიყვანდნენ, რაც ქართველი ხალხის ნებას შეესაბამება!

ესაუბრა **ზაზა დავითაია**

**„ვინც არ უნდა უარყოს, რუსეთს უზარმაზარი გავლენა აქვს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაზე!“**



## „კრემლი, თავის მხრივ, გვაფრთხილებს, რომ არ დაუშვებს ხელისუფლების გადაბარებას დასავლეთის რეზიდენტებისათვის!“

**რა გველის პოლიტიკურად დახუნძლულ შემოდგომაზე და როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომ ეს მძიმე პერიოდი ნაკლები დანაკარგით გავიაროთ, ამას მიხეილ ცაგარელთან ინტერვიუდან შევიტყობთ:**


მიხეილ ცაგარელი:

# კოსმიური შტორმი მოდის, ან გადავრჩებით, ან დავილუპებით!




— წლის განმავლობაში ყველაზე რთულ პერიოდში ვიმყოფებით. გარდა იმისა, რომ დედამიწა უარყოფით ენერგოველში შევიდა, სადაც, თითქმის ორი თვე დარჩება, ოქტომბრის თვეში დაბნელებების დერეფანი გვაქვს გასავლელი. 14 ოქტომბერს მზის დაბნელება და ახალმთვარეობაა, 28 ოქტომბერს — მთვარის დაბნელება და სავსემთვარეობა. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ბნელი ძალების გაძლიერებას. მოიმატებს ემოციური ფონი და აგრესიულობა.

ასევე ნუ დაგვავიწყდება, რომ ოქტომბრის ბოლოს გვაქვს ჰელოუინიც!

**— ეს ხომ ერთი შეხედვით, უწყინარი დღესასწაულია, რომელსაც მავანი წლიდან წლამდე ელოდება?**

— ჰელოუინი მართლაც მიჩნეულია ახალგაზრდების გასართობ დღესასწაულად, მაგრამ სინამდვილეში მასონების მიერ არის შექმნილი. ეს არის ჯადოქრობის ღამე, როცა მთელი მსოფლიოს ჯადოქრები ერთმანეთს უკავშირდებიან და შავი მაგიის სპეციალურ რიტუალებს ატარებენ. შემთხვევით არ ხდება სატანური, სისხლიანი ნიღბების მორგებაც — ამ ღამეს ენერგოვამპირიზი უმაღლეს დონეს აღწევს. ამიტომ ჩემი რჩევაა, 31 ოქტომბერს მაქსიმალურად ავარიდოთ თავი ჰელოუინის აღნიშვნას, პირიქით, ვილოცოთ და გავწმინდოთ სახლი ყველა სახის სიბინძურისგან!

შემოდგომაზე ოპოზიცია თავისი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების პიკს მიაღწევს. მათ ზემდგომებისგან დავალება აქვთ მიღებული — ან ხელში ჩაიგდებთ ძალაუფლებას, ან არჩევნებზე ჩაფლავდებით! ამიტომ იმასაც კი იკადრებენ, რაც დღემდე არ უკადრებიათ, ყველაფერზე წამსვლელები არიან!

**პირდაპირ ვამბობ, კოსმიური შტორმი მოდის და ახლა მთავარი ამოცანაა, ამ შტორმს გადავურჩეთ. საკითხი ასე დგას — ან გადავრჩებით, ან დავილუპებით!**

**— კოსმოსი ბოროტი ძალების მხარესაა?**

— უარყოფითი ენერგოველი და საერთო დაძაბულობა ხელს შეუწყობს სწორედ ბოროტი ძალების არნახულ გაძლიერებას.

საყურადღებოა რეგიონში განვითარებული მოვლენებიც. აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, მაგრამ გვერდით გვყავს **ფაშინიანი** — სომხეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც დასავლეთის მიერ მომზადებული ახალი სააკაშვილია. მისი მთავარი ამოცანაა კავკასიაში სიტუაციის არევა, განსაკუთრებით, აზერბაიჯანსა და საქართველოში. ამიტომაც შეხვდა **ჯორჯ სოროსს** და მიიღო მისგან დიდძალი თანხა.

ზოგადად, სამყარო არის დიდი ცვლილებების წინაშე, არაერთხელ მისაუბრია, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებზე, მასონური ჯგუფების შესახებ, რომელთა ხელშიც არის ძალაუფლება და ცდილობენ მსოფლიოს გადანაწილებას. თქვენი მკითხველისთვის დაწვრილებით განმიმარტავს ისიც, რომ ხდება ადამიანთა და ცოცხალ არსებათა მეოთხე განზომილებაში გადაყვანა, რაც კატაკლიზმების საკმაოდ რთული პროცესია. ასევე არაერთხელ გამისვამს ხაზი, რომ 2023, განსაკუთრებით კი 2024-2025 წლები, მსოფლიოს გადანაწილების კუთხით გადამწყვეტი იქნება, რადგან დიდ მოთამაშეებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული.

**ევროკავშირში შესვლა, ხელფასების მომატება და ა.შ. ყველაფერი მეორეხარისხოვანია. მთავარია, გადავრჩეთ და ვეებერთელა სახელმწიფოების პოლიტიკურ თამაშში არ გავიჭყლიტოთ.**

ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ შიდა თუ გარეშე მტრებმა მოახდინონ ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრა. ჩვენმა მთავრობამ არნახული ძალიხმევა და დიპლომატია უნდა გამოავლინოს, რომ არ აჰყვეს პროვოკაციებს. ვიმეორებ — **ეს ორი თვე ყველზე რთული და გადამწყვეტია საქართველოსათვის!**

**— ლამის ყველა შემოდგომასა თუ გაზაფხულზე აქტიურდება რევოლუციის თემა... ფიქრობთ, რომ ამჯერად ხელისუფლების გადატრიალება რეალურია?**

— ახლა სხვა დრო და ვითარებაა. ომამდე ნათქვამს სხვა ძალა ჰქონდა, დღევანდელს სხვა ძალა აქვს. როცა დაინახეს, რომ უკრაინაში ისე არ ვითარდება მოვლენები, როგორც თავად სურდათ, გაამკაცრეს მიდგომები.

**ხშირად გვესმის – რუსეთი უკრაინას ვერ ერევაო. ეს ზღაპრები სხვაგან მოჰყვნენ! რუსეთი ტაქტიკურად იქცევა – ცდილობს, ნატოს, ევროპასა და შტატებს ნელ–**

## კვირგვინოსნები

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



კაცი პრემიერ-მინისტრია და **ერთი „დანაშაული“ ვერ ამოუქექეს ნაცარქექიებმა!** ხვდებით, როგორი სუფთა ცხოვრებით ცხოვრობს **ირაკლი ღარიბაშვილი?** არადა, სახელმწიფო ქონების განიავებაზე და **ბიუჯეტის ფულით ბოზების დაფინანსებაზეა დაჭერილი მათი „დემოკრატიის შუქურა“...** კორუფციაზე და ნარკომანიაზე **იჭერენ ამერიკის პრეზიდენტის შვილს!** ამერიკის პრეზიდენტს **იმპიჩმენტს უმზადებენ** კორუფციის საბაბით! ევროპარლამენტარები **კორუფციის ფაქტებზე დაიჭირეს! ხოშტარია** რუსეთიდან იკვებება! **დედა გიულა** 135 მილიონის მფლობელია!

„ალია“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



2012 წელს **პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა წამოვიწყე,** რისი საფუძველიც იყო ის, რომ **აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი, დადგნენ ქედზე და ამით მოაქციეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი — დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს.** ამ დროს პრეზიდენტი და მთავარსარდალი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნდა დაეცვა, **ჩარტერული რეისით გადაფრინდა იტალიაში.** იქ ადგილობრივი ქართველები გადააწყდნენ და ფოტოები გადაუღეს, როგორ დადიოდა, **ძვირადღირებულ საათებს ყიდულობდა.** ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა და კაცი **ბიუჯეტის ხარჯზე წავიდა შოპინგისთვის. ესკობარის — მთავარი ნარკობარონის საფლავის მონახულება სახელმწიფო ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული?**

„TV იმედი“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



არ გამოვრიცხავ, რომ **ნაცმოძრაობის წევრებმა მხარი დაუჭირონ პრეზიდენტის იმპიჩმენტს.** მსგავსი პრეცედენტები გვახსოვს — რამდენიმე თვის წინ „ოცნებამ“ სასამართლოში **მურუსიძის კლანი** სწორედ ნაცმოძრაობის ფრაქციის წევრების დახმარებით გააძლიერა.

„კვირის პალიტრა“

**ნელა ის იარაღი გაუნადგუროს, რომლითაც უკრაინას ამარაგებენ.**

ხედავთ, რა ხდება ყარაბაღში? რაც არ გამოუვიდათ საქართველოში, იმის გაკეთებას ცდილობენ სომხეთში, რომ როგორმე კავკასიაში სიტუაცია არიონ.

სკანდალი, რომელიც **ფარცხალაძის** ირგვლივ არის ატეხილი, არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთი კონკრეტული მოვლენა, ეს ოკეანის გაღმიდან მართული პროცესია. **ყველა გზითა და საშუალებით ცდილობენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას, ეკონომიკის მოშლას და, შესაბამისად, მთავრობის ჩამოშლას.**

ცხონებულ **ლეონიდ ბრეჟნევს** დავცინოდით და დღეს დაახლოებით ამ მდგომარეობაშია **ბაიდენი.** ის და მისი შვილი კორუფციაში არიან ჩაფლულნი. ეს არის ჩვენი სათაყვანებელი, დემოკრატიის საბადო? ის დასავლეთი გვინდა, სადაც დედაშვილს უფლება აქვთ ერთმანეთთან სქესობრივ კავშირში იყვნენ?

**— გამოდის, ღარიბაშვილის ხელისუფლებამ, მათ შორის, ეროვნულმა ბანკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო სანქციებთან დაკავშირებით?**

— ღარიბაშვილის მთავრობა აბსოლუტურად სწორად მოიქცა!

ეროვნული ბანკი მთლიანად საერთაშორისო სავალუტო ფონდს ექვემდებარება და შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, ჩვენი მთავრობები ყურებით ჰყავთ დაჭერილი. საქართველოსთვის თანხებს იმის მიხედვით გამოყოფენ, რასაც თავად თვლიან საჭიროდ, მათ კი რა სურთ? ეკონომიკურად და პოლიტიკურად სრულ მორჩილებაში ჰყავდეთ ხალხი, რომ ადვილად მართონ და ქვეყანაში მათთვის სასურველი პოლიტიკა გაატარონ. მათ ეკონომიკურად გამართული საქართველო არაფერში აწყობთ. თუ ყველაფერს ისე არ გავაკეთებთ, რასაც გვეტყვიან და ვიურჩებთ, მომენტალურად დაგვსჯიან. ეროვნულ ბანკს აიძულებენ, ჩვენს ბანკებს მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაუწესონ. **თუ დასავლეთში 1-2 პროცენტია, აქ 19-20 პროცენტი გახლავთ! ამიტომაც არის ხალხი მუდმივ გაჭირვებაში და ხელი ეშლება ეკონომიკის განვითარებასაც.**

**ნათია თურნავამ** სწორი გადაწყვეტილება მიიღო — კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ საქართველოს აქვს უფლება, დაასანქციროს ამ ქვეყნის მოქალაქე, თუმცა, ამასთანავე, ეს არის დასავლეთისთვის გაწნილი სილა, რასაც, რასაკვირველია, მათი მხრიდან რეაგირება მოჰყვება და ხელისუფლება მზად უნდა იყოს.

ჩათვალეთ, ირაკლი ღარიბაშვილი იმ გემის კაპიტანია, რომელიც შტორმში მოხვდა და სამშვიდობოს უნდა გაიყვანოს.

**— შეძლებს კი ქვეყნის შტორმიდან დახსნას მაშინ, როდესაც ოპოზიციამ სულ ახლახან ჩარტერული რეისებით ფრენაში დაადანაშაულა?!**

— შეიძლება, ირაკლი ღარიბაშვილიც უშვებს შეცდომებს, 100 პროცენტით ყველას არ მოეწონოს, მაგრამ ნამდვილად პატრიოტია, რომელსაც შეუძლია, სწორი პოლიტიკით ქვეყანა გადაარჩინოს — არ აქციოს დიდი მოთამაშეების სამიზნედ. ირაკლი ღარიბაშვილი ის მმართველია, ვისზეც ნამდვილად შეიძლება დაყრდნობა. მისი ავტორიტეტი, მათ შორის, საერთაშორისო სარბიელზე, დღითი დღე იზრდება, რაც, სხვათაშორის, ძალიან აღიზიანებს ოპოზიციას.

უდიდესი ძალისხმევა და დიპლომატიურობა სჭირდება საქართველოს პრემიერს, რომ თავისი ურჩობით არ გაამწაროს დასავლეთის მონსტრები, თან ისიც აგრძნობინოს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისი კონსტიტუცია, ისტორია, კულტურა, ეკონომიკა და ღირსება! **იმედი მაქვს, ეყოფა ძალა და ისეთ მკვეთრ მოძრაობებს არ გააკეთებს, რომ ამერიკა-ევროპამ საბოლოოდ გადააყირაოს ეს ხელისუფლება.**

არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ოპოზიციის დავალება არის ქვეყნის წინსვლაში ხელის შეშლა, ამიტომაც მიედ-მოედებიან ყველაფერს. მათთვის სჯობს, ენა გაიკმინდონ, თორემ თითოეულ მათგანს იმდენი მამაძაღლობა აქვს ჩადენილი და ისეთ წილებში არიან, ცხვირი არ გამოეყოფათ გარეთ.

პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ვისზე რა უნდა თქვას? თავად რა ფულით დადის წინ და უკან? რა ფულით ეწევა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას და ათახსირებს ქვეყანას? დღეს რომ ყველა ბრუნვაში ატრიალებენ **ფარცხალაძის** სახელს, თავის დროზე ვინ მოიყვანა ის ხელისუფლებაში? **დამერწმუნეთ, ფარცხალაძეც მაშინვე კარგ ბიჭად გადაიქცევა, ნაციონალების მხარე რომ დაიჭიროს.** სალომე ზურაბიშვილს პირდაპირ ადანაშაულებდნენ რუსეთის აგენტობაში, დღეს კი ძვირფასი ადამიანია მათთვის — სიამოვნებით ხვდებიან, მეტიც, ელოლიავებიან. და, საერთოდ, ვინ ჩამოიყვანა **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოში? — სააკაშვილმა! ვინ შეუკვეთა სააკაშვილს ზურაბიშვილი? — ამერიკულ-ევროპულმა მასონურმა ძალებმა, რომელთა მიზანია, საქართველოს მთავრობა მონობაში ჰყავდეს. დიახ, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს „შეუგდეს“, დღეს თავის ნამდვილ სახეს აჩვენებს, რასაც ამდენი ხანი მალავდა. **მას საკმაოდ რთული დავალება აქვს შესასრულებელი — მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გამოხსნა!**

**— როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს? მან ორჯერ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არასოდეს მოხდება.**

— სალომე ზურაბიშვილს ფულს უხდიან და რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს! არ არის იმ კატეგორიის ადამიანი, რომლის სიტყვასაც შეიძლება პატივი სცე და დაეყრდნო.



სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი

## ,,აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, მაგრამ გვერდით გვყავს ფაშინიანი – სომხეთის პრემიერი, რომელიც დასავლეთის მიერ მომზადებული ახალი სააკაშვილია!“

**საკითხი ახლა ასე დგას, ვინ ვის დაასწრებს – მთავრობა გადააყენებს პრეზიდენტს თუ სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს.**

**ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმოქ-**

*გაგრძელება მე–14 გვერდზე*



ჰანტერ და ჯო ბაიდენები

**„ცხონებულ ლეონიდ ბრეჟნევს დავცინოდით და დღეს დაახლოებით ამ მდგომარეობაშია ბაიდენი. ის და მისი შვილი კორუფციაში არიან ჩაფლულნი. ეს არის ჩვენი სათაყვანებელი, დემოკრატიის საბადო?“**



**„ზურაბიშვილმა ვისზე რა უნდა თქვას? თავად რა ფულით დადის წინ და უკან? რა ფულით ეწევა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას და ათახსირებს ქვეყანას?“**

### კვირგვინოსნები



**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*

ჩვენ უნდა მოვემზადოთ **უკრაინაში ხანგრძლივი ომისთვის.**

„რეზონანსი“



**რეჯეფ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*

**თურქეთისა და ევროკავშირის გზები შესაძლოა, გაიყაროს!**

„რეზონანსი“



**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*

**ბორელის** მესიჯი დაახლოებით ასეთია: **სალომე ზურაბიშვილი** ჩვენიანია და როგორ შეიძლება მის მიმართ იმპიჩმენტი დაიწყოთ, **თუნდაც მან კონსტიტუცია დაარღვიოს!**

„ახალი თაობა“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

**ზურაბიშვილს** ევროპაში **თითქმის ყველა შეხვედრაზე დაუსვეს ჩემი გათავისუფლების საკითხი,** ყველგან განაცხადა უარი.

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**მედოს და დაასწროს ზურაბიშვილს. თუ სააკაშვილს ციხიდან დაიხსნის და ახალი რევოლუციური ტალღის აგორებას შეუწყობს ხელს, მერე მის იმპიჩმენტს აზრი აღარ ექნება.** წარმოიდგინეთ, რა მოჰყვება სააკაშვილის ციხიდან გამოშვებას — წამოვა ახალი ფინანსები და გაძლიერდება მისი ჯგუფი!

**— იმის თქმა გსურთ, რომ სააკაშვილი პოლიტიკურად ისევ ცოცხალია, მეტიც, ციხიდან გამოსული ექსპრეზიდენტი უფრო საშიში და სახიფათოა?**

— მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს. მარტო უკრაინაზე და ზელენსკიზე რამდენი რამ იცის. პირი რომ დააღოს, ნახევარი მსოფლიო შეიძლება აფეთქდეს. ამიტომაც ეშინიათ და ცდილობენ მის განთავისუფლებას. აწყობთ მისი ახალ ფრონტში ჩართვა.

**ალბათ, უკვე მეათასედ ვამბობ – დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი მტერი უკრაინა და ზელენსკია, რომელთანაც სააკაშვილს პირდაპირი კავშირები აქვს.**

**თვითონაც არ მალავენ — რუსეთის დამარცხების შემდეგ საქართველოში ტანკებით შემოვალთ და ხელისუფლებაში სააკაშვილს მოვიყვანთო.** საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი, როგორ იქცევიან უკრაინელები საქართველოში. **პირადად შევესწარი „რონიკოს" მაღაზიაში, უკრაინელმა ქალებმა როგორ დაამტვრიეს სათვალეები. ძვირია — ან დაგვიკელით, ან გვაჩუქეთო.** როცა პასუხად უარი მიიღეს, იატაკზე დაყარეს და ზედ გადაუარეს. არც პატრულის გამოძახებას შეუშინდნენ — პოლიცია ხელს ვერ გვახლებს, უკრაინელი ლტოლვილები ვართო. მათი აღვირახსნილი საქციელი ყოველგვარ ზღვარს გადადის!

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში უკრაინასთან ურთიერთობას ვერ გავწყვიტავთ, მაგრამ ხომ შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში პრივილეგიებით არ სარგებლობდნენ, თავზე არ გვასხდნენ და მათი დროშები არ ფრიალებდეს? **ნორმალურია, იმ ქვეყნის დროშების ფრიალი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი მტერია, გვაგინებს და გვლანძღავს?!**

აქვე მივმართავ ტელევიზიებს — რატომ ატყუებთ ქართველ ხალხს უკრაინელების გამარჯვებებზე გაუთავებელი საუბრით? სულ სხვა რაღაც ხდება და სულ სხვა ინფორმაციებს აწვდით მოსახლეობას.

**— მაინც რა არის რეალობა?**



# მიხეილ ცაგარელი:

**„პირადად შევესწარი „რონიკოს" მაღაზიაში, უკრაინელმა ქალებმა როგორ დაამტვრიეს სათვალეები. ძვირია — ან დაგვიკელით, ან გვაჩუქეთო. როცა პასუხად უარი მიიღეს, იატაკზე დაყარეს და ზედ გადაუარეს. არც პატრულის გამოძახებას შეუშინდნენ — პოლიცია ხელს ვერ გვახლებს, უკრაინელი ლტოლვილები ვართო!"**

# მთავრობა და ხალხი გვერდით უნდა დავუდგეთ საქართველოს პრემიერს, რომ გადავრჩეთ!



**„შეიძლება, ირაკლი ღარიბაშვილიც უშვებს შეცდომებს, 100 პროცენტით ყველას არ მოეწონოს, მაგრამ ნამდვილად პატრიოტია, რომელსაც შეუძლია, სწორი პოლიტიკით ქვეყანა გადაარჩინოს — არ აქციოს დიდი მოთამაშეების სამიზნედ!"**

— მიწისქვეშა ბუნკერი, სადაც ბრიტანელი და ამერიკელი სპეციალისტები იყვნენ, რუსებმა ისე გაანადგურეს, რომ აზრზეც ვერ მოვიდნენ, 40 ოფიცერი დაეღუპათ, მათ შორის — სადაზვერვო, მაგრამ ტელევიზიებს ამის შესახებ არაფერი უთქვამთ. **ერთია, რასაც საინფორმაციოები ავრცელებენ და მეორე — ის დასკვნები, რასაც ამერიკელი და ბრიტანელი გენერლები წერენ.**

პერმანენტული ომი მიდის იმისათვის, რომ ამერიკული და ევროპული საუკეთესო ტექნიკის განადგურება მოხდეს. როგორ გგონიათ, რუსეთი, რომელსაც სასწაული რაკეტული სისტემები აქვს, თავიდანვე არ გაანადგურებდა დასავლურ ტექნიკას?! უბრალოდ, ეს თამაში აწყობთ. 700 ათასი უკრაინელი ჯარისკაციდან 350 ათასი უკვე ცოცხალი აღარ არის. უახლოეს 2 წელიწადში ეს ნახევარიც აღარ დარჩება და რაც მოუვა უკრაინას, ნატოსა და ევროპას, თავადაც ნახავთ!

**— ჯერ კიდევ როდის თქვით — ნელ-ნელა ჩაესვენება ამერიკის და ევროპის მზე, საითაც შავი მთვარე — მაცდუნებელი ძალა გადადისო...**

— იმასაც ვამბობდი — აღმოსავლეთისკენ მოდის მფარველი ანგელოზი სელენა-მეთქი. ასე რომ, **მომავალი არის საქართველოსი, ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთის, ოღონდ — სხვანაირი რუსეთის.** იქაც იქნება ძალიან დიდი ცვლილებები და სულ სხვანაირად განვითარდება ეს ქვეყანა. ამას საკუთარი თვალით დაინახავთ მომავალში. აი, ამის დათმობა არ სურთ ამერიკაში, ბრიტანეთსა თუ ევროპაში მოკალათებულ მასონებს.

არავითარი ევროკავშირები და ნატო-შმატოები — ქვეყანა დგას სასწორზე — ან გადავრჩებით, ან — არა! **ნუ ფიქრობთ, რომ უკრაინა-რუსეთის ომით დასრულდება ყველაფერი. წინ კიდევ ბევრის ომები, არ არის გამორიცხული — ნატოსა და რუსეთს შორისაც!** ასეთ დროს საქართველო მხარე არ უნდა იყოს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მთავრობის პოლიტიკაზე. **ჯერჯერობით პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს სწორი გზით მიჰყავს ქვეყანა და მთავრობა და ხალხი გვერდით უნდა დავუდგეთ, რომ გადავრჩეთ!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„ნათია თურნავამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო – კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ საქართველოს აქვს უფლება, დაასანქციროს ამ ქვეყნის მოქალაქე, თუმცა, ამასთანავე, ეს არის დასავლეთისთვის გაწნილი სილა, რასაც, რასაკვირველია, მათი მხრიდან რეაგირება მოჰყვება და ხელისუფლება მზად უნდა იყოს!"**

## კვირგვინოსნები

**ედიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



სამართლიანია **აგენტ ლომჯარიას სახაროვის პრემიაზე წარდგენა.** მეტიც, მას უკონკურსოდ უნდა მიანიჭონ ეს ჯილდო, რადგან **ისიც ისეთივე მტერია, როგორიც იყო საქართველოსთვის ანდრეი სახაროვი და მისი მეუღლე ელენა ბონერი.** ისინი ქართველთმოძულენი იყვნენ. ქართველთმოძულეთა პრემიას თუ მიიღებს **ლომჯარია,** ღმერთმა „მშვიდობაში" მოახმაროს.

„საერთო გაზეთი"

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**სახაროვის სახელობის პრემიაზე ლომჯარიას წარდგენა** პარტნიორების თვალში ქვეყნის იმიჯს ამაღლებს.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე*



გავლენიანმა დასავლურმა ძალებმა გადაწყვიტეს, **ნინო ლომჯარია** ქართველ **მაია სანდუდ** იქცეს და მის მსგავსად უსიტყვოდ შეასრულოს **„ომის პარტიის"** ყველა მოთხოვნა, მით უმეტეს, **ეს ქალბატონი ლგბტ ალლუმების თავგამოდებული პროპაგანდისტიც არის.**

„იმედინიუსი"

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის" ლიდერი*



**ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს!**

„ახალი თაობა"

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**მომავალი წლის პარლამენტში „ქართული ოცნება" არ იქნება!**

„ახალი თაობა"

№55 (223) ★ 2023 წლის 25 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*„გასეირნება ყარაბაღში“ პოპულარული ქართული ფილმია, რომელიც რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ 2000-იანი წლების დასაწყისში გადაიღო, თანამედროვე ქართველი მწერლის აკა მორჩილაძის რომანის „მოგზაურობა ყარაბაღში“-ს მიხედვით. რაც შეეხება „შესეირნებას ყარაბაღში“, ამის მომსწრენი გასულ კვირას გავხდით, როცა აზერბაიჯანის სამხედრო ძალებმა მთიან ყარაბაღში მართლაც რომ „შეისეირნეს“ და სულ რამდენიმე საათში დაამყარეს კონტროლი ტერიტორიაზე, რომელიც, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ბაქოსა და ერევნის მტრობის მთავარი მიზეზი იყო.*




# შესეირნება ყარაბაღში

*მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის სამხედრო ძალების რამდენიმესაათიან „შესეირნებას“ **ალიევის ხელისუფლებამ** ანტიტერორისტული ოპერაცია უწოდა, მეორენაირად კი მას უკვე დაარქვეს **„ერთდღიანი ომი“**, რომელმაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული სტატუს-კვო უეცრად შეცვალა.*

***სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით აღმოსავლეთმცოდნესა და დიპლომატს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სომხეთის რესპუბლიკაში ბიძინა ბარამიძეს:***

— სომხეთის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა** ჯერ კიდევ 2020 წელს საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონისა** და ევროსაბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელის** თანდასწრებით აღიარა, რომ **მთიანი ყარაბაღი** აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილია, ხოლო ახლა, როცა აზერბაიჯანი ყარაბაღში ე.წ. ანტიტერორისტულ ოპერაციას ატარებდა, სომხეთის ხელისუფლებამ განაცხადა — **ჩვენი თავდაცვის ძალები ყარაბაღისა და აზერბაიჯანის კონფლიქტში არ ჩაერთვებიანო!**

თუმცა, სომხეთს დღეს ისედაც არანაირი სამხედრო რესურსი არ გააჩნია, რომ ნატოს წევრი თურქეთის მიერ ზურგგამაგრებულ აზერბაიჯანს წინააღმდეგობა გაუწიოს!

**— ერთი შეხედვით, სომხეთის ხელისუფლება ყარაბაღს იოლად შეელია და არც სომხეთის მოსახლეობაში გამოუწვევია მაინცდამაინც დიდი მღელვარება აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღზე კონტროლის დამყარებას... რატომ?**

— ჯერ კიდევ 2018 წელს, როცა სომხეთის ხელისუფლებაში პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი **ფაშინიანი** მოვიდა, სომეხი პოლიტოლოგების დიდმა ნაწილმა განაცხადა — **მორჩა, მთიანი ყარაბაღი უნდა დავივიწყოთ, ჩვენ მას აუცილებლად დავკარგავთო!** როგორც ჩანს, ისინი თავიდანვე აცნობიერებდნენ, რომ ყარაბაღი ზედმეტი ტვირთი და ბარიერი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომლის მიზანსაც სომხეთსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენების ამოძირკვა წარმოადგენს.

## პოლიტიკური ექსპერტიზა ★

**ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ცალკეულ ამერიკელ კონგრესმენთა და ევროპარლამენტართა განცხადებები, რომ, თუ ქართველებს ნატოში გაწევრიანება გვინდა, აფხაზეთი და სამაჩაბლო უნდა დავივიწყოთ... აი, დაახლოებით ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა კოლექტიურ**

**„აშშ-ისა და ნატო-ს მთავარი ინტერესია, როგორმე მოსწყვიტონ კრემლის გავლენის სივრცეს სომხეთის ტერიტორია, სადაც რუსული სამხედრო ბაზებია განლაგებული!“**



## ბიძინა ბარამიძე:

# ყარაბაღი ზედმეტი ტვირთი და ბარიერი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომლის მიზანსაც სომხეთსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენების ამოძირკვა წარმოადგენს!

## დასავლეთს სომხეთთან და ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებითაც!

ის ფაქტიც, რომ აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღზე კონტროლის დამყარებამ სომხეთში მასობრივი მღელვარება არ გამოიწვია და განრისხებული ხალხი **ფაშინიანის ხელისუფლების** გადასაჯეგად ქუჩაში არ გამოცვივდა, ერთ რამეზე მეტყველებს — **ამერიკის საელჩომ და დასავლეთიდან დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წლების განმავლობაში დიდი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს, რათა სომეხი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობისათვის, ყარაბაღის დაკარგვა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო!**

**— გამოდის, აშშ-სა და დასავლეთს აწყობდათ, რომ სომხეთს მთიანი ყარაბაღი დაეკარგა?**

— შეუძლებელია, ყარაბაღთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები გეოპოლიტიკური კონტექსტიდან ამოგლეჯილად განვიხილოთ, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ახალ მსოფლიო წესრიგთან, რომელიც დღეს, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ყალიბდება. თვით აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ბლინკენიც** კი იძულებული გახდა, ირიბად ეღიარებინა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო აღარ არსებობს, ანუ გეოპოლიტიკურ საკითხებს ერთპიროვნულად ვერავინ გადაწყვეტს — ვერც ამერიკა, ვერც რუსეთი და ვერც ჩინეთი!

რაც შეეხება სომხეთს, ცხადია, კოლექტიურ დასავლეთს მისი ტერიტორიული მთლიანობა სულაც არ ადარდებს, აშშ-ისა და ნატო-ს მთავარი ინტერესია, როგორმე მოსწყვიტონ კრემლის გავლენის სივრცეს სომხეთის ტერიტორია, სადაც რუსული სამხედრო ბაზებია განლაგებული.

ამავე მიზანს ემსახურება აშშ-ისა და დასავლეთის მრავალწლიანი მცდელობა, როგორმე დაათბონ ურთიერთობა სომხეთსა და თურქეთს შორის. კერძოდ,

**კოლექტიური დასავლეთი დიდი ხანია, იდეოლოგიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებს, რომ სომხების გენოციდი ოსმალეთმა მოახდინა და თანამედროვე თურქეთი არაფერ შუაშია...**

ასე სურთ, სომეხ ერში მოშალონ **თურქეთის შიშის სინდრომი** და ლამის გენეტიკურად გამჯდარი განცდა, რომ თურქეთის აგრესიის შემთხვევაში სომხეთს მშველელად რუსეთი მოევლინება!

**— ფაქტია, რომ ყარაბაღის ბოლო მოვლენებთან მიმართებით რუსეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ყოველ შემთხვევაში, სომხეთის სასარგებლოდ არ ჩაერია და ამით სომეხი საზოგადოების ნაწილი აღაშფოთა — ვიხილეთ საპროტესტო აქცია ერევანში რუსეთის საელჩოს შენობასთან...**

— რუსეთს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, ხელი შეეშალა ყარაბაღში აზერბაიჯანის ანტიტერორისტული ოპერაციისათვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2020 წელს თავად სომხეთის პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა. ამავე მიზეზით არ ჩაერია საქმეში **„ოდეკაბეც“** — კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია, რომლის წევრი სომხეთიც გახლავთ.

სამაგიეროდ, რუსეთმა ჰუმანიტარული ფუნქცია შეასრულა — ყარაბაღში დისლოცირებულმა რუსულმა სამშვიდობო ძალებმა კონფლიქტის ზონიდან 5000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე გამოიყვანეს. გარდა ამისა, რუსეთმა გაუწია მედიატორობა სტეფანაკერტის დეპუტაციის მოლაპარაკებებს აზერბაიჯანულ მხარესთან, სადაც იმაზე იყო საუბარი, თუ როგორ უნდა მოხდეს ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის ინტეგრაცია აზერბაიჯანის იურისდიქციაში.

რუსეთი დაინტერესებულია, რომ ყარაბაღი სომხებისაგან არ დაიცალოს, რათა დღის წესრიგში არ დადგეს საკითხი — რაღა საჭიროა ყარაბაღში რუ-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# პოლიტიკური ექსპერტიზა ★



**„სომხეთის ხელისუფლება ენდო დასავლეთის გარკვეულ წრეებს, მაგრამ რა მიიღო? მხოლოდ მარცხი და მთიან ყარაბაღზე კონტროლის დაკარგვა!“**

## გიგლა ბარამიძე:

# სომხეთს, რუსეთის გარდა, ახლო სამეზობლოში ერთადერთი ძლიერი მხარდამჭერი ჰყავდა ირანის სახით, მაგრამ იმანაც ზურგი აქცია!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

სული სამშვიდობო ძალების ყოფნა, თუ იქ სომეხი მოსახლეობა აღარ არის და ვითარების გამწვავების საფრთხე აღარ არსებობს?

კრემლში კარგად იციან ისიც, რომ აშშ და დასავლეთი მალე გააქტიურებენ საკითხს — ყარაბაღის პრობლემა მოხსნილია, აზერბაიჯანმა საკუთარი ტერიტორია დაიბრუნა და რატომღა უნდა იყოს სომხეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზები ან რაღა ესაქმებათ ყარაბაღში რუს სამშვიდობოებსო?! სწორედ ამიტომ, რუსებმა დასწრებაზე ითამაშეს და განაცხადეს — **ყარაბაღში სამშვიდობოების კი არა, დამკვირვებლების სტატუსით ვრჩებითო!**

**— აზერბაიჯანის მიერ მთიან ყარაბაღზე კონტროლის დამყარება ჩვენს რეგიონში რა ცვლილებებს გამოიწვევს?**

— უპირველეს ყოვლისა, მოიხსნება **ზანგეზურისა და ლაჩინის დერეფნების** პრობლემა, რაც მნიშვნელოვანია არამხოლოდ აზერბაიჯანისათვის, არამედ რეგიონის კიდევ ორი დიდი მოთამაშის — თურქეთისა და ირანისათვის. **ზანგეზურის დერეფანი** არის სახმელეთო გზა, რომლითაც ბაქო უკავშირდება თავისივე რეგიონს — მთიანი ყარაბაღის შემდეგ მდებარე ნახჭევანს... **სანამ ყარაბაღის პრობლემა არსებობდა, ეს გზა გაწყვეტილი იყო, ახლა კი აზერბაიჯანს შეუძლია, ყოველგვარი შუამავლებისა თუ მედიატორების გარეშე დაუკავშირდეს ნახჭევანს.** რაც შეეხება **ლაჩინის დერეფანს,** რომელიც არცახის, ანუ ყარაბაღის მოსახლეობისთვის სომხეთთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზას წარმოადგენს, აქამდე მისი კონტროლი რუს სამშვიდობოებს ევალებოდათ, ახლა კი უკვე აზერბაიჯანის კონტროლქვეშ მოექცა.

ამიერიდან, **ზანგეზურის დერეფნის** გამოყენებით, აზერბაიჯანთან ერთად თურქეთი და ირანიც გადაზიდავენ თავიანთ ენერგორესურსებს შუა აზიაში და პირიქით.

სხვათაშორის, ირანმა, რომელიც თურქეთის გასაღიზიანებლად ყოველთვის მხარს უჭერდა სომხეთს, ახლა მკაფიოდ განაცხადა, რომ ყარაბაღი არის აზერბაიჯანის ტერიტორია. **მოკლედ, სომხეთს, რუსეთის გარდა, ახლო სამეზობლოში ერთადერთი ძლიერი მხარდამჭერი ჰყავდა ირანის სახით, მაგრამ იმანაც ზურგი აქცია!**

**— და რატომ მოხდა ასე?**

— ირანმა დაინახა, რომ **ფაშინიანის ხელისუფლება** რუსეთსა და ამერიკას შორის ორმაგ თამაშს თამაშობდა და მაშინვე მკაფიოდ მიანიშნა — **„არა, ამ რეგიონში ამერიკელები არ უნდა იყვნენ!“**

თუ სომხეთი საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებაზე დაიწყებს ფიქრს, ირანი მისი უპირველესი მტერი გახდება!

საერთოდ, ყარაბაღის ბოლოდროინდელი მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკაში მუდმივი არაფერია და ყველაფერი შეიძლება, ერთბაშად ამოყირავდეს. მაგალითად, 1994 წელს, როცა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი დაიწყო, რუსეთი სომხებს უჭერდა მხარს, რომლებმაც სწორედ კრემლის დახმარებით მიაღწიეს წარმატებას ყარაბაღში, მაგრამ დღეს რუსული ვექტორი აზერბაიჯანისაკენ გადაიხარა და რუსებმა აზერბაიჯანელებს საშუალება მისცეს, ყარაბაღში ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაეტარებინათ.

თუნდაც, თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობა ავიღოთ... ისინი დღეს თითქოს მოკავშირეები არიან, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ხვალ, რადგან თურქეთს ერთი სული აქვს, რუსული სამხედრო ბაზები მთელი ამიერკავკასიიდან თუ არა, ყარაბაღის ტერიტორიიდან მაინც გავიდნენ!

**— შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის დაბრუნებით სამხედრო კონფლიქტი ამოიწურა და სამხრეთ კავკასიაში მშვიდობას საფრთხე აღარ ემუქრება?**

**— ყარაბაღში სომხეთის მარცხის გამო განსაკუთრებით გაბრაზებული და გამწარებულია მსოფლიოს უდიდესი სომხური დიასპორა, რომელიც სერიოზულ ძალას წარმოადგენს და არცახის დაკარგვას ადვილად არ შეეგუება.**

იგივე განწყობაა სომხეთის სასულიერო ოფიციოზშიც. ამდენად, რეგიონში დაძაბულობა ასე მარტივად არ ჩაცხრება, მითუმეტეს, რომ გლობალურ ომის პარტიას ერთი სული აქვს, რუსეთის გარშემო ახალ-ახალი ცხელი წერტილები გააჩინოს.

**— რა გავლენას მოახდენს საქართველოზე ყარაბაღში სტატუს-კვოს შეცვლა და რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ქართულ სახელმწიფოს?**

— მოსალოდნელია, რომ მთიანი ყარაბაღიდან სომეხი ლტოლვილების დიდი მასა დაიძვრება, რომლის ნაწილი რუსეთში წავა, ნაწილი კი შესაძლოა, საქართველოს მოაწყდეს და ჩვენი ხელისუფლება ამ პროცესს სათანადოდ მომზადებული უნდა შეხვდეს.

**სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში საქართველოს პოზიცია, რა თქმა უნდა, შუამავლისა და მედიატორის როლს არ უნდა გასცდეს** — ნეიტრალური უნდა ვიყოთ და ვიმოქმედოთ „მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივის“ ფარგლებში, რაზეც ხაზგასმით ისაუბრა კიდეც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას.

ყარაბაღის მაგალითმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ დღევანდელ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში არ შეიძლება, ვინმეს ბრმად ენდო და საფლავში ჩაჰყვე. **სომხეთის ხელისუფლება ენდო დასავლეთის გარკვეულ წრეებს, მაგრამ რა მიიღო? მხოლოდ მარცხი და მთიან ყარაბაღზე კონტროლის დაკარგვა!**

ასე რომ, საქართველო ძალიან ფრთხილად უნდა იყოს! მთავარია, შევინარჩუნოთ მშვიდობა, რომელიც დღეს ასე ძვირად ფასობს და ხელისუფლებამ ქვეყნის არევის საშუალება არ მისცეს **„მეხუთე კოლონას“,** რომელიც სისხლისღვრისა და სახელმწიფო გადატრიალებისათვის ემზადება!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



# შესაირნება ყარაბაღში

# ისტორიკოსის თვალით ★



*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2023 წლის №43-44-55*

## სვიმონ მასხარაშვილი:

# შევარდნაძე თემურ ლენგის შემდეგ საქართველოს ისტორიაში შესულია ქვეყნის ნომერ პირველ მტრად!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობის უკანასკნელ პერიოდს იხსენებს და იმ ჩავარდნასა და კატასტროფაზე მიგვანიშნებს, რომელმაც 1983-1984 წლებში ქართველი კაცის ცხოვრებისა და ყოფის ყველა სფერო და მიმართულება მოიცვა:***

— 1983-1984 წლები შევარდნაძისთვის უმძიმესი პერიოდი იყო, რადგან ყველა პიარ-აქციამ, რომელიც მის კარიერულ აღმასვლას ემსახურებოდა, საშინელი კრახი განიცადა. ჩვენ უკვე არაერთხელ ვახსენეთ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილე, რომელიც შევარდნაძემ 1983 წელს საქართველოს თავს მოახვია და ტყუილი მოიგონა, თითქოს მოსკოვი აიძულებდა მის აღნიშვნას... **საერთოდ, რუსეთი ყოველთვის ერიდებდა ხივის, ბუხარის, ყაზანის, ასტრახანის, ერევნისა თუ ბაქოს სახანოების რუსეთთან შეერთების იუბილეთა აღნიშვნას.** არც უკრაინის რუსეთთან შეერთება უხეიმია ვინმეს... ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ 1954 წელი, როცა 1654 წლის პერეიასლავის რადის 300 წლისთავი **ხრუშჩოვმა** დიდი ამბით აღნიშნა და ყირიმი უკრაინას გადასცა. არადა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ატამან **ბოგდან ხმელნიცკის** დროს რუსეთის სამეფოს შეუერთდა არა დღევანდელი უკრაინა, არამედ ზაპოროჟიეს კაზაკთა გაერთიანების რაღაც პატარა ნაწილი. **უკრაინა რუსეთს სინამდვილეში 1939 წელს სტალინის დროს შეუერთდა, როცა ბელადმა აღმოსავლეთ გალიციაზე დაამყარა კონტროლი და ეს უნიკალური მხარე, რომელსაც პოლონეთი ყოველთვის თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, უკრაინის ნაწილი გახადა.**

სხვათაშორის, 1981 წელს, როცა **ბრეჟნევი** თბილისში საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავის აღსანიშნავად ჩამოვიდა, ლეონიდე განგებ მოერიდა, რომ ვიზიტი 25 თებერვალს შემდგარიყო და 26 მაისს გვესტუმრა, ანუ გენსეკმა საქართველოს გასაბჭოება საქართველოს დამოუკიდებლობის ალტერნატივად არ აქცია... კრემლში ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ...

**— რით დასტურდება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილეს აღნიშვნა მხოლოდ შევარდნაძის იდეა იყო და არა კრემლის?**

— ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ შევარდნაძის დიდი მცდელობის მიუხედავად, როცა ყოველდღე უჩვენებდნენ ფილმს **„წიგნი ფიცისა“** და 1983 წლის მთელი სექტემბრის განმავლობაში საქართველოში კონცერტები და წარმოდგენები არ წყდებოდა, მოსკოვიდან თბილისში არცერთი სერიოზული და პრიმა მომღერალი არ ჩამოსულა. არც **ალა პუგაჩოვა,** არც — **ლევ ლეშჩენკო,** არც — **იოსებ კობზონი** და არც ბრეჟნევის საყვარელი **ლიუდმილა ზიკინა** საქართველოსკენ არ დაძრულან, აქაოდა, ქართველები გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ზეიმობენო! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **1783 წლის 24 ივლისის ხელშეკრულება საქართველოს რუსეთთან შეერთება არ ყოფილა, ეს იყო მფარველობითი, სამხედრო ხელშეკრულება.**

მოკლედ, 1983 წლის 4 აგვისტოს, როცა იუბილეს 200 წლისთავისადმი მიძღვნილი და დაგეგმილი ღონისძიებები ოფიციალურად უნდა გახსნილიყო, ღონისძიება ჩავარდა. შევარდნაძემ მაშინ ხმები დაყარა, თითქოს **ანდროპოვი** იყო ავად და



ვიქტორ გრიშინი და ედუარდ შევარდნაძე თბილისში

# „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილეს აღნიშვნის გამო მოსკოვმა შევარდნაძისგან პოლიტიკური ქრთამი არ აიღო და მკვდარი სული ვიქტორ გრიშინის გარდა თბილისში კაციშვილი არ გამოუშვა!“

ღონისძიება იმიტომაც გადაავადა. მაგრამ ანდროპოვის გარდა მაშინ კრემლში იყვნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტიხონოვი,** თავდაცვის მინისტრი **უსტინოვი** და თუნდაც **ჩერნენკო,** რომელიც 1982 წელს უკვე გახლდათ საქართველოში. როცა შევარდნაძე მიხვდა, რომ კრემლიდან გავლენიანი პირების ჩამოსვლის იმედი არ უნდა ჰქონოდა, სექტემბრის დასაწყისში საქართველოს ცეკას მიაღებინა დადგენილება, რომლის თანახმადაც დაიწყებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილესადმი დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებები. **ერთადერთი, ვინც მაშინ შევარდნაძემ კრემლიდან ჩამოიტყუა, გახლდათ მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი, პოლიტბიუროს წევრი ვიქტორ გრიშინი.** თუმცა, იგი მაშინ ისეთ სიტუაციაში იყო, როდის დაიჭერდნენ, არავინ იცოდა... მოკლედ, გრიშინს თანამდებობა კი ჰქონდა მყღერი, მაგრამ მისი მდგომარეობა გახლდათ კატასტროფული. ცნობისათვის, გრიშინს ანდროპოვმა ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნა...

**— რას ერჩოდნენ?**

— ეგორიჩევის შემდეგ ვიქტორ გრიშინი ანდროპოვის ერთგვარ კონკურენტად მოიაზრებოდა. ამიტომ ანდროპოვმა მას ძალიან ცნობილი სკანდალი, ე.წ. **„ელისეევსკის საქმე“** აუგორა. „ელისეევსკი“ მოსკოვში ცნობილი გასტრონომი იყო, სადაც ნებისმიერი პროდუქტის ყიდვა შეიძლებოდა. ამ სავაჭრო ცენტრით თვით **ლეონიდ ბრეჟნევის** ოჯახი და მოსკოვის მთელი კულტურული ელიტა სარგებლობდნენ. 1982 წლის ოქტომბერში ანდროპოვმა დააპატიმრა „ელისეევსკის“ სავაჭრო ცენტრის დირექტორი **იური სოკოლოვი,** რომელსაც 50 ათასი მანეთი უპოვეს. სოკოლოვი აურაცხელი ხალხის თვალწინ, დღისით, მზისით, ბორკოლებდადებული, ამოდენა სავაჭრო ცენტრში ჩაატარეს, საქვეყნოდ დაამცირეს და ისე წაიყვანეს. დაიჭირეს სოკოლოვის თანამშრომლებიც და დაიწყეს აქტიური „მუშაობა“, რათა გასულიყვნენ **ვიქტორ გრიშინზე.**

1984 წლის ზაფხულში, ზოგიერთი ცნობით კი დეკემბერში, ჩერნენკოს დროს, **იური სოკოლოვი** დახვრიტეს... მართალია, გრიშინი არც დაუკითხავთ და არც ჩამოუქვეითებიათ, მაგრამ ყველაფერი, როგორც იტყვიან, „დროისა და ტექნიკის საქმე“ გახლდათ... მოკლედ, **სწორედ 1983 წელს იყო „ელისეევსკის საქმის“ ბუმი, როცა ანდროპოვი ბრეჟნევის კოჰორტას დაერია და გრიშინი ნიჩაბზე დადო...**

როგორც ცნობილია, **ანდროპოვი** თავისი კონკურენტის — **ვიქტორ გრიშინის** წინააღმდეგ წლების განმავლობაში აგროვებდა კომპრომატებს. ერთი სიტყვით, გრიშინის პოლიტიკური კარიერა უკვე დამთავრებული იყო და ეს მკვადრი სული ფორმალურად კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა მოსკოვის ქალაქკომის მდივნის თანამდებობაზე, არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. **აი, სწორედ ასეთი მკვდარი სული ჩამოიტყუა შევარდნაძემ 1983 წელს საქართველოში, რაც საქართველოს მოსახლეობას არ გამოჰპარვია. ამიტომ იყო, რომ 1983 წლის ოქტომბერში ვიქტორ გრიშინის თბილისში ჩამოსვლას ქართველი საზოგადოება ასეთი შეფასებით შეხვდა — „მკვდარი მკვდარს აეკიდაო!“**

მოკლედ, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილეს აღნიშვნის გამო მოსკოვმა შევარდნაძისგან პოლიტიკური ქრთამი არ აიღო და მკვდარი სული **ვიქტორ გრიშინის** გარდა თბილისში კაციშვილი არ გამოუშვა! სწორედ ტრაქტატის იუბილესა და შევარდნაძის ქვემძრომული პოლიტიკის პროტესტი იყო ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე. ეს გახლდათ ბოლო ლურსმანი შევარდნაძის კუბოზე, როცა მთელი საქართველო ბიჭებს გლოვობდა და შევარდნაძეს წყევლიდა!

**— შევარდნაძე ფიქრობდა, რომ „თვითმფრინავის ბიჭების“ დახვრეტით საზოგადოების გულს მოიგებდა?**

— შევარდნაძე სწორედ ასე ფიქრობდა და თან, უპირველეს ყოვლისა, კრემლის გულის მოგება სურდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1984 წლის ზაფხულში ტელევიზიით დაიწყო „თვითმფრინავის ბიჭების“ სასამართლოს ტრანსლაცია, რამაც მთელი საქართველო შეძრა. მახსოვს, ტელევიზიით სამი დღე გადიოდა გადაცემა **„ბანდიტები“,** რომელსაც ცხონებული **დავით სოკოლოვი** უძღვებოდა... მაშინ ბავშვი ვიყავი და ბათუმში ვისვენებდით... რა დამავიწყებს, როცა **გეგა კობახიძემ** საბოლოო სიტყვა თქვა და სასამართლომ ბიჭებს დახვრეტა გამოუცხადა, მთელი ხალხი, მათ შორის, საბჭოთა გენერლის **ირაკლი ჯორჯაძის** ქალიშვილი **ნანა ჯორჯაძე** ბღაოდა... მუდამ მხიარული და ბედნიერი ბათუმი იმ დღეებში მკვდარი იყო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძემ **ოთარ ჯაყელის, მარიკა ლორთქიფანიძისა და ნიკო ჭავჭავაძის** გარდა ყველას უკან გაატანინა თხოვნა ბიჭების შეწყალების თაობაზე, არად ჩააგდო ქართველი ხალხის ცრემლები და ბიჭები დახვრიტა. მაშინ ხალხში ხმა გავარდა, რომ შევარდნაძემ არც თავისი ბავშვობის მეგობრის **ნოდარ დუმბაძის** თხოვნა შეისმინა და კრემლის გულის მოსაგებად ბიჭები მაინც გაწირა. შევარდნაძეს „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმემ სხვა პრობლემაც შეუქმნა... კერძოდ, აღმოჩნდა, რომ საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, გენერალ-მაიორმა და ცეკას მდივანმა **ედუარდ შევარდნაძემ** ქართული სპეცსამსახურების ძალით თვითმფრინავი ვერ გაათავისუფლა და ამ მიზნით სპეცრაზმელები მოსკოვიდან გამოიძახა. ამით დადასტურდა, რომ ადგილობრივი, ქართული სპეციალური ძალები, ფაქტობრივად, იყვნენ დემორალიზებული და დეზორიენტირებული. ეს ფაქტი შევარდნაძის ავტორიტეტს კარგ არაფერს სძენდა და ამტკიცებდა, რომ მოსკოვის ჩარევის გარეშე ედუარდი თავის რესპუბლიკაში პრობლემას ვერ აგვარებდა. ამას დაემატა თბილისის „დინამოს“ ჩავარდნაც...

**— რას გულისხმობთ?**

— თბილისის „დინამო“ ქართველებისთვის მარტო საფეხბურთო გუნდი არ ყოფილა, ეს იყო ჩვენი ეროვნული სიამაყე და ჩვენი იდენტობის გამოხატულება. თბილისის „დინამო“ კიევის „დინამოსთან“ ერთად ერთადერთი გუნდი იყო საბჭოთა კავშირიდან, რომელსაც ევროპის თასების თასი ჰქონდა მოგებული და 1936 წლიდან მოყოლებული, კიეველებისგან განსხვავებით, არასოდეს მეათე ადგილზე არ გასულა. **ყველაზე პრობლემატურ წლებშიც კი, როცა ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვქონდა, „დინამო“ თბილისი საკავშირო ჩემპიონატში მეცხრე ადგილზე ქვევით არ ჩამოსულა. ძირითადად, როგორც წესი, სულ ხუთეულში ვხვდებოდით და ოცჯერ მაინც საპრიზო ადგილები გვაქვს დაკავებული.** მაშინ, როცა 1982 წელს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრებში, **ყიფიანისა და გუცაევის** გარდა, ოთხი ქართველი თამაშობდა, როცა 1981 წლის 13 მაისს გუნდმა თასების თასი მოიგო, ხოლო, ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 1978 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, 1983 წელს მოხდა კატასტროფა და საკავშირო ჩემპიონატზე თბილისის „დინამო“ **მეთექვსმეტე ადგილზე** გავიდა. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ადგილზე გასული გუნდები უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ და ქართველები უდიდეს სირცხვილს სასწაულით გადავრჩით.

**— მაინც რა იყო ამ საშინელი კატასტროფის მიზეზი?**

— 1983 წლის „დინამოს“ 1981 წლის ვარსკვლავური „დინამოსგან“ აკლდა მხოლოდ ორი კაცი — **დავით ყიფიანი და ვიტალი დარასელია.** მაგრამ ქართველი საზოგადოება გეორგიევსკის ტრაქტატის იმ სამარცხვინო 200 წლის იუბილესა და განსაკუთრებით 1983 წლის ნოემბერში „თვითმფრინავის ბიჭებთან“ დაკავშირებული საშინელი ტრაგედიის გამო იმდენად შოკირებული და დემორალიზებული იყო, ხალხის განწყობა სპორტზეც აისახა და 1983 წლის, ნოემბრის მიწურულს „დინამო“ უმაღლესი ლიგიდან კინაღამ გავარდა. ქართველი მაყურებლის თვალში ეს კატასტროფა იყო... თუ ამას დავუმატებთ **მანაშეროვისა** და მეღვინეების დაჭერებს, რომელმაც 1983-1984 წლებში აპოგეას მიაღწია და ასევე როკის გვირაბის მშენებლობას, რასაც საქართველოს „კაგებეს“ შეფი **ალექსი ინაური** მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ედუარდის მოსკოვში გადაყვანის წინ მთელი ქართველი საზოგადოების განწყობა ასეთი იყო — **„შევარდნაძე უნდა მოშორდეს!“**



„შევარდნაძეს ავადსახსენებელი როკის გვირაბი რომ არ გაეყვანა, საქართველო 90-იან წლებში კრემლის მიერ გაქეზებულ ოსურ სეპარატიზმსა და 2008 წლის აგვისტოს ომს ასცდებოდა!“

შევარდნაძეს ავადსახსენებელი როკის გვირაბი რომ არ გაეყვანა, საქართველო 90-იან წლებში კრემლის მიერ გაქეზებულ ოსურ სეპარატიზმსა და 2008 წლის აგვისტოს ომს ასცდებოდა!

**— გამოდის, რომ მთელი ის პიარ-აქციები, რომლითაც შევარდნაძე კრემლში შეძრომას ცდილობდა, ჩაფლავდა, მაგრამ 1985 წელს, ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ, ედუარდ ამბროსოვიჩი კრემლში მაინც აღმოჩნდა!**

— დიახ, სამწუხაროდ ასე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ 1985 წლის დასაწყისში ქართველი ხალხის თვალში შევარდნაძე იყო მძორი, სრულიად საძულველი ადამიანი და მეტი არაფერი! 1985 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ვიდრე კრემლში გადაიყვანდნენ, საქართველოში შევარდნაძეს ჰქონდა რამდენიმე ეპითეტი — „ქართველების მკვლელი“, „მოღალატე“ და „თეთრი მელა“... სხვათაშორის, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს შევარდნაძემ, რომელიც **გიორგი რაზუმოვსკისთან** ერთად მოსკოვიდან ჩამოვიდა, ჯოხის გადატეხა **ჯუმბერ პატიაშვილზე** სცადა, მაგრამ ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში უბედურება დაატრიალა მოსკოვმა, კრემლმა, რომლის პოლიტბიუროს წევრიც და გორბაჩოვის შემდეგ მთელი მსოფლიოს თვალში ნომერ პირველი რეპრეზენტატორიც გახლდათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე!

**— 1989 წლის 8 აპრილს შევარდნაძე თბილისის აეროპორტში, თვითმფრინავში იმალებოდა და „კაგებეს“ შეფს გივი გუმბარიძეს საიდუმლო ვითარებში ხვდებოდა... ეს ინფორმაცია ჩემთან საუბრისას ჯუმბერ პატიაშვილმა დაადასტურა!**

— პოდპოლკოვნიკი **ბაკლანოვი** თბილისში ვერავითარ სადამსჯელო ოპერაციას ვერ ჩაატარებდა, თუ არ ექნებოდა პოლიტბიუროს ნებართვა, რომლის წევრიც შევარდნაძე იყო. **ჩვენ რომ 90-იან წლებში ერთმანეთს არ დავრეოდით, შევარდნაძეს საქართველოში დაბრუნების არანაირი შანსი არ ჰქონდა. მაგრამ შევარდნაძემ ძალიან სერიოზულად იმუშავა, რათა ქართველებს ერთმანეთი დაგვეხოცა!**

**— სხვათაშორის, აწ განსვენებულმა შოთა გორგოძემ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მოსკოვში გადაყვანის წინ შევარდნაძემ დაიბარა და პირისპირ საუბრისას უთხრა — ჩემს შემდეგ სოლიკო ხაბეიშვილი ცეკას მდივანი არ უნდა გახდესო! შევარდნაძე გორგოძეს იმასაც მიანიშნებდა, დაეპატიმრებინა ხაბეიშვილი, რამაც შინაგან საქმეთა მინისტრი სახტად დატოვა, რადგან ყველამ იცოდა, რომ შევარდნაძე და ხაბეიშვილი განუყრელი მეგობრები იყვნენ!**

— არადა, ამ დროს შევარდნაძე ხალხში ხმებს ავრცელებდა, თითქოს თავის მემკვიდრედ **სოლიკო ხაბეიშვილს** ტოვებდა... შევარდნაძე იყო ნამდვილი სატანა, რომელმაც ყველა და ყველაფერი გაწირა, რათა ეს ქვეყანა თავის თავზე მოერგო!

**— როგორც ისტორიკოსი, რას იტყვით, შევარდნაძე საქართველოს ისტორიაში როგორ შევა?**

— ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, შევარდნაძე თემურ ლენგის შემდეგ საქართველოს ისტორიაში შესულია ქვეყნის ნომერ პირველ მტრად!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ყოველთვის ასე ვიცოდი, რომ ი. სტალინი 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა. მაგრამ ერთ ჟურნალში წავიკითხე, თითქოს ბელადის დაბადების ნამდვილი წელი 1878-ია და ეს დოკუმენტებით დასტურდება. გთხოვთ, მიპასუხოთ, სიმართლეა თუ არა ეს და რა დოკუმენტებზეა საუბარი?

ის, რაც თქვენ ჟურნალში წაიკითხეთ, სინამდვილეს შეესაბამება. **სტალინი** მართლაც იმ თარიღზე ერთი წლით ადრე დაიბადა, რომელიც ოფიციალურად არის მიღებული მის ყველა ბიოგრაფიაში. ამაზე ბევრს წერდნენ როგორც რუსულ, ისე ქართულ პრესაში და ეს ფაქტი შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს. შემონახულია ოფიციალური საბუთი, რომელიც **1886 წლის 19 აგვისტოთი** თარიღდება და **ბესარიონ ჯუღაშვილზეა** გაცემული მისივე თხოვნით (ორიგინალი დაცულია საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა არქივში, ფონდი 8, საქმე 144, ფურცელი 2). გაგაცნობთ მის სრულ ტექსტს:

**„მოწმობა.**

**ტფილისის გუბერნიის ქ. გორის მიძინების ტაძრის ათას რვაას სამოცდათვრამეტი (1878) წლის სამეტრიკო წიგნის პირველ ნაწილში მამრობითი სქესის დაბადებულთა მუხლში № 24-ით ჩაწერილია შემდეგი: დაიბადა ექვს (6), ხოლო მონათლულია ჩვიდმეტ (17) დეკემბერს იოსები. მისი მშობლები: ქ. გორის მაცხოვრებელი გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილი და მისი კანონიერი ცოლი ეკატერინე გიორგის ასული, ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. ნათლია იყო ქ. გორის მაცხოვრებელი გლეხი მიხეილ შიოს ძე ციხითათრიშვილი. ნათლობის საიდუმლო აღასრულა გორის მიძინების ტაძრის პროტოიერეიმ სოლომონ ხახანოვმა მედავითნე ალექსი კვინიკაძესთან ერთად. ჩანაწერის ნამდვილობას ვადასტურებ ხელმოწერით და ეკლესიის ბეჭდით. მოწმობა გაცემულია გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილის პირადი თხოვნით.**

***ქ. გორი, 1886 წლის 19 აგვისტო.***

***გორის მიძინების ტაძრის მღვდელი იონ გამრეკლოვი.“***

საბუთი რუსულ ენაზეა შედგენილი. სავსებით შესაძლებელია, რომ ის გორის სასულიერო სასწავლებელში წარსადგენად გახდა საჭირო, სადაც ყმაწვილი **იოსებ ჯუღაშვილი** გაამწესეს.

**მაშ, რატომ იყო მიღებული ბელადის დაბადების თარიღად 1879 წელი?** ზოგიერთი ავტორი ირონიულად აცხადებს, რომ **სტალინს** თავის გაახალგაზრდავება, წელის დაკლება სურდა. მაგრამ მსგავსი ახსნა ვერაფრით ჩაითვლება სერიოზულად. ჯერ ერთი — ერთი წლის განსხვავება, ფაქტობრივად, განსხვავება არც არის. მეორეც — **სტალინი** შებერებული კეკლუცი ქალი კი არ იყო, რომელიც ასაკს მალავს, არამედ მამაკაცი და პოლიტიკური მოღვაწე.

აბა რაშია საქმე? საქმე კი ის გახლავთ, რომ გასაწვევ ასაკს მიღწეულ **სტალინს** არ სურდა მეფის არმიაში სამხედრო ვალდებულების მოხდა, დაბადების თარიღი ერთი წლით გადასწია და ამგვარად აარიდა თავი გაწვევას. როგორც ცნობილია, ის მოგვიანებით, უკვე ტურუხანსკში გადასახლებული გაიწვიეს, თუმცა, მაშინაც გამოიქცა სამარშო ბატალიონიდან, რომელიც ფრონტზე მიემართებოდა. **ამის შემდეგ მომავალ გენერალისიმუსს აღარ შეუცვლია თარიღი, რომელიც მის მიერ პირველად შევსებულ ანკეტაში მოხვდა, რადგან მნიშვნელობას არ ანიჭებდა ისეთ წვრილმანს, როგორიც ერთი წლის განსხვავებაა.**



სტალინი დაბადების 50 წლისთავზე პოლიტბიუროს წევრათა გარემოცვაში. 21 დეკემბერი, 1929 წელი



## მართალია, რომ სტალინმა თავისი მომავალი ცოლი ნადეჟდა ალილუევა გადაარჩინა, როდესაც ის პატარაობისას შავ ზღვაში იხრჩობოდა?

ჭეშმარიტებაა. ერთადერთი შესწორება გვაქვს. ეს **შავ** კი არა, **კასპიის ზღვაზე** მოხდა, **ბაქოს სანაპიროზე,** ვგონებ, **1904 წლის გაზაფხულზე. ნადია ალილუევა** მაშინ სამიოდე წლისა იყო. გოგონა დედასთან — ოლგა **ევგენიევნასთან** ერთად სანაპიროზე სეირნობდა. დედა ნაცნობთან ლაპარაკში გაერთო და ბავშვს ყურადღება ვერ მიაქცია. გოგონა პარაპეტზე ავიდა, თავი ვეღარ შეიკავა და ზღვაში გადავარდა. იმ დღეს ზღვა საკმაოდ ღელავდა, ამიტომ ახლომახლო ვერავინ ბედავდა ბავშვის გადასარჩენად წყალში გადახტომას.

საბედნიეროდ, დედის ყვირილი შემთხვევითმა გამვლელმა გაიგონა. ეს იყო აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებიდან ცოტა ხნის წინ გამოქცეული **იოსებ ჯუღაშვილი.** ის პოლიციას ემალებოდა, თანაც იატაკქვეშა რევოლუციურ მუშაობას აგრძელებდა, ამიტომ გამუდმებით მოძრაობდა ერთი ქალაქიდან მეორეში — ხან ბათუმში იყო, ხან — ტფილისში, ხანაც — ბაქოში. ის დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში, თუმცა, განსაკუთრებით აღვნიშნავთ, ცურვა არ იცოდა. მაგრამ ბავშვის გადარჩენა შეძლო და საღ-სალამათი, უბრალოდ, სასტიკად შეშინებული ჩააბარა დედას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **სტალინი** კარგად იცნობდა **ნადიას მამას, სერგეი იაკობის ძე ალილუევს** ტფილისში ერთობლივი იატაკქვეშა მუშაობიდან, თუმცა, არ იცოდა, რომ მისი შვილი გადაარჩინა. **ოლგა ევგენიევნა** მან იმ დღეს, ბაქოს სანაპიროზე გაიცნო. რა გასაკვირია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ **სტალინი ალილუევების ოჯახისთვის** ყველაზე ახლობელი ადამიანი გახდა, დიდხანს ცხოვრობდა ხოლმე მათ ბინაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც **ალილუევები პეტერბურგში** გადასახლდნენ. **ტურუხანსკის ბოლო გადასახლებიდან 1917 წლის მარტში დაბრუნებული სტალინი მათ ბინაში დასახლდა.** ალილუევები ერთ-ერთ ოთახს ასეც ეძახდნენ — **„იოსების ოთახი“.**

**სტალინი და ნადეჟდა ალილუევა 1919 წელს დაქორწინდნენ. სტალინი 39 წლისა იყო, ნადია კი — 18-ის.** მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ეს ქორწინება ორმხრივ სიყვარულს ეფუძნებოდა. შემდგომში **ნ. ალილუევა** აღიარებდა, რომ **„იოსები ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას უგონოდ შეუყვარდა“.** იმაზე, თუ რა მხურვალედ უყვარდა ცოლი **სტალინს,** ცხადად მეტყველებს მისი წერილები, რომლებიც ამჟამად რუსეთის პრეზიდენტის არქივში ინახება. ზემოთქმულს დავამატებთ, რომ **სტალინმა** სიცოცხლის ბოლომდე ვერ ისწავლა ცურვა. ის სპორტს, პრაქტიკულად, არ მისდევდა. თუმცა, სერგო ქავთარაძის მოწმობით, ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და მეგობრულ ორთაბრძოლაში არაერთხელ დაუწვენია ბეჭებზე ერთი თავით მაღალი და ორჯერ უფრო მსხვილი ქავთარაძე. სპორტული თამაშებიდან დროდადრო თამაშობდა რუსულ „გოროდკის“ (ამ თამაშს მაქსიმ გორკიმ მიაჩვია). მაგრამ ყველაფერს ბილიარდს ამჯობინებდა და კიის მართლაც ვირტუოზულად ფლობდა.

## ი. სტალინის შესახებ ურიცხვი გამოკვლევა და ბიოგრაფიაა დაწერილი. რომელ ნაშრომებს თვლით პირადად თქვენ ყველაზე საინტერესოდ და საფუძვლიანად?

დავიწყოთ იქიდან, რომ **ბელადის** პირველი ბიოგრაფია **20-იანი წლების** დასაწყისში **მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ივანე ტოვსტუხამ დაწერა,** რომელიც მრავალი წელი **სტალინის** პირადი თანაშემწე იყო. ის **1922 წელს** გამოქვეყნდა სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების ბიოგრაფიებთან ერთად ენციკლოპედია **„გრანატის“** დამატებაში, ხოლო **1927 წელს** 50 ათასი ტირაჟით ცალკე გამოცემად გამოვიდა. ეს სერიოზული, აკადემიურად შესრულებული ნაშრომია, მაგრამ ის, ძირითადად, **ბელადის** რევოლუციამდელ მოღვაწეობას, **ოქტომბრის გადატრიალებასა და სამოქალაქო ომში მის მონაწილეობას მოიცავს.** რამდენიმე წლის შემდეგ ნიურნბერგში გამოვიდა წიგნი **„სტალინი“,** რომელიც ემიგრანტ **სერგეი დმიტრიევსკის** კალამს ეკუთვნოდა. ეს ნამუშევარი მნიშვნელოვანია იმით, რომ მიუხედავად ბოლშევიზმის სიძულვილისა, ავტორი, რომელიც ლიტერატურაში პირველი განიხილავს ალტერნატივას **„სტალინი-ტროცკის“,** აშკარა უპირატესობას **სტალინს** ანიჭებს.

ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად დღემდე რჩება შესანიშნავი ფრანგი მწერლის **ანრი ბარბიუსის** წიგნი **„სტალინი“,** რომელიც პირველად **1936 წელს** გამოიცა მასობრივი ტირაჟით. საინტერესო, თუმცა ბევრ რამეში საკამათოა ისტორიკოს **ისააკ დოიჩერის** დაწერილი ბიოგრაფია (პირველი გამოცემა 1939 წ.). მასში მდიდარი ფაქტობრივი მასალაა შეგროვილი.

**სტალინის** ბიოგრაფიებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი პოლიტიკური მეტოქის **ლევ ტროცკის** ორტომეულს. მასალა ამ **„ბიოგრაფსაც“** მდიდრული შეუგროვებია, მაგრამ კომენტარები ღვარძლით და სიძულვილით არის გაჯერებული. წიგნმა დღის სინათლე პირველად **1940 წელს** ერთ-ერთ ამერიკულ გამომცემლობაში იხილა.

**1949 წელს** ავტორთა კოლექტივმა მოამზადა და გამოსცა მოკლე ბიოგრაფია **„იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“.** ის საინტერესოა იმით, რომ **დაბეჭდვის წინ თავად გენერალისიმუსმა გადახედა და შეასწორა. საგულისხმოა, რომ სტალინმა წიგნის მაკეტიდან მისი განმადიდებელი მთელი აბზაცები ამოიღო და ეპითეტები „დიადი“ და „გენიალური“ თითქმის ყველგან წაშალა.** კორექტურის ეგზემპლარი **სტალინის** ჩასწორებებით ამჟამად რუსეთის პრეზიდენტის არქივშია დაცული.

საკმაოდ სრული და დეტალურია **ბელადის** ბიოგრაფია, რომელიც უნგრელი ისტორიკოსების **ტამაშ კრაუსის** და **ლასლო ბელადის (რა შესაფერისი გვარია სტალინის ბიოგრაფისათვის, არა?)** კალამს ეკუთვნის. მათი წიგნი **„სტალინი“** ბუდაპეშტში **1987 წელს** გამოიცა, ხოლო რუსული თარგმანი **1989 წელს** დაიბეჭდა.

ბოლო ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მწერალ **ვლადიმერ კარპოვის** ორტომეული **„გენერალისიმუსი“** (მოსკოვი, „ვეჩე“, 2003 წ.), რომელიც ფართოდ წარმოაჩენს **ი. სტალინის** სამხედრო და მხედართმთავრულ მოღვაწეობას და ლენინგრადელი პროფესორის **ბორის ილიზაროვის** ბრწყინვალე გამოკვლევა **„სტალინის საიდუმლო ცხოვრება“** (კვლავ „ვეჩე“, 2003 წ.), რომელშიც ავტორმა პირველმა განიხილა ბელადის არქივი და ბიბლიოთეკა.

სამწუხაროდ, **სტალინის** ფენომენის ქართველი მკვლევარები ბევრად ჩამორჩებიან რუსებს. აქ შეიძლება აღინიშნოს **ნოდარ ზაქარიაძის** ნაშრომი **„სტალინი და საქართველო“** (თბილისი, 1997 წ.), **გურამ კახიძის „იოსებ სტალინი“** (ბათუმი, 1995 წ.), **კარლო ცქიტიშვილის „მე — იოსებ სტალინი“** (თბილისი, 1998 წ.), განსაკუთრებით კი — პროფესორ **ვახტანგ გურულის** დაუღალავი მოღვაწეობა ამ მიმართულებით (*„იოსებ სტალინი. მასალები ბიოგრაფიისათვის“, თბილისი, 1998 წ., „სტალინის დიადი ექსპერიმენტი. მასალები პოლიტიკური პორტრეტისათვის“, თბილისი, 2000 წ. და სხვა).*

რა თქმა უნდა, სტალინიანა ჩამოთვლილი წიგნებითა და ავტორებით არ ამოიწურება. შეიძლებოდა კიდევ ათეულობით ნაირგვარი და საინტერესო ნაშრომის დასახელება — **ფელიქს ჩუევის, ნიკოლაი ზენკოვიჩის, კონსტანტინე ზალესსკის** და სხვათა. მაგრამ მათზე დაწვრილებით შეჩერების საშუალებას გაზეთის მოცულობა არ გვაძლევს. ერთი რამ შეიძლება ითქვას — **იოსებ სტალინის ნამდვილი, დეტალური და სრულიად ობიექტური ბიოგრაფია ჯერაც თავის ავტორს ელის.**




გენერალისიმუსი
2023 წლის 25 სექტემბერი. №55 (223)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №39-41

*პროფესორი* ***ავთანდილ დიასამიძე*** ***თურქეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების დედასამშობლოს წიაღში დაბრუნების პროცესს აღწერს და იმ ისტორიებს იხსენებს, თუ როგორ იყვნენ ჩართული ამ ღვთივკურთხეულ საქმეში როგორც რუსეთის, ისე თურქეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ქართველები:***

# 145 წლის წინათ რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი თურქი ოკუპანტებისაგან გაწმენდილ ბათუმში შევიდა!

— თურქების მიერ 1815 წელს სიკვდილით დასჯილი **სელიმ ხიმშიაშვილის** ვაჟი **ქორ-ჰუსეინ ხიმშიაშვილი** ოსმალური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით გამოირჩეოდა. მან შეასრულა მამის ანდერძი და დიდი საქართველოს ხსოვნა თავის შვილს, მამულიშვილსა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოკვეთილ ლიდერს **შერიფ ხიმშიაშვილს** გადასცა, რომელმაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მტკიცედ დაიკავა რუს-ქართველთა მხარე. მან დიდი როლი შეასრულა **აჭარის, შავშეთის, იმერხევის, კოლა-არტაანის, ტაო-კლარჯეთის და ნიგალის** დედასაქართველოსთან დაბრუნების საქმეში.

**— ხიმშიაშვილების გარდა, კიდევ რომელი ქართველები აქტიურობდნენ თურქეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების საქართველოსთვის დაბრუნების საქმეში?**

— აჭარა-მესხეთში დიდად ცნობილი იყო **აჰმედ ქიქნაძე,** რომელიც მთელი წლების განმავლობაში სულთნის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა. მან შექმნა რაზმი, რომელიც დაახლოებით ათას კაცს აერთიანებდა და სულთნის მოხელეებს სიცოცხლეს უმწარებდა. ზემო ქართლში ყველაზე დიდმა აჯანყებამ 1816 წლის მაისის დამდეგს იფეთქა. დაიწყო ხანგრძლივი და მძიმე სახალხო-გამათავისუფლებელი ომი, აჯანყებულებმა სისხლისმღვრელ ბრძოლაში აიღეს საფაშალიკოს ცენტრი, ქალაქი **ახალციხე,** შემდეგ ხელთ იგდეს მისი ციტადელი და ტყვედ ჩაიგდეს ახალციხის ფაშა. აჯანყებულებს სათავეში ედგა ხერთვისის სანჯაყ-ბეგი, გამაჰმადიანებული ქართველი **მემედ ვაჩნაძე,** რომლის ხელმძღვანელობითაც ქართველებმა ქვაბლიანის ხეობაში ოსმალო-თურქთა დიდი რაზმი დაამარცხეს.

მღელვარება მალე აჭარასაც მოედო. აჭარლებმა და მესხებმა ორ ცეცხლს შორის მოაქციეს ახალციხის ფაშას საშველად გამოგზავნილი ოსმალთა რვაათასიანი კორპუსი, რომელიც სულ მალე მთლიანად განადგურდა და მისი სარდალიც ტყვედ ჩაიგდეს. რასაკვირველია, თურქეთის ხელისუფლება ასეთ მარცხს ვერ შეურიგდებოდა. **არზრუმის ვილაეთის სერასკირმა ბაბა ფაშამ** აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი დამსჯელი ლაშქარი გამოგზავნა. აჯანყებული ზემოქართლელები და ოსმალთა ლაშქარი რამდენჯერმე შეეტაკნენ ერთმანეთს. გადამწყვეტ ბრძოლაში დიღვირთან, რომელიც ამჟამად თურქეთშია და „დუგური“ ეწოდება, აჯანყებულები დამარცხდნენ, სამაგიეროდ, ახალციხის იერიშისას ოსმალოებმა დიდი ზარალი ნახეს და უკუიქცნენ. **ბაბა ფაშა** იძულებული გახდა, ახალციხის მხარე მიეტოვებინა. ქვეყანა თანდათან დაწყნარდა და ყველამ თავიანთ სახლებს მიაშურა.

**— მემედ ვაჩნაძეს რა ბედი ეწია?**

— აჯანყებულთა ბელადი **მემედ ვაჩნაძე** ხერთვისში წავიდა და ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. 1816 წლის სახალხო აჯანყება თითქმის ხუთ თვეს გაგრძელდა. სამწუხაროდ, მისი განვითარება და ბოლომდე მიყვანა ქართველებმა ვეღარ შეძლეს. ზემო ქართლი, ანუ იგივე სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კვლავ ოსმალთა უღელქვეშ გმინავდა. ოსმალური კოლონიური და სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩეოდა ასევე აჭარაში მომხდარი 1830, 1840, 1843, 1844, 1846, 1852, 1855 და 1862 წლების აჯანყებები. აღნიშნულთაგან 1840, 1843, 1844 და 1846 წლების ანტიოსმალურ აჯანყებებს სწორედ **სელიმ ხიმშიაშვილის** შვილი **ქორ-ჰუსეინ ბეგ ხიმშიაშვილი** ხელმძღვანელობდა.

**— საინტერესოა, დანარჩენი საქართველო, რომელიც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, როგორ ეხმიანებოდა და ხვდებოდა თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოში დაწყებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას?**

— მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთის მიერ მიტაცებულ აჭარისა და სხვა ძირძველ ქართულ მხარეებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ახალი ძალით გაჩაღდა. კერძოდ, 1872-1873, 1875 და 1876 წლებში აჭარაში, ჭანეთსა და ქართველი მაჰმადიანებით დასახლებულ სხვა კუთხეებში არაერთი გამოსვლა მოხდა, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ ქართველების კოლონიური ჩაგვრით და ქართული ენისა და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ზრუნვით. აღნიშნულ აჯანყებათა შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის იმდროინდელი **გაზეთი „დროება“** და მისი რედაქტორი, დიდი ეროვნული მოღვაწე **სერგი მესხი,** რომელმაც ქობულეთის აჯანყების დაწყებიდან რამდენიმე დღეში, 1875 წლის 17 ენკენისთვის „დროებაში“, დაბეჭდა წერილი — **„ჩვენი მოვალეობა“,** სადაც წერდა:

*„ოსმალოს სასტიკი მმართველობისაგან დაწიოკებული და შევიწროებული ქართველები სრულიადაც არ ფიქრობენ დამშვიდებას და დამორჩილებას. მოძრაობა ქობულეთიდამ ლაზისტანში და აჭარაში ვრცელდება...... რა არის ჩვენი მოვალეობა ამ შემთხვევაში? რას უნდა ვშვრებოდეთ ჩვენ, როცა ჩვენს მოძმეებს სწვენ, დაგვენ, როცა იმათ შვილებს წიწილებივით სრესენ, როცა იმათ ცოლებს აუპატიურებენ? იმას უნდა ვშვრებოდეთ, ისე უნდა ვიქცეოდეთ, როგორც ადამიანური, კაცთ-მოყვარული გრძნობა მოითხოვს.... თუ უსამართლობისაგან დაჩაგრული და მოთმინებიდან გამოსულმა ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს,* ***ჩვენი ვალია, ზნეობით დავეხმაროთ, დავეხმაროთ ისე მაინც, როგორც ევროპელები, როგორც, საზოგადოდ, სლავიანები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს!“***

**— ქართველ საზოგადოებაში იყო იმის მოლოდინი, რომ რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყებოდა და ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ გადაწყდებოდა?**

— დიახ, ეს მოლოდინი აშკარად იყო, რაც კარგად ჩანს ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს მცხოვრების **რეზმან ცენტერაძის** მოგონებებიდან, რომელიც ქობულეთის 1875-1876 წლების აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. ცენტერაძე იხსენებს დიდ ქართველ მამულიშვილთან და პატრიოტთან, რუსეთ-ოსმალეთის საკორდონო ხაზის უფროსთან, პოლკოვნიკ **გრიგოლ გურიელთან** შეხვედრას. ეს შეხვედრა მდინარე ჩოლოქზე შედგა, სადაც თურქეთის მიერ გაწამებულმა ქართველებმა გურიელს სთხოვეს — აჭარა და თურქეთის მიერ მიტაცებული სხვა ქართული მიწები გურიას შეუერთეთო! **გრიგოლ გურიელი** რეზმან ცენტერაძეს ამ სიტყვებით დაემშვიდობა —

*„თქვენ ახლა წაბრძანდით თქვენ-თქვენ ოჯახში, მალე გესტუმრებიან რუსები და იცხოვრეთ თქვენ ადგილზე!“*

ქართველი ერის მოწინავე შვილები რომ თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, ამას ადასტურებს იმავე **სერგი მესხის** წერილი, რომელიც მან **ეკატერინე მელიქიშვილს** გაუგზავნა:

*„ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს? იქნებ რაიმე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ. იქნებ, ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ!“*

**— ანუ გრიგოლ გურიელს ინფორმაცია ჰქონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომი მალე დაიწყებოდა და თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს საქართველო რუსეთის იმპერიის დახმარებით დაიბრუნებდა?**

— აშკარაა, რომ **გრიგოლ გურიელს,** როგორც მაღალი რანგის ოფიცერს, ეს ინფორმაცია ჰქონდა! ამიტომაც უთხრა მან აჯანყებულ ქართველებსა და რეზმან ცენტერაძეს — „მალე გესტუმრებიან რუსები!“ მართლაც, 1877 წლის აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი და **1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი თურქი ოკუპანტებისგან გაწმენდილ ბათუმში შევიდა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## ავთანდილ დიასამიძე:



**რუსულმა ხიშტმა და საქართველოს სახელოვანი შვილების — აკაკის, ილიას, ნიკო ნიკოლაძის, სერგი მესხის, გრიგოლ გურიელის, შერიფ ხიმშიაშვილის, რეზმან ცენტერაძისა და სხვათა ერთობამ მოიტანა ის დიადი გამარჯვება, რასაც 1878 წელს თურქეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების გათავისუფლება ერქვა!**







გრიგოლ გურიელი

## აკაკი წერეთელი – ნიკო ნიკოლაძეს:

# საქმე, რო გვინდა, ისე მიდის!



**სერგი მესხი:** იქნებ, ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ!



## იგორ კვესელავა:

# შევარდნაძე შეეცადა, გამსახურდია მხოლოდ სამეგრელოსა და მეგრელების პრეზიდენტად წარმოეჩინა!



დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №11-41

**„გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლას შევარდნაძის წარმოდგენაში ზვიადის მეგრული წარმოშობაც კვებავდა!“**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც შევარდნაძის ბანდები სამეგრელოში თემურ ლენგისა და შაჰ-აბასის ურდოებივით იქცეოდნენ და იმ სისასტიკესა და სიბინძურეს, რაც ხუნტამ სამეგრელოში დათესა, სხვა ფაქტორებთან ერთად უმთავრესი განაპირობებდა — შევარდნაძის პირადი სიძულვილი სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ:***

— ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლას შევარდნაძემ ყველაზე ბინძური ხასიათი მისცა და შეეცადა, გამსახურდია არა ერთიანი საქართველოს, არამედ **მხოლოდ სამეგრელოსა და მეგრელების პრეზიდენტად** წარმოეჩინა. ედუარდ მაოხრებელს ამ საქმეში ხელს უწყობდნენ თავისი კარის ინტელიგენციის სამარცხვინო წარმომადგენლები. აი, მაგალითად, **მიხეილ ქვლივიძემ** თავს უფლება მისცა, დაეწერა ასეთი ლექსი — **„ბააფხაზებულ მეგრელს“,** რომელშიც ვკითხულობთ:

**„გაღმით აფხაზი ხარ,**
**მეგრელი — გამოღმა,**
**კაცად არ ვარგიხართ**
**არცერთი;**
**ამ უკანასკნელ ხანს**
**შენს რუსულს რატომღაც**
**სომხური დაეტყო აქცენტი!“**

ქვლივიძე მარტვილში ჩამოიყვანა ერთმა პიროვნებამ და როგორც სტუმარს მაინც მოვერიდე, უფრო სწორად, გამაჩერეს, თორემ იქვე ვაპირებდი გავსწორებოდი. კიდევ უფრო დიდ საშინელებას წერდა სამეგრელოსა და მეგრელების შესახებ შევარდნაძის ერთ-ერთი ხელისბიჭი და ხუნტის ერთ-ერთი განყოფილების გამგე **თორნიკე ფიფია.** აი, მისი ნაბოდვარიც:

*„გაივლის წლები, დავიწყებას მიეცემა პოლიტიკური ინტრიგები და დარჩება მხოლოდ ფაქტი, რომ საქართველოს ერთ-ერთმა კუთხემ მონაწილეობა არ მიიღო და პირიქით, ხელი შეუშალა საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას!“*

მოგეხსენებათ, სამეგრელოდან ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა შევარდნაძის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლას და ეს ნაძირალები ასეთ სიბინძურეებს წერდნენ. რაც შეეხება ხუნტის გენერალურ პროკურორ **ვახტანგ რაზმაძეს,** უკადრებელს კადრულობდა და იმისათვის რომ სომხეთიდან გამსახურდიას ექსტრადიციისთვის მიეღწია, მთელ მსოფლიოს შხამავდა — **ზვიად გამსახურდიამ საქართველოდან 200 მილიონი მანეთი და 55 კილოგრამი ოქრო გაიტაცაო!** უბედურება ის გახლავთ, რომ შევარდნაძის ბინძურ პოლიტიკას სამეგრელოს წინააღმდეგ გარკვეული საფუძველი ჰქონდა!

**— რას გულისხმობთ?**

— სტალინი უდიდესი პიროვნება გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მეგრელებსა და აჭარლებს ქართველებად არ განიხილავდა. 1951 წლის ზაფხულში, როცა საქართველოში ისვენებდა, მისმა განუყრელმა და უახლოესმა მეგობარმა **ეგნატაშვილმა** ბელადს უთხრა — **სოსო, შენი საყვარელი ქართლ-კახეთი მეგრელებმა გადათელესო!** სტალინს ეგნატაშვილისთვის მაშინ არაფერი უპასუხია, მაგრამ 1951 წლის ნოემბერში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა პოლიტბიუროს დადგენილება **„საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“,** რის შემდეგაც მეგრელებს დაერივნენ...

ერთხელ მოსკოვში ყოფნისას მოვხვდი ისეთ სიტუაციაში, რომ გავიცანი **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** რომელსაც „მეგრელთა საქმის“ შესახებ ვკითხე. მან თქვა, რომ პოლიტბიუროს მიერ მიღებული დადგენილების შესახებ სინამდვილეში იმავე პოლიტბიურომ შეიტყო გაზეთ „პრავდის“ საშუალებით, ანუ **მოლოტოვმა** აშკარად მიანიშნა, რომ დადგენილება, რომლითაც „მეგრელთა საქმე“ დაიწყო, სინამდვილეში არა პოლიტბიურომ, არამედ სტალინმა დაწერა!

სტალინი „მეგრელთა საქმის“ გამოძიებით დაინტერესებული იყო და პირდაპირი კავშირი ჰქონდა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე **თავდიშვილთან.** ცხადია, მთელი ეს კამპანია მიმართული გახლდათ **ლავრენტი ბერიას** წინააღმდეგ.

ბერია უკვე დიდი ხნის დახვრეტილი იყო, როცა მისმა მეუღლემ **ნინა გეგეჭკორმა** ჟურნალისტ **თეიმურაზ ქორიძესთან** საუბრისას ასეთი რამ თქვა —

*„ადამიანმა უნდა იფიქროს მარტო თავის ქვეყანაზე, რადგან არცერთი სხვა ქვეყნის ხალხი არ დააფასებს მის შრომას. მაგალითისთვის გამოდგებიან: **ჯუღაშვილი** (სტალინი), **ორჯონიკიძე, ჩხეიძე, წერეთელი, ენუქიძე, ბერია...** მათ სწამდათ, რომ იბრძოდნენ დედამიწაზე ყველა ხალხის ბედნიერი მომავლისთვის და რა გამოვიდა ამისგან? ისინი ვერაფრით გამოადგნენ ვერც თავის სამშობლოს, ვერც — თავის ხალხს. იმ სხვა ხალხმა კი უარყო მათი შრომა და ისე მოხდა, რომ ყველა ეს ქართველი უსამშობლოდ მოკვდა!“*

სიმართლე რომ ვთქვათ, ბერიას დროს საქართველოში მეგრელები უმრავლეს თანამდებობაზე მართლაც იყვნენ ისევე, როგორც შევარდნაძემ ყველგან გურულები დანიშნა, მაგრამ სტალინის დროს ამას დაუდეს უბინძურესი სარჩული და გამოუძებნეს საშინელი ახსნა, თითქოს მეგრელები იყვნენ ნაციონალისტები, ჯაშუშები და აგენტები... 11 ათასამდე მეგრელი მოაყოლეს მაშინ რეპრესიებში და გადაასახლეს. **რაც შეეხება შევარდნაძეს, მას მეგრელები ეზიზღებოდა და გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლას მის წარმოდგენაში ზვიადის მეგრული წარმოშობაც კვებავდა.**

**— შევარდნაძეს რომ მეგრელები ეზიზღებოდა, ეს საიდან მტკიცდება?**

— მაგალითად, ცხონებული **ჟიული შარტავა** კომკავშირში მეგრელების დაწინაურებას ერიდებოდა, რადგან კარგად იცოდა შევარდნაძის მათდამი დამოკიდებულება. სხვათაშორის, ცეკაში მუშაობდა ერთი კაცი, გვარად **გოგოხია,** რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ შევარდნაძე მეგრელებს ვერ იტანდა. შევარდნაძე ეშმაკურად იქცეოდა — მეგრული გვარის მქონე პირებს თუ სადმე დანიშნავდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა მეგრული არცერთმა არ იცოდა. ასე, მაგალითად, სენაკის რაიკომის მდივნად დანიშნა **ესვანჯია,** რომელმაც მეგრული არ იცოდა. მარტვილში რაიკომის მდივნად ჰყავდა **გვარჯალაძე,** რომელიც გურული იყო, ხოლო აბაშის რაიკომის მდივანი **ზურამ მგელაძე** გახლდათ. არცერთმა მეგრული არ იცოდა... ზუგდიდს ამას ვერ უბედავდნენ... **ნაპო მესხია** იგონებს ძალიან საინტერესო რამეს: ცხონებულ **ჟიული შარტავას** ჰკითხეს აზრი შევარდნაძის შესახებ და მან ასეთი რამ თქვა — **შევარდნაძე არის კაცი, რომელიც მოგიკლავს შვილს, მერე მოვა ოჯახში პანაშვიდზე, მოგისამძიმრებს და გვერდში დაგიდგება!**

შევარდნაძე თავის მემუარებში იხსენებს კოსიგინის ვიზიტს საქართველოში. აბაშიდან კოსიგინი წაიყვანეს ლიკანში და რომანოვების სასახლეში აჩვენეს სტალინის მიერ კედელზე მიჭედებული ლურსმანი, რომელზეც ბელადმა ქუდი ჩამოკიდა. როგორც შევარდნაძე იგონებს, კოსიგინმა, ძალიან თბილად გაიხსენა სტალინი და გაკვირვებულმა იკითხა — **კი მაგრამ, ასეთ ნიჭიერ და კეთილშობილ ხალხში, როგორიც ქართველები ხართ, ასეთი გველი — ბერია როგორ გაჩნდა?!** დარწმუნებული ვარ, კოსიგინი ამას არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა და ეს ყველაფერი შევარდნაძემ გამოიგონა, რადგან ბერია, როგორც მეგრელი, ეზიზღებოდა... სხვათაშორის, „მეგრელთა საქმე“ გაცოცხლდა 1989-1990 წლებში, როცა **გუმბარიძის** პერიოდში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ **ნოდარ ჭითანავა** დაინიშნა. ადამიანების ერთი ჯგუფი ჭითანავას ერჩოდა და ანონიმურ წერილებს წერდა — **ჭითანავას მთავრობის თავმჯდომარედ რა უნდა, თავის სამეგრელოში წავიდესო!** ნოდარ ჭითანავა იძულებული გახდა, ამის შესახებ ხმამაღლა ეთქვა და დაეწერა წიგნი — **„ვაშინერს, ბატონებო!“**

**— ანუ შევარდნაძეს სამეგრელო და მეგრელები თავიდანვე არ უყვარდა?**

— დიახ, თავიდანვე არ უყვარდა, მაგრამ ზვიადისადმი მტრობამ ეს სიძულვილი ზოოლოგიურ ზიზღამდე მიიყვანა. ამიტომაც იყო, რომ 1992 წლის გაზაფხულზე, როგორც კი სამეგრელოს თავის ბანდები შეუსია, ზუგდიდშიც, აბაშაშიც, სენაკშიც, წალენჯიხაშიც, მარტვილშიც, ხობშიც და ჩხოროწყუშიც პირველი მსხვერპლი დაფიქსირდა. ბანდიტებმა მოკლეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები: **ირაკლი დგებუაძე, სულხან სარია, გია გერულავა, აბო გულუა,** პრეზიდენტის მდივანი **ლალი მაისურაძე, გოგი კვარაცხელია, მიმოზა შელია, ედი წიფურია, გოჩა ჯიქია, ჯუმბერ ჯალალონია, ეზოკე სიჭინავა, მერაბ ქარდავა, კობა ციმინტია, მურადი ღვინჯილია, მამუკა დანელია, კახა ბართაია, ლონდერ ჭოჭუა...** დახვრეტილთა სია უსასრულოდ გრძელია... ჟურნალისტმა **ნატო კორსანტიამ** დეტალურად აღწერა სოფელ დარჩელის ტრაგედია, როცა „მხედრიონმა“



გიორგი ყარყარაშვილი და ედუარდ შევარდნაძე

## გიორგი ყარყარაშვილი:

# ვინ შემიყვანა სამეგრელოში? ვინ მაქლეტინა მეგრელები? მე რა, ჩემი სურვილით შევედი იქ?

**„ჯიხაშკარის გზაზე ძროხის დაკვლა და მთლიანად წაღება რომ დაეზარათ, მხედრიონელებმა ცოცხალ ცხოველს უკანა ფეხი მოაჭრეს და ხარხარით გაუდგნენ გზას მწვადების შესაწვავად!“**



ჟიული შარტავა და ედუარდ შევარდნაძე

# ჟიული შარტავა:

## შევარდნაძე არის კაცი, რომელიც მოგიკლავს შვილს, მერე მოვა ოჯახში პანაშვიდზე, მოგისამძიმრებს და გვერდში დაგიდგება!

**დოდო გუგეშაშვილის** ხელმძღვანელობით სოფელში 27 სახლი გადაწვა. **ბენო ვართაგავას, კორსანტ ხუბუას, სერგო აბსანძის, პალიკო სიჭინავას, ვალერი კუკავას, კაკო ჭანტურიას, დემურ კილასონიას, მარო ჯიქიასა** და სხვათა ჩანაცრებული სახლები ჯერ კიდევ ხრჩოლავდა, როცა ჟურნალისტი ადგილზე მივიდა და ეს ყველაფერი აღწერა. სამაგიეროდ, შევარდნაძის ტელევიზიამ და მისმა მონა ჟურნალისტებმა დარჩელის ტრაგედია სამარცხვინოდ და უღმერთოდ გააშუქეს:

> *„16 ნოემბერს დარჩელკახათის გასაყართან, ანაკლიიდან მომავალ სამხედროებსა და პოლიციელების ერთ ნაწილს ცეცხლი გაუხსნა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ზვიადისტებისა და აფხაზი ბოევიკების ჯგუფმა. შეტაკებისას დაიღუპა ორი მხედრიონელი და დაიჭრა ოთხი. ორმხრივი სროლისას დაიწვა ორი საცხოვრებელი სახლი!“*

ჯიხაშკარის გზაზე ძროხის დაკვლა და მთლიანად წაღება რომ დაეზარათ, მხედრიონელებმა ცოცხალ ცხოველს უკანა ფეხი მოაჭრეს და ხარხარით გაუდგნენ გზას მწვადების შესაწვავად. საცოდავი ცხოველი საშინელი წამებით მოკვდა... სოფელ კოჩარაში მანდარინებს ძირში ჭრიდნენ და ისე ჭამდნენ, რადგან ხეზე ასვლა ეზარებოდათ... ეს ნაძირალები ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ შევარდნაძეს სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ სიძულვილის მეტი არაფერი ამოძრავებდა და ფარულად თუ ღიად სხვებსაც ამ სიძულვილს უნერგავდა.

სხვათაშორის, როცა ქვეყანა მიწასთან გასწორდა, აფხაზეთი დავკარგეთ და ზვიადიც მოკლეს, ამ უბედურებისა და საშინელების ერთ-ერთმა თანაავტორმა **გიორგი ყარყარაშვილმა** 1996 წლის 27 ივნისს გაზეთ „შვიდ დღეში“ რიტორიკული შეკითხვა დასვა — **„ვინ შემიყვანა სამეგრელოში? ვინ მაულეტინა მეგრელები? მე რა, ჩემი სურვილით შევედი იქ?“**

**ცნობისათვის:** შევარდნაძემ ვერტმფრენებიდან დააბომბვინა სამეგრელოს სოფლები: ჩქვალერი და ჯგალი, სადაც **ლავრენტი ბერია** დაიბადა. ვერტმფრენები ბომბავდნენ მთის ფერდობებსაც, სადაც ზვიადისტები ეგულებოდათ. 1992 წლის 5 ივლისიდან სამეგრელოში შევარდნაძის ბანდები სიების მიხედვით ძარცვავდნენ და იკლებდნენ ზვიადისტების ოჯახებს. ამ ბინძური და სამარცხვინო ოპერაციის მონაწილე ერთ-ერთი პოლკოვნიკი, რომელიც მერე შევარდნაძის გენერალი გახდა, ასე იწონებდა თავს:

> **„მე პოლკოვნიკი ვიყავი... სანამ სენაკში შევიდოდით, „ბეტეერებზე“ წმინდა გიორგის ხატები მივაკარით. მათებურები, ანუ ზვიადისტები ტაშით შეგვხვდნენ, რადგან ჩვენც ზვიადისტები ვეგონეთ, მაგრამ ცეცხლი რომ გავუხსენით და რამდენიმე გავაუვნებელვყავით, დანარჩენები თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ!“**

არსებობს ასეთი წიგნი — „ცოდვის კალო სამეგრელოში“, რომელიც 2007 წელს გამოვიდა. აი, სწორედ იქ არის ამ გარეწრის გვარი და სახელი მითითებული. შევარდნაძის მიერ დაქირავებული რუსი და უკრაინელი სამხედროები სამეგრელოს სოფლების ტოპოგრაფიული რუკებით იყვნენ აღჭურვილი და „მხედრიონის“ ბანდებთან ერთად ძარცვავდნენ მოსახლეობას.

**— ბალტინის ჯარს გულისხმობთ?**

— არა, ბალტინის ჯარს არ ვგულისხმობ, რადგან შევარდნაძე რუსებს მანამდეც ქირაობდა, ხოლო უკრაინული „უნაუნსოს“ წევრები, რომლებიც აფხაზეთში ჩვენ მხარეს იბრძოდნენ, სამეგრელოში შევარდნაძის გვერდით დადგნენ და ზვიადისტებზე ნადირობდნენ. ასეთ ვითარებაში შევარდნაძის თეორეტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ **„მეგრულმა სეპარატიზმმა ახალი ძალით იჩინა თავი სამეგრელოში და ის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა გახდა.“**

ამ ფონზე, 1992 წლის 24 ივლისს შევარდნაძე წალენჯიხაში ჩავიდა, სადაც მისმა ბანდებმა 800-ზე მეტი ოჯახიააწიოკეს და გაძარცვეს; მოკლული იყო ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე და კანონიერების დამცველი ცხრა გვარდიელი.

შევარდნაძეს წალენჯიხაში დახვდნენ შავოსანი ქალები — საზარელი წამებით მოკლული **მერაბ კვარაცხელიასა და ზაურ გაგუას** დები, ასევე პრეზიდენტის ერთგული გვარდიელების დედები და ცოლები... ხალხი შევარდნაძეს პასუხს სთხოვდა... შევარდნაძე წალენჯიხიდან გაიქცა, ხოლო მისმა ბინძურმა და დამნაშავე ტელევიზიამ, რომელმაც ლომის წილი შეიტანა საქართველოს დაქცევაში, გამწარებული ხალხი და შავოსანი ქალები „კომიკოსებად“ და „ბრბოდ“ გამოაცხადა. სხვათაშორის, 1996 წლის 14 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს **რეზო ყიფიანს** ეყო კაცობა, ეღიარებინა —

> *„სამეგრელოს ტრაგედიაში დამნაშავეა არა რომელიმე მხედრიონელი, არამედ მთელი ორგანიზაცია, მთელი „მხედრიონი“. რომელი სახელმწიფო მოღვაწის მოკვლაც გინდა განიზრახო, არ არის იმოდენა დანაშაული, რამხელა დანაშაულიც უიარაღო ხალხის ხოცვაა!“*

**— გასაგებია, რომ ყველაფერს შევარდნაძე წყვეტდა, მაგრამ მასთან ერთად ვინ იყო სამეგრელოს დარბევის ინიციატორი?**

— შევარდნაძესთან ერთად სამეგრელოს დარბევისა და გადაბუგვის ინიციატორი გახლდათ **შოთა კვირაია,** რომელსაც შევარდნაძემ უბინძურესი საქმეები გააკეთებინა, ბოლოს კი მის მოსაშორებლად **ირინა სარიშვილი** დაქოქა.

***ესაუბრა***

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №38-41*

***ჟურნალისტ მაყვალა ბერიანიძესთან ინტერვიუების მორიგი ციკლი აფხაზეთის დაკარგვასთან დაკავშირებით დღევანდელი საგაზეთო საუბრით სრულდება. ვფიქრობთ, ჩვენმა კოლეგამ ბევრი საინტერესო ინფორმაცია გააჟღერა და ამომწურავად ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რის გამოც ჟიული შარტავა დახვრიტეს:***

— სოხუმის დაცემისა და ჟიული შარტავას დახვრეტის თარიღს საქართველო კვლავ არეული, აწეწილი, დაპირისპირებული და გახლეჩილი ხვდება. რაც 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში მოხდა, სამარცხვინო იყო. ამიტომ, როცა მეკითხებიან — **რატომ გაიწირა და დაიხვრიტა ჟიული შარტავა?** — ჩემი პასუხი მარტივია — შეხედეთ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, კარგად დააკვირდით ქართველ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას და მიხვდებით, თუ რატომ დახვრიტეს ჟიული შარტავა, ჯუმბერ ბეთაშვილი, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია!

**— ქალბატონო მაყვალა, ჯუმბერ ბეთაშვილი ვინ იყო?**

— **ჯუმბერ ბეთაშვილი** უჭკვიანესი პიროვნება გახლდათ — ჟიულის მრჩეველი, რომელიც მიხვდა, რომ აფხაზეთი გაყიდული იყო და ცდილობდა, შარტავა გადაერჩინა, მაგრამ ვერ გადაარჩინა! ჯუმბერს შეეძლო წასვლა, მაგრამ არ წავიდა და შეეწირა... ჟიულისთან ერთად აფხაზი **რაულ ეშბას** დახვრეტით საქართველოს მტრებმა ქართულ-აფხაზური ერთობის დახვრეტა სცადეს და, მგონი, დახვრიტეს კიდეც.

წინა ინტერვიუში ჩვენ გავიხსენეთ 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომი, როცა ერთმა რუსმა და ერთმა სომეხმა დივერსანტმა ძეგვის ხიდი ააფეთქეს. მაშინ მათმა ადვოკატმა **ზელენსკიმ** ქართულ მართლმსაჯულებას განუცხადა — ერთიც და მეორეც ბრიტანეთის აგენტია და კეთილი ინებეთ და გაუშვითო! საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ბრიტანეთის აგენტი-დივერსანტები გაეშვა. სწორედ მაშინ გამოვიდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, მწერალ **ეკატერინე თარხნიშვილის** ვაჟი **რეზო გაბაშვილი** და დაწერა: *„ცრუ ინგლისის ცრუ შიშით საქართველოს სახელმწიფოს შინაგანმა მტრებმა საგარეო მტრებს ხელი დააფარეს!“* ახლა ვეკითხები ქართველ საზოგადოებას — 1918 წლის შემდეგ საქართველოსთვის რამე შეიცვალა? თუ ჩვენი საზოგადოება ხმას არ ამოიღებს, გავიზიარებთ **ფილიპ ნოლანის** ბედს, რომლის საშინელი ტრაგედიაც „უსამშობლო კაცში“ ასე ოსტატურად აღწერა **ედუარდ ჰეილმა.**

**— ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში თუ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში რამე?**

— მაქვს აფხაზებთან ურთიერთობა და ბევრისგან მსმენია — რომ გვცოდნოდა, 1991 წელს **ბინ ლადენი** ჰყავდათ სოხუმში ჩამოყვანილი და ასეთი შეიარაღებული დაჯგუფებები იქმნებოდა ჩვენს ასაოხრებლად, ქართველები და აფხაზები ერთად დავდგებოდით და ვერავინ მოგვერეოდაო! **მე, მაგალითად, ძალიან მეშინია 2024 წლის, რადგან გაისად ამერიკაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც არჩევნებია დანიშნული და სამივე ამ**

***გაგრძელება 22-ე გვერდზე***



# მაყვალა ბერიანიძე:

### შევარდნაძემ ჟიული უკან, აფხაზეთის მთავრობის სასახლისკენ გაგზავნა და უთხრა — მაშველი ძალა შემოდის და არ შეიძლება, ქალაქი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩესო!

## სწორედ ასე წავიდა ჟიული შარტავა და გაიყოლა ყველა ის პატრიოტი, რომელიც მერე მასთან ერთად გაიწირა!



## 27 სექტემბერს, 30 წლის წინათ, ჟიული შარტავა უნდა მოკვდეს!

# 27 სექტემბერს, 30 წლის წინათ, ჟიული შარტავა უნდა მოკვდეს!


ჟიული შარტავას დაკრძალვა

დასაწყისი 21-ე გვერდზე

**ქვეყანას სახე აქვს დაკარგული.**

საქართველო უმძიმეს ფაზაში შედის... ჩვენ ჩამოგვკიდეს ამ კანდიდატის სტატუსს და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ქვეყანა ახლაც ისე არიონ, როგორც ეს **1993 წლის სექტემბერში მოხდა.** ვანგა არ ვარ, მაგრამ ვანგასთან ნამყოფი ვარ და დღემდე შიშის ჟრუანტელი მივლის იმის გახსენებაზე, რაც მან მითხრა! გეუბნებით და გაფრთხილებთ ყველას: **თუ საქართველო არ გამოფხიზლდა და მთელი ხალხი ფეხზე არ დადგა, 2024 წელი იმაზე უფრო მძიმე და სისხლიანი იქნება, ვიდრე 1924 წელი!** სხვათაშორის, გაისად 1924 წლის აჯანყება ასი წლის ხდება...

**როგორც ისტორიკოსმა, დიდი ხნის განმავლობაში ვიმუშავე ამ აჯანყებაზე და შემიძლია, სრული პასუხის-მგებლობით მოგახსენოთ, რომ 1924 წლის აჯანყების პერსონაჟთაგან ბევრი გმირი სინამდვილეში მოღალატეა, ბევრი მოღალატე – გმირი, ხოლო მსხვერპლი – მივიწყებული.**

წინა ინტერვიუში ისიც გითხარით, რომ მოღალატეთა და გმირთა გვარ-სახელები ასი წლის შემდეგაც ზუსტად მეორდება-მეთქი! აი, მაგალითად, 1924 წლის 25 აგვისტოს ჭიათურაში **ალიოშა ბოკერია** ჩავიდა ხალხის ასაჯანყებლად. საბედისწერო შეხვედრაზე, რომელსაც **შალვა რამიშვილი, ვაშაძე და წერეთლები** ესწრებოდნენ, **ვალიკო ჩუბინიძესაც** დაუძახეს. მერე მოღალატეები გაიქცნენ და **ვალიკო ჩუბინიძეს** შეატოვეს ხელში ყველაფერი... უბედურება დატრიალდა იქ — ბოლშევიკებმა ჯერ 96 კაცი ჩაცხრილეს ვაგონებში, ხოლო შემდეგ — 171...

**— ვინ ჩახოცა ეს ხალხი?**

— ერთ-ერთი მკვლელი გახლდათ **ქუთაისელი მშვენიერაძე,** რომელმაც ამდენი ხალხი რომ დახვრიტა, წყალი გადაივლო და საქეიფოდ წავიდა. **თქვენ რა გგონიათ, სააკაშვილი და მისი ხროვა რომ ხელისუფლებაში მოტრიალდნენ, ხალხს არ ჩახოცავენ და მერე საქეიფოდ არ წავლენ?** აი, მაგალითად, „ლელოში" არის ერთი ბიჭი **არჩილ გეგელია.** სწორედ მაგის სეხნია და მოგვარე პატარა ბიჭი **არჩილ გეგელია** მივიდა ლავრენტი ბერიასთან... გეგელიას კარგად ჩააცვეს, დაახურეს, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნეს, ქართულ ემიგრაციაში შეგზავნეს და ათასი უბედურება დაატრიალებინეს.

ჭიათურაში ცხოვრობდა ვინმე **ლადია ვაშაძე,** რომელმაც 1924 წლის აჯანყების დროს მილიციაში ყუმბარა შეაგდო, მაგრამ ყუმბარა არ აფეთქდა, რადგან ე.წ. „ბალვანკა" იყო... აი, ასეთი ხალხი იბრალებდა პატრიოტობას და ასეთებმა დაღუპეს უამრავი ღირსეული ახალგაზრდა. იქნებ ხალხს ვუთხრათ, ვინ იყვნენ აგენტი **„ლუკა"** და აგენტი **„ავთანდილი",** რომლებმაც საქართველო დაღუპეს! ცხონებული **ჟიული შარტავაც** საქართველოს მტრებმა და აგენტებმა გაწირეს!!!

**— მაინც, ვინ მოკლა ჟიული შარტავა?**

— არც **ჟიული** და არც **რაულ ეშბა** აფხაზს არ მოუკლავს, ჩამოთესლებულებმა მოკლეს! ეს ჩამოთესლებულები კი ერთდროულად ღვრიდნენ როგორც აფხაზის, ისე ქართველის სისხლს...

**— აღწერეთ როგორ გაუშვეს ჟიული შარტავა სასაკლაოზე!**

— 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი ცარიელი იყო, ხალხი ქალაქიდან გასული გახლდათ. ჟიულის იმ ე.წ. „გოსდაჩაზე" თათბირზე დაუძახეს...

**— ვინ დაუძახა?**

— რა თქმა უნდა, **ედუარდ შევარდნაძემ!** იმ ე.წ. „გოსდაჩაზე" ვინც იყო და დარჩა, კაციშვილს არაფერი მოსვლია... აგერ არის **გიორგი ბარამიძე** და ჰკითხეთ, ყველაფერი იცის... ამის შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს ქალაქში **გიორგი ყარყარაშვილი** უნდა შემოსულიყო 5 ათასი კაცით და სოხუმიდან მტერი გაეყარა. ცხადია, ეს იყო ბლეფი... **შევარდნაძემ** ჟიული უკან, აფხაზეთის მთავრობის სასახლისკენ გაგზავნა და უთხრა — **მაშველი ძალა შემოდის და არ შეიძლება ქალაქი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩესო!** სწორედ ასე წავიდა ჟიული და გაიყოლა ყველა ის პატრიოტი, რომელიც მერე მასთან ერთად გაიწირა. მათ შორის გახლდათ ლეგენდარული პიროვნება **გურამ გაბისკირია** — სოხუმის მერი.

იცით, რა მაინტერესებს? ზოგიერთებს, რომლებიც ჟიულისთან იყვნენ და ქუჩა-ქუჩა გამოიარეს მთელი სოხუმი, ჰკითხეთ, რატომ ან როგორ გადარჩნენ!

**— ბარამიძეს გულისხმობთ?**

— არა, ბარამიძე მანდ არ ყოფილა, მე ვგულისხმობ სულ ბოლო მომენტებს!

**— გამოიპარნენ?**

— დიახ, გამოიპარნენ!

**— ვინ გამოიპარა?**

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნებით — დაინტერესდით ამ ფაქტით! **ჟიული შარტავა** უკან მარტო არ მიბრუნებულა და მას გაჰყვნენ — **ჯუმბერ ბეთაშვილი, გურამ გაბისკირია, რაულ ეშბა...** გაჰყვნენ იმიტომ, რომ ვაჟკაცები იყვნენ, გმირები იყვნენ და პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის, რომლებიც ჟიულის გაჰყვნენ, რამდენიმე გადარჩა. **ნუ დამასახელებინებთ იმ სამარცხვინო და მოღალატე არაკაცების გვარებს, რომლებიც გადარჩნენ იმიტომ, რომ ჟიული შარტავას მთავრობის სასახლიდან გამოეპარნენ!**

**— დღეს სად არის ეს ხალხი?**

— ჯერ ის მკითხეთ, როგორ არის ეს ხალხი! ცხოვრობენ ძალიან მაგრად, აქვთ სრა-სახლები და არიან ჯანმრთელად!

**— ბლომად არიან მოღალატეები?**

— საკმაოდ! შვილებიც დასაქმებული ჰყავთ, შვილიშვილებიც, ბიზნესებიც აქვთ და ცხოვრობენ არხეინად... თუ გნებავთ, ამ თემაზე ცალკე ვილაპარაკოთ და რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს გადმოგცემთ! წინა ინტერვიუშიც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

**ერთი ქალბატონი წავიდა და ძალიან ბევრი მასალა დატოვა. იმ მასალებიდან უმცირესი ნაწილი შევისწავლე და იმის შემდეგ თმები ყალყზე მიდგას...**

**— მაინც რა მასალებზეა საუბარი?**

— გულწრფელად გეტყვით, რომ ამდენი ღალატის, უნამუსობისა და თახსირობის ატანა, უკვე ძალიან ძნელია. რიტორიკულ შეკითხვას ვსვამ — **სოხუმის დაკარგვის 30 წლისთავს დღევანდელი აფხაზეთის მთავრობა რითი ხვდე-**



## მაყვალა ბერიანიძე:

## კარგად დააკვირდით ქართველ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას და მიხვდებით, თუ რატომ დახვრიტეს ჟიული შარტავა, ჯუმბერ ბეთაშვილი, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია!


ჯუმბერ ბეთაშვილი, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია

**„ნუ დამასახელებინებთ იმ სამარცხვინო და მოღალატე არაკაცების გვარებს, რომლებიც გადარჩნენ იმიტომ, რომ ჟიული შარტავას მთავრობის სასახლიდან გამოეპარნენ!"**

## კვირგვინოსნები

**სოსო ცინცაძე**
ექსპერტი



1993-1995 წლებში **შევარდნაძის** მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ვიყავი და პარლამენტის სხდომებზე დასწრება მევალებოდა. ერთ-ერთ სხდომაზე **ირაკლი წერეთელი** გამოვიდა სიტყვით და **შევარდნაძეს** ეჩხუბა — **ნატოს 30 000 ჯარისკაცი მზად ჰყავს, რომ საქართველოში გამოგზავნოს, ჩვენი სუვერენიტეტი დაიცვას და ამ საქმეს შენ უშლი ხელსო!** შევარდნაძემ უპასუხა — გაგაგზავნი ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში და **ვიდრე 30 000 ჯარისკაცს არ ჩამოიყვან, მანამდე შენი ფეხი არ ვნახო თბილისშიო!** მართლა გაგზავნა **ირაკლი წერეთელი** ბრიუსელში მივლინებით **შევარდნაძემ.** მერე თქვეს — **ორი პერანგი და ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი იყიდა წერეთელმა ბრიუსელშიო** და სულ ეს იყო.

„ალია"

**გიორგი მელაძე**
დემოგრაფი, პროფესორი



მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანა ცდილობს, მიგრანტები შეიყვანოს, იმიტომ, რომ **შობადობა დაბალია, მოკვდაობა — მაღალი, ბუნებრივი მატება ზოგს ნული აქვს, ზოგს — მინუს ერთი.** 1972 წლის შემდგომ **გერმანიაში მეტი კვდება, ვიდრე იბადება** და რომ არ შედიოდნენ ემიგრანტები, ქვეყანას ძალიან გაუჭირდებოდა. **საფრანგეთშიც** ასეა, **პოლონეთშიც, აშშ-ში** უკვე დიდი ხანია, ასეა.

„კვირის პალიტრა"

**ოთო აბესაძე**
ეკონომიკის ექსპერტი



ქვეყანაში, სადაც არის **ძლიერი ეკონომიკა,** იქ არის **ძლიერი შობადობა და ნაკლები ემიგრაცია.** დადებითი მოლოდინი მექნება მაშინ, **თუ ხელისუფლება რეალურად შემოიჭერს ქამრებს** და გადავალთ მცირე მთავრობის მოდელზე. შედეგი დაახლოებით 18 თვეში გვექნება.

„ახალი თაობა"

**ვანო ჩხიკვაძე**
„ღია საზოგადოების ფონდის" ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი



საქართველოს მოსახლეობა **პროევროპულად განწყობილია,** უდიდეს უმრავლესობას სურს, **საქართველო იხილოს ევროკავშირის წევრ ქვეყნად.**

„კვირის პალიტრა"

## ჟურნალისტის სიტყვა



**„ივერი მელაშვილთან და ნატალია ილიჩოვასთან ერთად აფხაზეთის დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე იმ კომისიის წევრი იყო, რომელმაც რუკები დამალა და აზერბაიჯანს დავითგარეჯის მიწები მიუზომა!“**

**ბა, გვირგვინებს რომ მოიტანს ჟიულის საფლავზე, იმით?**

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეზე აფხაზმა პოლკოვნიკმა ქალმა **დიანა ძიაფშიბამ** ისეთი წერილი გამოაქვეყნა, ღამეები არ მძინავს. აფხაზი ქალი, რომელიც ომში ქართველების მხარდამხარ იბრძოდა, გვეუბნება, თუ ვინ გვყავს **რუსლან აბაშიძის** სახით აფხაზეთის დევნილი მთავრობის სათავეში...

**— მაინც რა დაწერა დიანა ძიაფშიბამ?**

— ქალბატონმა დიანამ ისაუბრა იმის შესახებ, რომ **რუსლან აბაშიძე არის აგენტი, რომელიც ესტონელებმა ქვეყნიდან გამოაგდეს!**

**— რუსლან აბაშიძე ესტონეთში ელჩი იყო?**

— დიახ, **რუსლან აბაშიძის მეუღლე,** ცნობილი მოდელი **თაკო ჩხეიძე** სააკაშვილის მეგობარი გახლდათ და ამ მეგობრობის გამო აბაშიძე მიშამ ესტონეთში ელჩად გაამწესა. სწორედ იქ მოხდა აბაშიძის ლუსტრაცია და ესტონელებმაც სააკაშვილს შემოუთვალეს — **ეს აგენტი მოგვაშორეთო!** დიანა ძიაფშიბა წერს, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე დევნილების ფულს კაზინოში რიცხავს, წამალდამოკიდებულია და აფხაზებს ეუბნება — დაივიწყეთ, რომ აფხაზები ხართო! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ იმავე დიანა ძიაფშიბას თქმით, **რუსლან აბაშიძე დევნილების ფულით სრა-სახლებს იშენებს.** შეიძლება, ამის შემდეგ საქართველოს მთავრობას ეძინოს?

**ამ წერილის გამოქვეყნებას უშიშროების საბჭოს სხდომა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ვინმემ რამე რეაგირება მოახდინა? როდესაც დავითგარეჯზე ლაპარაკობენ და ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილს აბრალებენ ყველაფერს, აფხაზეთის დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარე სად მუშაობდა?**

**— სად მუშაობდა?**

— **ივერი მელაშვილთან და ნატალია ილიჩოვასთან** ერთად აფხაზეთის დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე** იმ კომისიის წევრი იყო, რომელმაც რუკები დამალა და აზერბაიჯანს დავითგარეჯის მიწები მიუზომა! განა **აბაშიძე** არ იყო **თემურ იაკობაშვილის** მოადგილე, როდესაც 2006 წელს სააკაშვილმა კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ უწოდა? **2007 წელს ამ ნაძირალამ ახალგორის რაიონში ჩემი დაბადების ადგილი დროებით ადმინისტრაციას კი არა, სეპარატისტებს გადასცა!** რას აკეთებს ჩვენი ცენტრალური ხელისუფლება? რუსლან აბაშიძე **სალომე ზურაბიშვილს რომ უნდოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ** და გაპრეზიდენტებიდან მეოთხე თვეს დანიშნა ამ პოსტზე, იმიტომ ვერ ეხებიან?

**— სალომე ზურაბიშვილმა რუსლან აბაშიძე ამ პოსტზე რა ნიშნით შეარჩია?**

— ეგ სალომეს უფრო უკეთ ეცოდინება... შეეკითხეთ!!!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თუკი სტატუსს არ მოგვცემენ, მაშინ ცხადი იქნება, რომ **სისხლიანი მაიდანი უცხოეთიდან ერთობლივად იყო დაგეგმილი** და ამით მიიღებენ მათ სანატრელ ომს.

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი*



**კანდიდატის სტატუსი ბევრს არაფერს იძლევა,** მაგრამ მის არმოცემას მძიმე პოლიტიკური ჟღერადობა აქვს. თან, ეს პოლიტიკური განაცხადია რუსეთისთვის — **აჰა, შენ საქართველოო!**

„საერთო გაზეთი“

## 30 წლის შემდეგ

***აფხაზეთის დაცემიდან და ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დახვრეტიდან 30 წელი გადის. ამჟამად საქმიანობა მიწევს მისი სახელობის მუზეუმში, რაც მუდმივად მახსენებს დიდი და სახელოვანი პიროვნების ცხოვრებასა და მოწამეობრივ სიკვდილს.***





***ბორის დავითაია***

# როცა სიკვდილი გვირგვინია!

ჩვენმა პატარა, მაგრამ კოხტა ქალაქმა სენაკმა სამი ეროვნული გმირი აღზარდა: **ჟიული შარტავა, გენო ადამია და გურამ გაბისკირია.** მათ უკვდავსაყოფად ქალაქის პარკში სახელოვანი ქართველების ბიუსტები დგას, მოედნებს, სკოლებსა და ქუჩებს გმირების სახელები ჰქვია.

**ჟიული** მეგრული სახელია და ზეასვლას ნიშნავს. მჯერა, გმირობის შარავანდედით მოსილი ერისკაცი ზეციურ საქართველოში ცოტნე დადიანისა და სხვა გმირთა სულებს შეუერთდა.

•

ცნობილი ფაქტია, რომ ჟიულის აღზევება და მისი თანამდებობრივი წინსვლა კომუნისტურ პერიოდში მოხდა. საქართველოს ახალგაზრდობის წინამძღოლად დანიშვნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელობა და ასე შემდეგ... იმიტომ კი არა, რომ შევარდნაძე, როგორც ცეკას პირველი მდივანი, სამართლიანი და ყურადღებიანი იყო, არამედ თავად **ჟიული შარტავა** გახლდათ ნიჭიერი პიროვნება და შეუდარებელი ორგანიზატორი.

მდგომარეობამ ისე ინება, რომ შევარდნაძე მოსკოვში გადაიყვანეს, ცეკას პირველ მდივნად **ჯუმბერ პატიაშვილი** მოვიდა და დაიწყო ჟიულის არნახული დევნა.

ბევრი იხსენებს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ახლადდანიშნული შარტავას სიტყვებს — ყველაფრის თავიდან დაწყება მიხდებაო, რაც ისარივით მოხვდა გულში მის წინამორბედ პატიაშვილს, არადა, მუდმივად საუბრობს და წერს, ჟიულის „დევნაში“ არანაირი წვლილი არ მიმიძღვისო. არადა, ფაქტიაა: **პატიაშვილმა** ენერგიული და იდეებით გამორჩეული **შარტავა** მოსწყვიტა სახელმწიფოს მართვის უმაღლეს ეშელონებს და რუსთავის ქალაქკომის მდივნად გადაისროლა, სადაც მოკლე ხანში გასაოცარ შედეგებს მიაღწია.

პატიაშვილის წყალობით, **ჟიული შარტავას** არ ასცდა არც საბინაო და კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილეობა და როცა გონიერი და ინიციატივიანი ადამიანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მასზე უტყვიოდ „ნადირობდნენ“, გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა ფელეტონმა, სადაც იგი იყო ნაგულისხმები, ერთ-ერთ პარტიულ პლენუმზე ათქმევინა: **„მე, როგორც ცეკას წევრი, დღევანდელი პლენუმის მონაწილეთა წინაშე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, ფელეტონში გამოთქმული ბრალდებები (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი) არის ყოვლად დაუსაბუთებელი ცილისწამება!“**

ჟიული მოსკოვში წავიდა სასწავლებლად. უფრო სწორად, აიძულეს, გასცლოდა საქართველოს. იქ **ედუარდ შევარდნაძე** ეგულებოდა, რომელმაც, მიუხედავად არაერთგზისი მცდელობისა, არც კი ინება მასთან შეხვედრა. **ჟიულიმაც გული ქვეყნიდან შორს ვერ დაიყენა და, როგორც კი 1989 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობა გააქტიურდა, საქართველოს მოაშურა.** მაგრამ პარტიის ცეკას მაშინდელმა თავაკაცმა, „მამადუდ“ წოდებულმა **გივი გუმბარიძემ** განაგრძო ჟიულის აუგად მოხსენიება და ჩრდილში გადასროლილმა უბადლო ორგანიზატორმა კვლავ გულისტკივილით იკითხა:

*„მე ცოტა მეტი შემიძლია, ვიდრე ამჟერად ვაკეთებ. აგერ ექვსი წელია, არათუ ამის საშუალება მეძლევა, არამედ სულ ვიღაცისთვის საშიშ პიროვნებას წარმოვადგენ და ვერ გამიგია, რატომ? ამ მხრივ საოცრად ჰგავს ერთმანეთს ძველი და ახალი ხელმძღვანელების გამონათქვამები ჩემ მიმართ“.* (გულისხმობდა **პატიაშვილსა და გუმბარიძეს**).

შექმნილმა გარემოებამ ის შედეგი მოიტანა, რომ სისხლისღვრით თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოს 1992 წლის 7 მარტს კვლავ დაუბრუნდა **ედუარდ შევარდნაძე.**

ეს ის ჟამია, როცა ქვეყანა ჩაბმულია სამოქალაქო დაპირისპირებაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამეგრელოში. ყოფილი პირველი პრეზიდენტის მომხრეებმა შექმნეს შეიარაღებული რაზმები და ცდილობენ ძალადობრივად განდევნილი **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლებაში დაბრუნებას. სამეგრელო ძმათა სისხლისღვრის არენად გადაიქცა. მოსახლეობის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია.

შევარდნაძე მოსკოვიდან ერთი თვის ჩამოსულია. მასთან ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე საჭიროდ ჩავთვალე, აზრი გამომეთქვა. ვთქვი, რომ არეული სიტუაციის დასალაგებლად საჭიროა ღირსეული და ავტორიტეტიანი ადამიანი, რომელსაც აქვს ხალხთან საუბრის უნარი. ასეთად კი მიმაჩნია **ჟიული შარტავა!** მას დაახმარეთ რამდენიმე პიროვნება და მდგომარეობა მოგვარდება-მეთქი.

წამოხტა ჩემ პირდაპირ მჯდომი ახალგაზრდა პოეტი და თქვა — ჯერ **შევარდნაძის** ჩამოსვლას ვერ შეგუებია მოსახლეობა და ახლა ჟიულის წამოტივტივება არაფრით შეიძლებაო. **ისევ მომიხდა წამოდგომა და იმ ღირსებების ჩამოთვლა, რითიც ჟიული იყო შემკული. დავამატე, რომ ის არჩეულია პარლამენტის წევრად რუსთავის მოსახლეობის მიერ და ეს უკვე აღიარებაა.** სამეგრელოში რაიმე შედეგის მიღწევა თუ გვინდა, მისი ავტორიტეტი დადებით შედეგს გამოიღებს! — დავამატე და მტკიცედ დავიცავი ჩემი პოზიცია. **შევარდნაძე ზის. ზოგჯერ აწევს თავს. სიტყვას არ ძრავს. არაფერს ინიშნავს.** ეტყობა, თვალში ვეპატარავებით. მსოფლიო ელიტური წრის გავლენიან პიროვნებას ციცქნა სამეგრელოზე საუბარი ეხამუშება.

ისე დამთავრდა შეხვედრა, ქვეყნის მეთაურს არაფერი უთქვამს. შეკითხვაც არ დაუსვამს. რა იხარშებოდა მის გაქნილ გონებაში, ვერავინ მივხვდით. ცხადია, სამეგრელოს დასასჯელად მას უკვე ჰქონდა შემუშავებული ვერაგული გეგმა. არანაირი მოლაპარაკებები, არანაირი მცდელობა მოსახლეობაში შექმნილი მდგომარეობის განელებისა. **ჩამოაყალიბა „მხედრიონი“ და ქვემეხებითა და ტანკებით გადათელა უშუქობით, უპენსიობითა და უპურობით გათანგული სამეგრელო.** უფრო მეტიც, შევარდნაძეს სამეგრელოს დასჯასა და პირველი პრეზიდენტის დევნაში გამოეპარა აფხაზეთში შექმნილი საშიში მდგომარეობა, რაც ქვეყანას უდიდეს ტრაგედიად დაუჯდა. **და მხოლოდ მაშინ, როცა აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, გაახსენდა მას ჟიული შარტავა და 1993 წლის აგვისტოში დანიშნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.** ჟიული ჩვეული ენერგიით შეუდგა უაღრესად მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ შევარდნაძემ ხელი მოაწერა ყოვლად გაუმართლებელ შეთანხმებას რუსეთთან ტექნიკისა და შეიარაღებული ძალების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ, რაც ღალატის ტოლფასი იყო. ამიტომ ამბობენ, შევარდნაძემ აფხაზეთი გაყიდაო.

საგონებელში ჩავარდა შარტავა. ის ცდილობდა მდგომარეობის განეიტრალებას, მაგრამ ამაოდ... თვითმხილველი წერს:

**„ჟიული შარტავას 17 დღის განმავლობაში ტანგაუხდელად ეძინა სკამებზე. სისხლჩაქცევებისგან ფეხები დაუსივდა, ვეხვეწებოდი, რომ რამდენიმე დღით დაბრუნებულიყო თბილისში და ემკურნალა, მაგრამ სოხუმის დატოვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო“.**

ცნობილია, რომ მას სამუშაო კაბინეტში, საწერი მაგიდის პირდაპირ, ეკიდა მერვე კლასში დახატული გიორგი სააკაძის პორტრეტი. **ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ბავშვობიდან შინაგანი განცდით ემზადებოდა გმირობისთვის და ერისთვის თავდადებით დაამთავრა სიცოცხლე.** როგორც ჩანს, ის მზად იყო, ასულიყო გოლგოთაზე. აკი, მან სამიოდე წლის წინ ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას ბრძანა კიდეც:

**„რეალური საფრთხე არაერთხელ გავიარე. თუ სიცოცხლის გაღება იქნება საჭირო, მე უყოყმანოდ გავაკეთებ ამას ერისთვის და ოჯახისთვის. მერწმუნეთ, ეს ხმამაღლობისთვის და პათოსისთვის არ არის ნათქვამი“.**

ისე ინება უფალმა, რომ ამაღლების დღეს უწია ჟიულის ქვეყნის თავისუფლების სამსხვერპლოზე შემდგარიყო და კიდევ ერთი საამაყო ფურცლით შეევსო „ქართლის ცხოვრება“.

**მან შეძლო გმირული ცხოვრებაც და გმირული სიკვდილიც.**

**სამწუხაროდ, ედუარდ შევარდნაძემ ჯეროვნად არ შეაფასა ჟიულის თავგანწირვა და უმაგალითო ვაჟკაცობა და ეროვნული გმირის წოდება არ მიანიჭა**. არადა, სიკვდილი ყოველთვის არ არის მწარე განაჩენი, ზოგჯერ სიკვდილი გვირგვინია! **დიახ, ჟიული მოკლეს, მაგრამ დაიბადა გმირი ჟიული, რომელიც კაშკაშა მაგალითია თაობებისთვის!** გაივლის წლები — **ჟიული შარტავას ამქვეყნიურ ცხოვრებაზე დაიწერება დიდი წიგნი, რომელიც არასდროს დაიხურება. მას ბევრი, ძალიან ბევრი ნათელი ფურცელი შეემატება და შარავანდედით მოეფინება ერის ისტორიას.**

***ბორის დავითაია**, სენაკის საპატიო მოქალაქე*

*„ასავალ-დასავალში“ადრეც ვწერდით განმაცვიფრებელ მოწყობილობაზე — პრანა რეკუპერატორზე, რომელიც ახლა კიდევ უფრო დაიხვეწა და თანამედროვე ბინებში ჯანმრთელობის შენარჩუნების შეუცვლელ საშუალებად გვევლინება. თანაც, ფუნქციების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელთაც ის ასრულებს, ძალიან იაფია!* — *„ამ მოწყობილობას თავისუფლად შეუძლია, უფანჯრებო ოთახი ან, სულაც, მიწისქვეშა ნესტიანი და კედლებდაობებული სარდაფი, სადაც ადრე სუნთქვაც კი შეუძლებელი იყო, ბრწყინვალე საცხოვრებელ ფართად გადააქციოს!“* — ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი კომპანია „ეკობინის“ დამფუძნებელმა, არქიტექტორმა ზურაბ დოლენჯაშვილმა:***




# ზურაბ დოლენჯაშვილი:

# რეკუპერატორი ვინც დააყენა, ბინის გაყიდვაც გადაიფიქრა!

— ადამიანებს ხშირად აწუხებთ ალერგია, უძილობა, თავის ტკივილი და ქრონიკული დაღლილობა. ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ ბრონქიტით და სხვადასხვა ვირუსული დაავადებით. საცხოვრებელ ბინაში კედლები სველდება, ჩნდება ნამის წვეთები და პერიოდულად ობდება კიდეც, ხოლო შუშები მუდმივად იორთქლება — თითქოს ნაცნობი სურათია! მაგრამ, თურმე, ყველა ამ პრობლემას საერთო მიზეზი გააჩნია, რომლის გადაჭრაც, **პრანა რეკუპერატორით** არის შესაძლებელი!

**— რა არის რეკუპერატორი, როგორ ჭრის ამ პრობლემებს?**

— **პრანა რეკუპერატორი ეკოლოგიური ბინის უმთავრესი ატრიბუტია, რომელიც უბადლოდ და ტემპერატურის დანაკარგის ან მატების გარეშე ასრულებს ჰაერის ვენტილაციას, ანუ სახლის განიავებას.** ამ მოწყობილობას შეუძლია ოთახიდან გაიტანოს სხვადასხვა პრობლემით განპირობებული სუნი, ნესტი და ნახშირორჟანგით დაბინძურებული ჰაერი; მის ნაცვლად გარედან შემოიტანოს სუფთა, გაფილტრული, მიკრობებისგან განეიტრალებული ჰაერი იმგვარად, რომ ოთახში არსებული ტემპერატურა არ შეცვალოს. ბინას ზამთარში ხომ ვათბობთ, ზაფხულში კი ვაგრილებთ. დაუწერელი კანონია, რომ პერიოდულად გავაღოთ ფანჯრები, რათა ნახშირორჟანგით გაჯერებული ჰაერი გავდევნოთ და ჟანგბადი შემოვუშვათ. მაგრამ ღია ფანჯრიდან ნახშირორჟანგთან ერთად სითბოც გადის. ეს იმას ნიშნავს, რომ ტემპერატურა, რომლის აწევასაც ენერგია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი თანხა მოხმარდა, იკარგება. ფანჯრის დახურვის შემდეგ ხომ გამათბობელმა თავიდან უნდა დაიწყოს ბინაში ჰაერის გათბობა. რეკუპერატორი კი ოთახში სითბოს დანაკარგის გარეშე უზრუნველყოფს ჰაერმონაცვლეობას.

იოგაში **„პრანა“** სუნთქვას ნიშნავს. **რეკუპერატორს სწორედ ეს დანიშნულება გააჩნია, რომ ადამიანებს ჯანმრთელად სუნთქვაში ხელი შეუწყოს, თანაც იმგვარად, რომ არც ცივ ზამთარში და არც ცხელ ზაფხულში ბინაში ფანჯრის გაღების აუცილებლობა აღარ იქნება!**




**ბინაში, სადაც რეკუპერატორი აყენია, არასოდეს გაჩნდება კედლის ობი და სოკო; არასოდეს დანესტიანდება ჰაერი და კედლებზე ან ფანჯრის შუშებზე არასოდეს გაჩნდება ნამის წერტილები!**

რეკუპერატორის მექანიზმში ჩამონტაჟებული ანტისეპტიკური თვისების მქონე სპილენძის ფირფიტებში გამავალი ჰაერი ბაქტერიებისა და ვირუსებისგანაც იწმინდება, რაც ჯანმრთელობის და კარგი განწყობის საწინდარია!

**— ნუთუ ამ მოწყობილობას ზღვისპირა რეგიონებშიც შეუძლია ბინაში ჭარბი ტენიანობის პრობლემის გადაჭრა?**

— ჩვენი კომპანია საქართველოში პრანა რეკუპერატორის ექსკლუზიური შემომტანია. 7 წლის განმავლობაში თუნდაც ერთი უკმაყოფილო კლიენტი არ გვყოლია! ნებისმიერ კლიენტს, რომელსაც რეკუპერატორის შესაძლებლობები გაზვიადებულად ეჩვენება, შევთავაზებ უპირობო გარანტიას, რომ ნაკლს ვერ უპოვის! როცა გარეთ ცივა, სახლში კი თბილა, კედლებზე წარმოიქმნება მეტნაკლები კონდესანტი. კედელზე გაჩენილი ნამის წვეთები ცუდი აღსაქმელია და რემონტსაც აფუჭებს, თანაც, მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ქობულეთის, ბათუმის, გრიგოლეთის, შეკვეთილის ზღვისპირა სახლებში, ნებისმიერ რთულ კლიმატურ რეგიონში, სადაც ზედა სართულებზეც აღწევდა ნესტი და მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნიდა — რეკუპერატორმა უსიამოვნო სუნისა და ნესტის პრობლემა სამუდამოდ გადაჭრა! რეკუპერატორი შეუცვლელია სტუდიო ტიპის ბინებში და სამზარეულოებში, რადგან სუნის პრობლემასაც აგვარებს.

**— მუდმივად ჩართული უნდა იყოს? ალბათ, ძალიან ბევრ ელექტროენერგიას მოიხმარს.**

— პირიქით, საათში 1 ვატს წვავს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც მუდმივად ჩართული იყოს, თვეში მისი დანახარჯი 1 ლარს შეადგენს! ტვინმა საღად რომ იფუნქციონიროს, საათში ადამიანმა, მინიმუმ, 20 კუბური მეტრი ჟანგბადით მდიდარი ჰაერი უნდა ჩაისუნთქოს. დადგენილია, რომ 15 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში 45 კუბმეტრი ჰაერია, რაც იმას ნიშნავს, რომ 2 საათში ეს ჰაერი ნახშირორჟანგით დაბინძურდება და ყოველ მომდევნო საათში მდგომარეობა კიდევ მეტად დამძიმდება. **თუ ადამიანს 8 საათი სძინავს, ადვილად წარმოსადგენია, როგორი ჰაერით იკვებება მისი ტვინის უჯრედები, ამ მიზეზით დილით ადამიანი იღვიძებს თავის ტკივილით, მოთენთილობისა და დაღლილობის შეგრძნებით, უხასიათოდ, რაც ჟანგბადის დეფიციტით არის განპირობებული.** რეკუპერატორს აქვს შესანიშნავი თვისება, ყოველ საათში ბინაში შემოიტანოს 25 კუბური მეტრი სუფთა ჰაერი, რაც იმას ნიშნავს, რომ უჟანგბადობით გამოწვეული ყველა პრობლემა ავტომატურად გვარდება!

**— რით განსხვავდება რეკუპერატორი სხვა დანადგარებისგან, ვთქვათ, კონდიციონერისაგან?**

— კონდიციონერი ოთახში არსებულ ერთსა და იმავე ჰაერს ან აგრილებს, ან ათბობს, მაგრამ არ უზრუნველყოფს განიავებას. გროვდება ნახშირორჟანგი და ბაქტერიები, რის გამოც პერიოდულად ფანჯრის გაღება არის აუცილებელი, ეს კი გამთბარი თუ გაგრილებული ჰაერის გარემოს პირობებთან გათანაბრებას იწვევს და ფანჯრის დახურვის შემდეგ მნიშვნელოვანი ენერგია იხარჯება ისევ სასურველი ტემპერატურის მისაღწევად. რეკუპერატორის და კონდიციონერის ერთობლიობა ყველა პრობლემას ხსნის. მისი დაყენება აუცილებელიც არის, თანამედროვე, შხამქიმიკატებით გაჟღენთილი საშენი მასალებით აგებულ ბინებში. მაგალითისთვის — **ლამინატი და ემდეეფი, რომლებიც ასეთი ნივთიერებებით არის გაჯერებული, აქტიურად იწოვს ნესტს, ხოლო ცხელ დღეებში ამ ნესტს აორთქლებს და ორთქლთან ერთად მავნე ნივთიერებებსაც გამოყოფს.** ადამიანები ხშირად ვერც კი ხვდებიან, რომ განწყობის გაუარესებისა და მუდმივი თავის ტკივილის საფუძველი ამ კუთხით ეძებონ... **როცა რეკუპერატორი ჩართულია, ბინიდან მავნე ნივთიერებები მუდმივ რეჟიმში გარეთ იდევნება, მათ ნაცვლად სუფთა**

**„ქობულეთის, ბათუმის, გრიგოლეთის, შეკვეთილის ზღვისპირა სახლებში, ნებისმიერ რთულ კლიმატურ რეგიონში, სადაც ზედა სართულებზეც აღწევდა ნესტი და მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნიდა – რეკუპერატორმა უსიამოვნო სუნისა და ნესტის პრობლემა სამუდამოდ გადაჭრა!“**




**„ამ მოწყობილობას თავისუფლად შეუძლია, უფანჯრებო ოთახი ან, სულაც, მიწისქვეშა ნესტიანი და კედლებდაობებული სარდაფი, სადაც ადრე სუნთქვაც კი შეუძლებელი იყო, ბრწყინვალე საცხოვრებელ ფართად გადააქციოს!“**

ჰაერი შემოედინება და ეს პრობლემა აღარ არსებობს!

**ბინაში რეკუპერატორის დამონტაჟებიდან მოკლე პერიოდში მშობლების გასაკვირად ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე**

**ბავშვები ბრონქიტისგან იკურნებიან!**

რეკუპერატორი ალერგიის პრობლემასაც აგვარებს, რაც რიგ შემთხვევებში, ჰაერის დამტვერიანობით არის განპირობებული. **ისე ჩუმად მუშაობს (15 დეციბალი), მომხმარებელმა ყურიც რომ მიადოს, ხმა საერთოდ არ ესმის.** მოკლედ, იმდენი დადებითი თვისება აქვს რეკუპერატორს, რომ ზოგჯერ ვხუმრობთ — აფთიაქში უნდა იყიდებოდეს-თქო!

**— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ რეკუპერატორს შეუძლია, ბინის ღირებულებაც კი შეცვალოს. რანაირად?**

— რეკუპერატორი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ ბინებსა და ოთახებში, რომლებსაც ფანჯარა არ გააჩნია. ასევე ოფისებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მრავალ ადამიანს უწევს ყოფნა და ოთახში ნახშირორჟანგის შემცველობა მაღალია. ხშირად მოქალაქეები საცხოვრებელი ფართის გაზრდის მიზნით, ბინაში ისეთ ოთახებს აკეთებენ, რომელსაც ფანჯრები და, შესაბამისად, ბუნებრივი ვენტილაციის საშუალება არ გააჩნია. **ამას გარდა, მოქალაქეები ვერ ახერხებენ ნესტიანი ბინების გაყიდვას, რადგან არავინ სთავაზობს ისეთ ფასს, სანაცვლო რომ შეიძინონ.** ამიტომ იძულებულნი არიან, პერიოდულად აკეთონ რემონტი, რაც, თავის მხრივ, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. **რეკუპერატორი ასეთ ბინებში ცვლის გარემოს, ნესტს, ობის სოკოსა და შმორის სუნს სამუდამოდ აქრობს.**

უფანჯრო ოთახში რეკუპერატორის საშუალებით ხდება ჟანგბადით მდიდარი სუფთა ჰაერის შემოტანა და იქ სუნთქავთ ისეთივე ჰაერს, როგორსაც ღია აივანზე ჩაისუნთქავდით! **რეკუპერატორს შეუძლია, სარდაფშიც კი ისეთი მიკროკლიმატი შექმნას, საუცხოო საცხოვრებელ ფართად გადააქციოს, რაც, შესაბამისად, ზრდის ბინის ფასს.** ოღონდ, მთავარი ის გახლავთ, ვინც რეკუპერატორი დააყენა, მან ბინის გაყიდვა გადაიფიქრა!

თანამედროვე რეკუპერატორი კიდევ უფრო დაიხვეწა, დაემატა მობილური აპლიკაცია, დაპროგრამებისა და მონიტორინგის შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ავტომატური რეჟიმი, რომელიც არეგულირებს ჰაერის ხარისხს, ნესტიანობისა და ჟანგბადის შემცველობას, ირთვება საჭიროების შემთხვევაში, როცა ჰაერის ხარისხი არ შეესაბამება ნორმას.

**— სად შეიძლება რეკუპერატორის შეძენა და რა ღირს?**

— ყველაზე პატარა მოდელი 40 კვადრატულ მეტრამდე ოთახს ყოფნის და ღირს 1450 ლარი. ფასი იზრდება მოდელის სიმძლავრის შესაბამისად. შეგიძლიათ, შეიძინოთ „ეკობინის“ ოფისში, მისამართზე: **ვეძისი, ბერიტაშვილის 1 ჩიხი, №3/10.** დაგვიკავშირდით საიტზე www. eco-bina.ge ან ტელეფონის ნომერზე: **599-58-58-17.** კომპანიის წარმომადგენელი ინდივიდუალურად შეგირჩევთ ბინაში ადგილს და რემონტის დაუზიანებლად დაგიმონტაჟებთ. **მონტაჟის ფასი გასახვრეტი კედლის მასალაზე და სისქეზეა დამოკიდებული.**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***




# უკვე 57-ე წელია, ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!

# მობრძანდით!



რეპორტაჟი პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №18-41

**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.**






**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში იხსენებს, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული საპარლამენტო არჩევნების შედეგად დამარცხებული ნაცმოს ფიურერ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა, **ბიძინა ივანიშვილი** საპრეზიდენტო კანდიდატებად **გიორგი მარგველაშვილსა და პაატა ბურჭულაძეს** მოიაზრებდა. თუმცა, ბოლოს სასწორი მაინც მარგველაშვილისკენ გადაიხარა — ბიძინა მას უფრო ენდობოდაო!

მაგრამ მემუარისტის მტკიცებით, **გიორგი მარგველაშვილი** ყოყმანობდა, კენჭი ეყარა პრეზიდენტობაზე:

**„ერთადერთ პრობლემად რჩებოდა გიორგის დათანხმება. როგორც გითხარით, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა სისტემის გარეთ დარჩენა და თავისუფლად ცხოვრება... ახლაც მახსოვს მისი აწითლებული სახე, ბიზნესცენტრში რომ მივედი. ვიცოდი, რომ ბიძინას ახალი გამოცხადებული ჰქონდა მისთვის ამ გადაწყვეტილების შესახებ და ოდნავ დავაგვიანე, რომ საჭიროების შემთხვევაში „ბოლო არგუმენტები“ მომეყვანა მისთვის. აშკარად საგონებელში იყო ჩავარდნილი. ვატყობდი, რომ სერიოზულად ყოყმანობდა. ყოყმანობდა იმაზე, რისთვისაც ჩვენი პოლიტიკური ელიტის უმეტესობა მზად იყო ერთმანეთისთვის „ყელი გამოეღადრა“...** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 233).*

**ხუხაშვილი** იმასაც იხსენებს, რომ სწორედ მას მოუწია **გიორგი მარგველაშვილის** დარწმუნება, რომ აუცილებლად უნდა ეყარა კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებზე:

**„ჩვენი საუბარი არცთუ მარტივად წარიმართა. ჩემს ყველა არგუმენტზე, თუ რატომ უნდა დათანხმებულიყო შეთავაზებას, მან მიპასუხა კონტრკითხვით — რატომ არ ვიქცევი მეც ისევე, როგორც მას ვურჩევ?! რატომ მაქვს მე უფლება, ვიყო თავისუფალი და რატომ არა აქვს მას?!**

**საბოლოო ჯამში ის დათანხმდა. დათანხმდა არა იმიტომ, რომ მოეპოვებინა უფლება, არამედ იმიტომ, რომ იგრძნო პასუხისმგებლობა, რომელსაც ვერსად გაექცა...“** *(იქვე, გვ. 234).*

მოკლედ, მემუარისტის მტკიცებით, სწორედ მას „გაუუბედურებია“ პრეზიდენტობით მარგველაშვილი! არადა, რას ინაზებოდა **მარგველაშვილი,** ძნელი გასაგებია:

თუ თავისუფალი ცხოვრება სურდა, მაშინ მანამდე არც განათლების მინისტრობას უნდა დათანხმებულიყო — „ქართული ოცნების“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, **მარგველაშვილმა** უპრობლემოდ მიიღო ბიძინას შეთავაზება, გამხდარიყო განათლების მინისტრი!

ყველაზე საინტერესო ამ ამბიდან ის არის, როგორ წარუდგინა ბიძინამ კოალიციას საპრეზიდენტო კანდიდატად **გიორგი მარგველაშვილი:** ერთ დღეს **ბიძინა ივანიშვილმა გია ხუხაშვილი** და განათლების მინისტრი **მარგველაშვილი** თბილისის შემოგარენში, წინამძღვრიანთკარში ახალი უნივერსიტეტის მშენებლობის ადგილის დასათვალიერებლად წაიყვანა:

**„ბოლოს ბიძინამ გვითხრა, რომ მცხეთაში, ერთ-ერთ რესტორანში, მიმდინარეობდა პროკურატურის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, რომელზეც ის მიპატიჟებული იყო და შემოგვთავაზა, ჩვენც წავსულიყავით. ორივემ ვიუარეთ, რადგან ჩვენი „საშინაო“ სპორტული ჩაცმულობა, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამებოდა საზეიმო ღონისძიებაზე დასასწრებ ფორმას. ბიძინამ გვითხრა, რომ ვერ ხედავს პრობლემას და, საბოლოო ჯამში, დაგვითანხმა სტუმრობაზე.**

**ის არაფერს აკეთებდა სპონტანურად, გარკვეული გეგმების გარეშე. ახლაც ასე აღმოჩნდა...“** *(იქვე, გვ. 235).*



ანუ როგორც **ხუხაშვილი** წინასწარ ამბობს, ბიძინამ საგანგებოდ წაიყვანა იმ დღეს წინამძღვრიანთკარში მარგველაშვილი, რათა შემდეგ პროკურატურის დღის აღსანიშნავ დიდ სამთავრობო სუფრაზე მიეყვანა!

თუმცა, სანამ იმ დღის კულმინაციაზე გადავა, მემუარისტი იხსენებს ერთ საგულისხმო დეტალს:

**„რესტორანს რომ მივუახლოვდით, ბიძინამ შეათვალიერა მიმდებარე ტერიტორიაზე უზარმაზარ ჯაჭვად ჩამწკრივებული მაღალი კლასის მანქანების ჯარი და ძალიან გაბრაზდა. ეს იყო ერთ-ერთი ის შემთხვევა, როდესაც ჩვენი ემოციები ერთმანეთს დაემთხვა, რადგან კონტრასტი ამ კადრებსა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს შორის სრულიად თვალსაჩინო იყო“** *(იქვე, გვ. 235).*

ამის შემდეგ **ხუხაშვილი** ასე აღწერს ბიძინას გამოჩენას დიდ სამთავრობო სუფრაზე:

**„ასე საშინაო ტანსაცმელში ჩაცმულები შევედით გაქათქათებულ „სეფაში“ და შევუერთდით ოფიციალურ კოსტუმებსა და სადღესწაულოდ გამოწყობილ საზოგადოებას. ბუნებრივია, უცბად დაფაცურდა ყველა, გამოგვითავისუფლეს ცენტრალური სუფრა, რომელთანაც, ჩვენ გარდა, აღმოჩნდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და კიდევ ორი-სამი პირი.**

**ამას იმიტომ გიყვებით ასე დეტალურად, რომ ბიძინამ გადაწყვიტა, ზუსტად ამ სუფრაზე, ამ შემადგენლობისთვის გამოეცხადებინა თავისი არჩევანის შესახებ — გიორგი მარგველაშვილი დაესახელებინა საპრეზიდენტო კანდიდატად“** *(იქვე, გვ. 235).*

და რატომ მოაწყო ბიძინამ სწორედ ასე და არა ვთქვათ, კოალიციის საერთო ოფიციალურ საოფისო შეხვედრაზე, თავად მემუარისტი ყვება:

**„გარკვეული დროის შემდეგ მან სუფრის წევრებს ამცნო ეს სიახლე, თქვა, რომ პრეზიდენტი იქნება გიორგი მარგველაშვილი, ხოლო შემდეგი პრეზიდენტი იქნება... აგერ, გიაო. ყველას გაგვეცინა, რადგან ყველასთვის ცხადი იყო, რომ ეს უბრალო ხუმრობა იყო. იქ მსხდომებმა მშვენივრად იცოდნენ ჩემი ცხოვრების წესი და, ჩემს დამოკიდებულებას თავი რომ დავანებოთ, აბსოლუტურად შეუსაბამო ვიყავი ამ სტატუსთან.**

*აქ მთავარი ეს ხუმრობა არ იყო. მთავარი იყო კონტექსტი — თუ რატომ, რა ქვეტექსტით გათამაშდა ეს მიზანსცენა ამ შემადგენლობაში. საქმე ის არის, რომ ცნობილი იყო* **ირაკლი ალასანიას** *სურვილი, გამხდარიყო საპრეზიდენტო კანდიდატი, თუ ახლა არა, მომავალში მაინც.* **ბიძინამ ამ ხუმრობით, შეიძლება ითქვას, პირადად მას მიმართა და უთხრა, არათუ ახლა, მერეც ნუ გექნება რამის იმედიო...“** *(იქვე, გვ. 236).*

ეს, ასე გახდა **ირაკლი ალასანიას** ჯინაზე „ქართული ოცნების“ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი **გიორგი მარგველაშვილი,** რომელმაც რამდენიმე დღეში, პირდაპირ და ალალად თქვა, როგორი ლოიალურია ბიძინა ივანიშვილისადმი:

**მე პლასტილინივით კაცი ვარ და რომელ კუთხეშიც მიმაგდებენ, იქ ვიქნებიო!**

**23**

## როგორ მიანიშნა ხუმრობით ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ სამთავრობო სუფრაზე ირაკლი ალასანიას, პრეზიდენტი ვერც ახლა იქნები და არც მერე გქონდეს იმედიო!

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**



# «მთავარი არხის» პროპაგანდისტული ვიდეორგოლი გეი-ბორდელში გვეპატიჟება!

***უკანასკნელ ხანს სააკაშვილისა და მასთან დაკავშირებული გეი-აგენტურის „მთავარ არხზე“ ხშირად ატრიალებენ კლიპს, რომელიც პატრიოტული ფრაზებით, უძველესი ქართული არტეფაქტებით, ჩვენი გმირი წინაპრებისა და სასიქადულო ქართველი მამულიშვილების ფოტოსურათებით არის დახუნძლული... ფოტოებს შიგადაშიგ ოკუპირებული ბიჭვინთის, 2008 წლის აგვისტოს ომისა და სამჯერ ჩაფლავებული იმ სახელმწიფო გადატრიალების ამსახველი კადრებიც ერთვის, რომელიც სააკაშვილმა და მისმა პატრონებმა დაგეგმეს.***

ლოთურ-ბოჰემური ხმით ვიღაც მთელი ორი წუთის განმავლობაში ნელა, დინჯად კითხულობს ასეთ ტექსტს;

„ეს მე ვარ... ესეც მე ვარ... ესეც... მეგობრობა არ მეშლება. არც მტერი მეგობარში არ მეშლება. თავისუფლებას არ ვთმობ. თავისუფლება და ღირსება ჩემი გზაა... თავისუფლება და ღირსება ჩემი გზაა, ჩემი არსია, ჩემი სულია...

ყველა ჩემი სიმღერა, ლექსი და საარაკო ამბავი, ჩემი საიდუმლო და სიძლიერე მრავალფეროვნებაშია და მრავალფეროვნებით ერთობა მთავარში — თავისუფლებაში და ღირსებაში!

ეს ყოფილა ჩემი წესი და ეს არის. საცა ვარ, ასე მიცნობს მტერიც და მოყვარეც. ამაზე დგას ევროპა... თავისუფლების სიყვარულში მაქვს ერთობა ევროპასთან. და ამის გამო ვუყვარვარ მეგობარს და ვძულვარ მტერს. ამიტომ ვარ ევროპელი, ამიტომ არის ევროპა ჩემი გზა და სახლი.

თაობებს თავი დაუდიათ, რომ ამ გზით იქ მივიდე, სადაც ჩემი ადგილია.

**არავინ მოგატყუოს — ქართველობა გმირობაა!**

**არ დაგავიწყდეს, ვისი გორისა ხარ, — მაშასადამე, ევროპელი...“**

მგონი, ურწმუნო თომაც დაგვერწმუნება, რომ „მთავარი არხის“ ეთერში, საიდანაც **ნიკუშა გვარამია** ქართველობას ენას უყოფდა და აგინებდა — „ჩაგი...სით **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ღვინოშიო!“ — ერთი შეხედვით, ასეთი პატრიოტული ტექსტის გაჟღერება იმას ჰგავს, საროსკიპო სახლში რომელიმე ღვთისმოსავმა დედაომ ქალწულობის ინსტიტუტზე ლექცია რომ ჩაატაროს. **თქმა არ უნდა, რაღაც დიდ აფერასა და ფარისევლობას ემსახურება წინამდებარე ტექსტი და არც იმის გამოცნობას სჭირდება დიდი მკითხაობა, თუ რატომ აფრიალებს სააკაშვილის „მთავარი“ ტელეკანალიზაცია ზემოხსენებული რიტორიკის კვალდაკვალ სვანური კოშკების, ამბროსი ხელაიას, დავით აღმაშენებლის, აკაკის, ილიასა და ვაჟას სურათებს,** როცა სწორედ „მთავარ არხზეა“ **დასაქმებული** მთელი თავისი უბადრუკი და ბინძური ცხოვრების განმავლობაში **ყველგან მომსაქმებელი ლევან ბერძენიშვილი,** რომელმაც სხვადასხვა დროს განაცხადა — „აკაკი წერეთელი ვის ოჯახშიც შევიდა, ქალი გაუბახებელი არ დატოვა... ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში ერთ ქალს სახლში შეუვარდა და გაუპატიურება დაუპირა... დავით აღმაშენებლის ყველა შთამომავალი იდიოტი და დეგენერატი იყო!“

მგონი, ლევან ხაბეიშვილის, დავით კირკიტაძის ანდა სულაც რუსიკო „ეპისკოპოსის“ ინტელექტის პატრონსაც არ გაუჭირდება იმის გამოცნობა, რომ მთელი ეს ფსევდოპატრიოტული ბოლი, რომელიც „პრაიდელებმა“ და გეი-აგენტებმა „მთავარი არხის“ ეთერში ხსენებული კლიპის წაღმა-უკუღმა ტრიალით დააყენეს, ერთადერთ რამეს ემსახურება — **საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმონიჭების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინონ ეროვნულად განწყობილი ახალგაზრდობის პროვოცირება და დაიწყონ სახელმწიფო გადატრიალება!**

ეს კლიპი იმ ნარკომანებსა და ლგბტ ნახირზე არ არის გათვლილი, რომლებიც 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი აქციების დროს გეი-კლუბებიდან წამოსხეს და რუსთაველის პროსპექტზე „მოლოტოვის კოქტეილები“ ასროლინეს. **ამ სოციალურ ნაგავს, რომლის წარმოდგენაშიც ევროპა მხოლოდ გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობასთან, ეკლესიების რბევასთან, უღმერთობასთან, სასულიერო პირების შეურაცხყოფასთან და ლგბტ პარადებთან ასოცირდება, ილიაც ეზიზღება, აკაკიც, სვეტიცხოველიც და მერაბ კოსტავაც...** ნურავის დაავიწყდება ის ფაქტი, რაც 7-8 მარტის აქციების დროს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად დაფიქსირდა — რუსთაველზე დაბანაკებულმა ქართული გვარ-სახელის მქონე გოგობიჭებმა ქაშუეთის ტაძარი საღებავებით შერყვნეს.

საქართველოს ახსოვს ამაზე უფრო საშინელი დღეები, როცა ქაშუეთის წმინდა ტაძრის გუმბათში მოკალათებული ქვეყნის დამაქცევრები პირველ პრეზიდენტსა და ეროვნულ ხელისუფლებას სნაიპერული შაშხანებიდან ტყვიებს უშენდნენ, მაგრამ თვით ნაძირალა პუტჩისტებსაც კი არ უკადრებიათ ის, რაც „მრგვალი ბაღის“ შანსონიემ, **გოგია ხოშტარიას გოგომ და „დროას“ ცხენმა ელენე ხოშტარიამ** იკადრა, როცა საპატრიარქოს შენობას წითელი საღებავი შეასხა...

თუ საქმე საქმეზე მიდგა, ესენი რუსთაველის გადასაბუგად და საქართველოს დასაქცევად ზემოხსენებული კლიპისა თუ ვიდეორგოლის გარეშეც ჭინკებივით შეიკრიბებიან. მათ ზედმეტად აღტყინება და პროვოცირება არ სჭირდებათ, რადგან კარგა ხანია, ისედაც აღტყინებული და „ახურებულები“ არიან. ამის პირდაპირ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს სააკაშვილის „მთავარი“ ტელეკანალიზაციის ერთ-ერთი წამყვანის თვითილუსტრაცია — **„საქართველოში გეი-რევოლუცია დაიწყოო!“**

ერთი სიტყვით, მართლაცდა, „უკუღმაა ეს ასინეთა, უკუღმა!“ „მთავარი არხის“ ეთერში სწორედ გაუკუღმართებული ცხოვრების წესის აპოლოგეტები ახალგაზრდების მოტყუებასა და მიტყუებას ცდილობენ, რათა ყალბი ეროვნული პათოსითა და ფსევდონაციონალური ლოზუნგებით ჯერ კიდევ შეურყვნელი და გაუსვრელი თაობა პოტენციურ საზარბაზნე ხორცად აქციონ! **იმისათვის, რომ „ვივამედის“ კლინიკაში საეჭვოდ მოლონიერებულმა სააკაშვილმა თინა ბოკუჩავა და მარიამ საჯაია იბიცაზე, მაკაოზე, პალმა დე მალიორკასა და მალდივის კუნძულებზე დუნდულების გასარუჯად კვლავ წაიყვანოს, მერე ერთსაც და მეორესაც ძვირფასი სამკაულები ჩამოურიგოს და ახალ-ახალი ბოკუჩავებისა და საჯაიების პარლამენტში შესათრევად კონსტიტუცია კიდევ ერთხელ გააბახოს, აუცილებელია, დაიღვაროს უცოდველთა სისხლი...**

იმისათვის, რათა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილს თავისი მორიგი ხარჭის **ალანა გაგლოევას** თხოვნა შეესმინა და ცეცხლში გახვეული ცხინვალიდან ბებიამისი გამოეყვანა, აუცილებელი იყო, **გიორგი ანწუხელიძე და შინდისის გმირები** დაღუპულიყვნენ.

წინამდებარე პროპაგანდისტული კლიპის ავტორებმა, რომლებსაც ეროვნული ფასეულობებიც და ევროპაც ფეხებზე ჰკიდიათ და ოდენ თავიანთი მორღვეული უკანალის გაკოხტავება ადარდებთ, ცხადია, ეს ყველაფერი ზედმიწევნით იციან. **მათ ეზიზღებათ ილია ჭავჭავაძეც, უწმინდესი პატრიარქი ამბროსი ხელაიაც, ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც, რომელთა სახელებითაც ასე უსინდისოდ აპელირებენ და ახალგაზრდებს ჭკუას ურევენ, არადა, ამ დროს სწორედ ილიასა და ზვიადის იდეური თუ ხორციელი მკვლელები სტუდიებსა და ტელევიზიის წილებში უზით!** მაგრამ ისევ და ისევ ვაცხადებთ, რომ არა გეი-აგენტურისა და გარყვნილი სოდომისტების, არამედ პატიოსანი და პოლიტიკაში ჯერაც გაუცნობიერებელი ახალგაზრდების მოსაღორებლად მათ ასე უნდა ილაპარაკონ და ისტორია კიდევ ერთხელ გააუკუღმართონ!

**ესენი ის უზნეო და დაცემული პროპაგანდისტები არიან, რომლებიც 2019 წლის 20-21 ივნისის ცნობილი მოვლენების შემდეგ მაკო გომურის თვალისჩინის დაკარგვას „აპროტესტებდნენ“ და ამავდროულად მთავრობის სასახლის წინ როკავდნენ.** გაგახსენებთ ელენე ხოშტარიას მაშინდელ ბუქნაობასა და უკანალის ცქმუტვას რუსთაველზე, როცა ეს მართლაცდა რუსეთის ნომრიანი აგენტი, საქართველოს ხელისუფლების გადადგომას ხან — ჩაცუცქული და ხანაც პოლიციის მანქანის კაპოტზე შემომხტარი ითხოვდა. **აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იგივე სექტა, რომელიც საქართველოს მოღალატე პრემიერმინისტრს „გახარია თვალთხარიას“ უწოდებდა, ცოტა ხნის შემდეგ სწორედ გახარიას შეეკრა უსირცხვილოდ და მისი პოლიტიკური სუტენიორი გახდა.**

პროპაგანდისტული კლიპებითა და ფსევდოპატრიოტული, ფარისევლური ლოზუნგებით სააკაშვილის „პრაიდელები“ ახლა ცდილობენ, თავისთან ახალი და **ახალი მაკო გომურები** მიიტყუონ, დაპირისპირება გამოიწვიონ და უცოდველთა სისხლი კვლავ დაღვარონ, რათა მერე **კინზინგერისგან, კეზერაშვილისგან, ანა ფოტიგასგან, ვიოლა ფონ კრამონისგან, კუბილიუსის თუ კუილიუსისგან** დოლარების ახალი პარტია, ანდა პოლიტიკური შექება დაიმსახურონ.

**სწორედ ამ პოლიტიკური მეძავებისა და „პრაიდელების“ მიერ მომზადებული ვიდეორგოლით სურთ საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ჩვენ, ქართველები, ველურები ვართ, ხოლო ევროპა — აღთქმული ქვეყანა, რომელმაც უნდა გაგვაკეთილშობილოს და ცივილიზაციის ჭიშკარი გაგვიღოს!** არადა, არგონავტების მითიდან მოყოლებული, ბლუმენბახითა და ჰეგელით დამთავრებული, უკლებლივ ყველა უდიდესი ევროპელი მეცნიერი შეგვახსენებს, რომ ევროპაც და ცივილიზაციის აკვანიც სწორედ კავკასიაშია საძებარი!

ასე რომ, სააკაშვილისა და შარვალჩახდილი ზურაბ-გირჩის სექტანტები თავიანთი პროპაგანდისტული კლიპებითა და ვიდეორგოლებით ევროპაში კი არა, იმ გეი-ბორდელში გვეპატიჟებიან, რომლის ნოტარიუსადაც დღემდე მუშაობს **თეა წულუკიანის მიერ განთესილი, მაგრამ ქართული სასამართლოს მიერ იუსტიციის სამინისტროში კვლავ შემოგდებული ავაზაკი ნუნუ გინტური!**

***დიტო ჩუბინიძე***










**არგონავტების მითიდან მოყოლებული, ბლუმენბახითა და ჰეგელით დამთავრებული, უკლებლივ ყველა უდიდესი ევროპელი მეცნიერი შეგვახსენებს, რომ ევროპაც და ცივილიზაციის აკვანიც სწორედ კავკასიაშია საძებარი!**

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №41



# კახა საბახტარიშვილი: დიაბეტს შვიდი ნიშანი აქვს!

## „რაფინირებული, სუფთა შაქარი საერთოდ არ უნდა მივიღოთ, ხოლო შაქრით მდიდარი ნახშირწყლები — პური, მაკარონი, კარტოფილი, შოკოლადი, თხილი, მკვეთრად შევზღუდოთ!“

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი შაქრიანი დიაბეტის შესახებ საუბარს აგრძელებს და შეგვახსენებს, რომ, როდესაც ადამიანი სოკოს საწინააღმდეგო წამლებით უშედეგოდ მკურნალობს, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა — ხომ არ არის ამის მიზეზი ფარული დიაბეტი?***



— უკანასკნელი სტატისტიკით დასტურდება, რომ შაქრიანმა დიაბეტმა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები უკან ჩამოიტოვა და კაცობრიობის ნომერ პირველ პრობლემად იქცა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ყოველი ასი ადამიანიდან, თუ მეტი არა, 60 მაინც ფარული დიაბეტის მატარებელია!

**— საიდან ასეთი საგანგაშო სტატისტიკა?**

— დიაბეტს ყოველთვის წინ უძღვის ორი სტადია — **ინსულინრეზისტენტობა და პრედიაბეტი.** ინსულინრეზისტენტობის დროს სისხლში ინსულინი საკმარისი და შესაძლოა, ჭარბი რაოდენობითაც კი გამოიყოფა, მაგრამ უჯრედი მას ვერ აღიქვამს, ინსულინი ვერ მუშაობს და გლუკოზის უჯრედში შეტანა შეფერხებულია.

კვლევებით დადგენილია, რომ მოსახლეობის 33 პროცენტი, ანუ მესამედი, ინსულინრეზისტენტულია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქუჩაში უამრავი ისეთი ადამიანი დადის, რომელიც ექიმთან საერთოდ არ მისულა და ინსულინრეზისტენტობის შესახებ არაფერი გაუგია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, 70 პროცენტს მაინც აღწევს.

**მთელი უბედურება ისაა, რომ ჩემი კოლეგების, ექიმების უმრავლესობა ინსულინრეზისტენტობის შემოწმებას საჭიროდ არ მიიჩნევს, რაც დანაშაულია.**

არადა, **ინსულინრეზისტენტობის დადგენა უმარტივესია — უზმოზე ინსულინი და გლუკოზა უნდა გავიზომოთ, მიღებული მაჩვენებლები გავამრავლოთ 22,5-ზე და მივიღებთ ინსულინრეზისტენტობის ინდექსს, ანუ ე.წ. HOMA ინდექსს.** თუ ეს რიცხვი 0-დან **2,7-მდე** მერყეობს, მაშინ ადამიანს შაქრიანი დიაბეტის განვითარების საფრთხე არ ემუქრება.

**— HOMA ინდექსის გარდა როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ შაქრიანი დიაბეტი აქვს?**

— ჩამოყალიბებულ დიაბეტს შვიდი ნიშანი აქვს:

1. ხშირი შარდვა;
2. ძლიერი წყურვილის შეგრძნება;
3. დანაყრების მიუხედავად, გამუდმებული შიმშილის შეგრძნება;
4. მხედველობის გაუარესება;
5. ნევროზულობა;
6. აუხსნელი სისუსტე;
7. სასქესო ორგანოების ქავილი...




ეს ნიშნები ეხება ჩამოყალიბებულ დიაბეტს, მაგრამ ინსულინრეზისტენტობის დროს, ანუ, როცა ორგანიზმი დიაბეტისკენაა მიდრეკილი, შესაძლოა, არცერთი ეს ნიშანი გამოხატული არ იყოს. ამიტომ თავს ნუ დავიმშვიდებთ და აუცილებლად შევიმოწმოთ ინსულინრეზისტენტობა!

**— რით არის გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის დროს მისი პირველი ნიშანი — ხშირი შარდვა?**

— **როდესაც სისხლში შაქარი, ანუ გლუკოზა მაღალია, ორგანიზმი მას შხამად მიიჩნევს და ცდილობს, გარეთ გამოდევნოს.** რაკი ყოველი ერთი მოლეკულა გლუკოზა ხუთ მოლეკულა წყალს იკავშირებს, ცხადია, ორგანიზმი ცდილობს, სწორედ ხშირი შარდვის გზით თავიდან მოიშოროს ზედმეტი შაქარი. ასეთ დროს ორგანიზმი ბევრ სითხეს კარგავს, რაც პირის სიმშრალესა და ძლიერ წყურვილს იწვევს, რომელიც შაქრიანი დიაბეტის მეორე ნიშანია.

**— მუდმივი შიმშილის შეგრძნება, ანუ დიაბეტის მესამე ნიშანი რით არის განპირობებული?**

— შაქრიანი დიაბეტის დროს, მართალია, სისხლში გლუკოზა ჭარბი რაოდენობითაა, მაგრამ ინსულინრეზისტენტობის გამო ის უჯრედში ძნელად შედის. ამიტომ უჯრედი მუდმივად განიცდის გლუკოზის ნაკლებობას, რაც ჩვენზე იმით აისახება, რომ დანაყრების მიუხედავად, სულ გვშია. **სწორედ უჯრედში გლუკოზის დეფიციტით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიაბეტიანებს ტკბილეულისადმი მიდრეკილება აქვთ.**

**— რატომ ხედავენ ცუდად დიაბეტიანები?**

— ცნობილია, რომ შაქარი სისხლძარღვებს აზიანებს, არადა თვალი და მისი სამყარო სწორედ უწვრილესი სისხლძარღვებით მარაგდება. შაქარი ამ სისხლძარღვებს ახშობს, რის გამოც თვალს საჭირო ოდენობით სისხლი ვერ მიეწოდება, თვალი „შიმშილობს“ და ვითარდება **დიაბეტური რეტინოპათია.** ასეთ დროს მხედველობა ბუნდოვანი ხდება და თუ შაქრის დონე არ დარეგულირდა, შესაძლოა, ადამიანმა მხედველობა დაკარგოს! ამიტომ ყოველთვის, როცა სათვალეს ირგებენ, პაციენტი აუცილებლად ნაჭამი უნდა იყოს, რადგან მხედველობა უზმოზე სხვანაირია, ხოლო ჭამის შემდეგ — სხვანაირი. ქართულში არსებობს გამოთქმა — **„შიმშილისგან თვალთ დამიბნელდა!“** აქედან გამომდინარე, უზმოზე შერჩეული სათვალე შესაძლოა, გაძღომის შემდეგ უვარგისი აღმოჩნდეს! ამიტომაც ვურჩევ ყველას, სათვალის შერჩევის დროს აუცილებლად გაიაროს კონსულტაცია ენდოკრინოლოგთან და შაქარი შეიმოწმოს!

**— რით არის განპირობებული დიაბეტის მეხუთე ნიშანი — ნევროზულობა?**

— შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანი მწყობრიდან ადვილად გამოდის. განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როცა მშიერია. ამის მიზეზი ის არის, რომ თავის ტვინი, რომელსაც საკვებად გლუკოზა სჭირდება, უზმოზე შიმშილს განიცდის. **საკმარისია, ასეთმა ადამიანმა საკვები მიიღოს, რომ თავის ტვინში გლუკოზის შეუფერხებლად მიწოდება აღდგება და ადამიანი კარგ ხასიათზე დადგება.** რაც შეეხება შაქრიანი დიაბეტის მეექვსე ნიშანს — **აუხსნელ სისუსტეს,** მოგეხსენებათ, გლუკოზას კუნთები ენერგიის წყაროდ იყენებს. დიაბეტის დროს, როცა გლუკოზა კუნთებში შეფერხებით ხვდება, კუნთებს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ენერგიის წყარო არა აქვთ, რაც არამოტივირებულ სისუსტეს განაპირობებს.




## „უზმოზე შერჩეული სათვალე შესაძლოა, გაძღომის შემდეგ უვარგისი აღმოჩნდეს! ამიტომაც ვურჩევ ყველას, სათვალის შერჩევის დროს აუცილებლად გაიაროს კონსულტაცია ენდოკრინოლოგთან და შაქარი შეიმოწმოს!“

**— რას იტყვით დიაბეტის ბოლო ნიშანზე, ანუ სასქესო ორგანოების ქავილზე?**

— ქავილს ძირითადად სოკო კანდიდა განაპირობებს, რომლის საყვარელი ადგილი სწორედ სასქესო ორგანოებია. რაოდენ უცნაურადაც გინდა მოგეჩვენოთ, **სოკო კანდიდა სწორედ შაქრით იკვებება.** ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დიაბეტიანებს სასქესო ორგანოები ექავებათ. არ დაგვავიწყდეს, რომ სოკო კანდიდა კიბოს იწვევს. სწორედ ამიტომაა, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები კიბოს რიკს-ჯგუფში არიან. საერთოდ, როდესაც ადამიანი სოკოს საწინააღმდეგო წამლებით უშედეგოდ მკურნალობს, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა — ხომ არ არის ამის მიზეზი ფარული დიაბეტი? ეს განსაკუთრებით ეხებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ფეხის ან ხელის ფრჩხილების სოკოს ვერ ირჩენენ.

**— რა მოხდება, თუ ადამიანი შაქარზე საერთოდ უარს იტყვის და ტკბილეულსაც არასოდეს გაეკარება?**

— შაქრიანი დიაბეტის წარმოშობის შესახებ თითქმის ყველა სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი აზრია გატარებული — **დიაბეტს განაპირობებს გენეტიკა და ცხოვრების წესი!** გენეტიკაში იგულისხმება მემკვიდრეობითობა, ხოლო ცხოვრების წესში — ალკოჰოლი, უმოქმედობა, ნერვული სტრესი, დაძაბული დღის რეჟიმი, ღამისთევა, ჭარბი წონა და ა.შ. ფაქტობრივად, **არავინ საუბრობს იმის შესახებ, რომ შაქრიანი დიაბეტის ძირითადი მიზეზი სწორედ შაქრის ჭარბი მიღებაა.** თუ შაქარს არ მივიღებთ, დიაბეტი საიდან უნდა განვითარდეს? დიაბეტი ხომ სისხლში შაქრის ჭარბ რაოდენობას ნიშნავს? **ასე რომ, თუ შაქარს არ მივიღებთ, შაქრის სიჭარბე საიდან გვექნება?**

ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაცია მიიჩნევს, რომ დღიურად შაქარი 6-8 ჩაის კოვზზე მეტი არ უნდა მივიღოთ! ეს ნორმა არ ითვალისწინებს იმ ფაქტორს, რომ თითქმის ყველა პროდუქტი შაქარს შეიცავს. ასე რომ, თუ 6-8 კოვზ სუფთა შაქარს დავუმატებთ იმ ნახშირწყლებს, რომელსაც საკვების სახით ვღებულობთ, მაშინ დღის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული შაქრის ოდენობა **250-270 გრამს** გაუტოლდება. ეს კატასტროფული მაჩვენებელია და ამიტომაც სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ფარული დიაბეტი, ანუ ინსულინრეზისტენტულობა მოსახლეობის 60-70 პროცენტს უდასტურდება. **რაფინირებული, სუფთა შაქარი საერთოდ არ უნდა მივიღოთ, ხოლო შაქრით მდიდარი ნახშირწყლები — პური, მაკარონი, კარტოფილი, შოკოლადი, თხილი,**

## კვირგვინოსნები

**გია ბალაშვილი**
*მუსიკოსი*



მამაჩემი **ჯემალ ბალაშვილი 82 წლის გახდა!** მამა, გილოცავ დაბადების დღეს! კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალგზის, მადლობა ყველაფრისთვის! **82 რა ასაკია?!** შენივე სიტყვებია: **„ასი წლისაც არ ვიქნები ბებერი, გული შემრჩეს ოღონდ უბერებელი!“** გულიც უბერებელი გაქვს, სულიც და შემოქმედებაც!

„ახალი თაობა“

**გია ბურჯანაძე**
*მსახიობი*



მთელი ცხოვრება ვვარჯიშობ, იმ დღესაც ვარჯიშიდან მივედი, ჩამიტარეს პროცედურა და ექიმი მეუბნება, — **შენ გაქვს მეოთხე სტადიის სიმსივნეო!** „ვარდების ხელისუფლების“ დროს, **2011 წლის 26 მაისს აქციაზე მომვარდა 12 პოლიციელი და ჰაერში ამწიეს.** საკანში ყოფნისას **სტრესისგან დაავადება დამემართა, არ იკურნება ეს დაავადება,** კანში მელანინი იკარგება, რაღაც ნაწილი მუქდება და რაღაც სულ თეთრი რჩება.

„NTV.COM.GE“

**ზურაბ ანთელავა**
*მსახიობი*



საქართველოში **36 თუ 38 თეატრია** და იქ, ალბათ, მაქსიმუმ, **100-150 საპენსიო ასაკის მსახიობი** თუ იქნება. **100 კაცისთვის არ გამოინახა საშუალება, რომ ხელფასთან ერთად პენსიაც ავიღოთ?** ყველა სხვა სპეციალობის ადამიანები იღებენ პენსიას, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობენ.

„სარკე“

**ბორენა ცერცვაძე**
*ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში*



**აზერბაიჯანელი სპორტსმენი დავამარცხე.** სანამ მას შევხვდებოდი, დედამ მითხრა — **ბორენა, გაახსენე ისტორიული მეხსიერება, ჩვენი ძირძველი ტერიტორიები დღეს აზერბაიჯანის ფარგლებშია, წარმოიდგინე, რომ შენ იბრძვი მათ დასაბრუნებლადო!** მართლაც ამ განცდით ვიბრძოლე. **ასე იყო სომეხ სპორტსმენთანაც.** ვიცი, რომ ორივე ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, მაგრამ **ისტორიული უსამართლობები დიდ ძალას მაძლევს.**

„სარკე“



# „დიაბეტით დაავადებული ადამიანი მწყობრიდან ადვილად გამოდის. განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როცა მშიერია!“

**მკვეთრად შევზღუდოთ!**

**— გლუკოზა რომ ტვინისა და კუნთებისთვის აუცილებელია?!**

— გვახსოვდეს: ორგანიზმი ენერგიის მისაღებად ორი სახის „საწვავზე“ მუშაობს — შაქარზე ან ცხიმზე! გლუკოზა ცხიმის დაწვისგანაც წარმოიქმნება, რომლის მარაგიც ორგანიზმს საკმარისზე მეტი აქვს. როდესაც ადამიანი შაქარს, ანუ ნახშირწყლებს ღებულობს, მაშინ ორგანიზმი, ცხადია, შაქრის გლუკოზას იყენებს და საერთოდ არ ხარჯავს ცხიმს. სწორედ ამიტომაა, რომ შაქრის ჭარბი მოხმარება სიმსუქნესა და ღვიძლის გაცხიმოვნებას იწვევს. მაგრამ როდესაც ორგანიზმს შაქრის მიღებას მკვეთრად შევუზღუდავთ, ის იძულებული გახდება, ცხიმზე „იმუშაოს“, ცხიმი „დაწვას“ და მისგან მიღებული გლუკოზა გამოიყენოს. ამის შედეგად ორგანიზმი ზედმეტი ცხიმისგან თავისუფლდება... პირველ რიგში, ამ გზით თავისუფლდება ღვიძლი, რომლისთვისაც ზედმეტი ცხიმი დამღუპველია და ციროზის, ფიბროზისა და კიბოსკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. თანაც ცხიმი გაცილებით უფრო კალორიულია, ვიდრე შაქარი. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება... **ადამიანის დასანაყრებლად 200 გრამი სალაც კი აბსოლუტურად საკმარისია** მაშინ, როცა რამდენიმე კილოგრამმა ხილმა და პურფუნთუშეულმა ცოტა ხანში შესაძლოა, ისევ მოგვაშიოს.

**— ე.ი. შაქარი საერთოდ რომ არ მივიღოთ, ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება?**

— არანაირად! ეს პირველ რიგში სახესა და ტანზე დაგვეტყობა... კერძოდ, სახის მომრგვალებული ფორმა გაქრება, ზედმეტი ცხიმები მოგვშორდება და უფრო ახალგაზრდულად ვიგრძნობთ თავს. ასეთ დროს ღვიძლიდან ზედმეტი ცხიმი გაილევა, აბდომინური, ანუ მუცლის ქონი გაქრება, ღიპი დაიწევს, შინაგან ორგანოებს ცხიმის „ჯავშანი“ მოშორდება და ყოველივე ამის შედეგად ქოლესტერინის დონეც მოწესრიგდება. პარალელურად ნორმაში ჩადგება არტერიული წნევა, ხოლო ათეროსკლეროზული პროცესები უკან დაიხევს. გაუმჯობესდება მხედველობა, თირკმლის ფუნქციები მოიმატებს, რადგან თირკმელი ერთგვარი ფილტრია, რომლის სისხლძარღვებსა და ნეფრონებს შაქარი „ჟანგავს“ და აზიანებს.

სიტყვა „დაჟანგვა“ აქ შემთხვევით არ გვიხსენებია. სისხლში მოხვედრილი შაქარი უკავშირდება ერითროციტებს, აზიანებს მათ და ასეთი ერითროციტები კარგავენ რკინას. გამოთავისუფლებული რკინა, თავის მხრივ, უკავშირდება სისხლძარღვების შიდა ზედაპირზე არსებულ ჟანგბადს, რაც იწვევს რკინის დაჟანგვას და სისხლძარღვების კედლების დაზიანებას. დაზიანებული სისხლძარღვების კედლებზე ადვილად ლაგდება თრომბი, ქოლესტერინი, ათეროსკლეროზული ფოლაქები და ა.შ. სწორედ ასე ყალიბდება სისხლძარღვების ანთება, **ანუ ანგიოპათია.**

შაქრის მიღების მკვეთრი შეზღუდვა აუმჯობესებს ნერვულ სისტემასაც. როგორც წესი, გლუკოზას თავის ტვინი და ნერვული უჯრედები შაქრის ნაცვლად ცხიმის გარდაქმნის შედეგად ღებულობს, რაც იწვევს კონდიტური ფუნქციების, ანუ კონცენტრაციის, მეხსიერების, ხასიათის გაუმჯობესებას.

**თუ შაქარზე საერთოდ უარს ვიტყვით და ნახშირწყლოვან საკვებს მკვეთრად შევზღუდავთ, პირველივე კვირას შევამჩნევთ, რომ ღამით მოსაშარდად ნაკლებად ან საერთოდ არ ავდგებით. უმოკლეს ხანში ვიგრძნობთ იმასაც, რომ ჭამიდან ჭამამდე შუალედი გაგვიხანგრძლივდება და შიმშილი ნაკლებად შეგვაწუხებს.** ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უშაქროდ დარჩენილი ორგანიზმი საკუთარი ცხიმების „ჭამას“ დაიწყებს. ამით ორ კურდღელს დავიჭერთ — ზედმეტ წონასაც მოვიშორებთ და შიმშილიც არ შეგვაწუხებს! თუ როგორ უნდა დავძლიოთ უშაქროდ ცხოვრება, ამის შესახებ შემდგომ ინტერვიუში ვისაუბროთ!

## „სოკო კანდიდა სწორედ შაქრით იკვებება. ამიტომაც დიაბეტიანებს სასქესო ორგანოებზე ექავებათ!“

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93    598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


მაღაზია «ბუკვინისტი»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | | 8 | |
| | | 9 | | | | | | | | | | | | | |
| 10 | 11 | | | | | 12 | | | | | | | | | |
| | | | 13 | | 14 | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | 16 | | 17 | | 18 | | 19 | | |
| | | | 20 | | | | | | | | | | | | 21 |
| 22 | | 23 | | | | | 24 | | | | | | | | |
| | | | | 25 | | 26 | | | | | | | | | |
| 27 | | | | | | | | 28 | | 29 | | 30 | | 31 | |
| | | | | 32 | | | | | | | | | | | |
| 33 | | | | | | | | 34 | | | | | | | |
| | | | | 35 | | | | | | | | | | | |
| 36 | 37 | | 38 | | | | | 39 | | | | | | | 40 |
| | | | | | 41 | | 42 | | | | | | | 43 | |
| 44 | | | | | | | | | 45 | | 46 | | 47 | | |
| | | | | | 48 | | | | | | | | | | |
| 49 | | | | | | | | | | | 50 | | | | |

თარაზულად: 1. მარადმწვანე ბუჩქი; 4. სახარების ავტორი (ძვ.); 9. ჟურძნის სასმელი; 10. შიშველი სხეულის გამოსახულება მხატვრობაში; 12. მაღალი ხმა გურულ სიმღერებში; 13. ნული ქულა; 15. ყვითელი საღებავი; 16. უმცროსი მედიცინის მუშაკი; 20. მზისგან და წვიმისგან დასაცავი; 22. ლუსტრა; 24. საფოსტო გზავნილი; 25. თაფლის დასაგროვებელი ცვილის უჯრედები; 27. ინგლისელი ფეხბურთელი; 28. ტბა ბოლივიაში; 32. წმინდა ბუმბული; 33. აივენჰოს სატრფო; 34. ჩრდ. ამერიკული დათვი; 35. მადრიდის საფეხბურთო კლუბი; 36. ზურიკელას მეგობარი (ლიტ.); 39. იტალიელი რეჟისორი; 41. საპატიმრო; 43. ყვავილი; 44. პერანგი (ძვ.); 46. ამერიკელი რეჟისორი; 48. ფრანგი მწერალი; 49. ინდიელების ნავი; 50. ამერიკელი რეჟისორი.

შვეულად: 1. ქართული ბ-ს სახელი; 2. ჩვილი ბავშვის პირველი სიტყვა; 3. გამარჯვების ქალღმერთი; 4. ყავის სახეობა; 5. ქალაქი ისრაელში; 6. ქალაქი საფრანგეთში; 7. კურდღლის ნაშიერი; 8. მბრუნავი ღერო მექანიზმში; 11. სასპორტო ნავი; 13. კამეჩის ნაშიერი; 14. მატარებლის სამოძრაო ძელი; 16. ქართული ლიტერატურული პრემია; 17. რეიგანის ცოლი; 18. ველოდრომი; 19. სპორტული შეჯიბრი მანქანებით; 21. ინდუიზმის ღვთაება; 22. კნოპი; 23. წვიმის „წყარო“; 25. სევილიელი დალაქი; 26. ბოსტნეული; 28. ქართველი პოეტი; 29. ნიხრი; 30. ფრანგული ყურძნის ჯიში; 31. დახვეული გრძელი თმა; 37. მუზეუმი პარიზში; 38. ხომალდის ტვირთი; 40. ამერიკელების მეტსახელი; 41. საბავშვო მარხილი; 42. ეპოქა; 45. სასიგნალო ტივტივა; 46. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 47. ხელოვნური ენა.

*თარაზულად: 1. ბზა; 4. მახარებელი; 9. ღვინო; 10. ნიუ; 12. კრიმანჭული; 13. ზერო; 15. ოხრა; 16. სანიტარი; 20. ქოლგა; 22. ჭაღი; 24. ბანდეროლი; 25. ფიჭა; 27. კოული; 28. ტიტიკაკა; 32. გერმა; 33. როენა; 34. ბარიბალი; 35. რეალი; 36. ილიკო; 39. ძეფირელი; 41. ციხე; 43. ია; 44. კვართი; 46. ბეი; 48. გონკური; 49. პიროგა; 50. სკოტი.*
*შვეულად: 1. ბან; 2. ალუ; 3. ნიკე; 4. მოკო; 5. ხაიფა; 6. რუანი; 7. ბაჭია; 8. ლილვი; 11. იახტა; 13. ზაქი; 14. რელსი; 16. საბა; 17. ნენსი; 18. ტრეკი; 19. რბოლა; 21. შივა; 22. ჭიკარტი; 23. ღრუბელი; 25. ფიგარო; 26. ჭარხალი; 28. ტაბიძე; 29. ტარიფი; 30. კაბერნე; 31. კულული; 37. ლუვრი; 38. კარგო; 40. იანკი; 41. ციგა; 42. ხანა; 45. ბუი; 46. ბის; 47. იდო.*

## კვირგვინოსნები

**სალომე გოგიაშვილი**
*ყოფილი ტელეწამყვანი*



**უამრავი ჩემი ნაცნობი, ჩემი თანატოლი და უმცროსიც გარდაიცვალა, ვისაც შვილები დარჩა.** ამან ძალიან შემაშინა, ამიტომ ვიფიქრე, რომ მცირეოდენი მაინც გადამედო თითოეულის სახელზე. **თუნდაც ეს იყოს თვეში 5-10-20 ლარი სრულწლოვანებამდე** ან, როცა მათ შეეძლებათ ამ თანხის მოხმარება.

„სარკე“

**ნუცა კაკაბაძე**
*მსახიობი*



**მადლობელი ვარ ამერიკის, რომ მიიღო ემიგრატები საქართველოდან, მათ შორის, მეც და მომცა საშუალება, ლეგალურად მეცხოვრა ქვეყანაში.** ამ სიკეთეს არასდროს დავივიწყებ, მაგრამ, ვფიქრობ, **როგორი ლამაზი, როგორი კარგიც უნდა იყოს დედინაცვალი, ჩემი გაჭირვებული, ხანდაზმული დედა მირჩევნია.**

„სარკე“

**გიორგი გასხულია**
*დიზაინერი*



საქართველოში საშინელი სიტუაცია, **მეზიზღება, აქ რომ ჩამოვდივარ, აეროპორტშივე სუნთქვა მეკვრის,** რომ ასეთი გაავებული და საზიზღარი ხალხი გავხდით ქართველები! რა ევროპაზე და რა თანამედროვეობაზე გვაქვს ამბიციები, **რუსეთიც კი ზედმეტია ჩვენთვის!**

„ახალი თაობა“

**დავით ველიჯანაშვილი**
*მსახიობი*



ვიღაც ქუჩაში ან სუპერმარკეტში რომ გამიღიმებს და მკითხავს, შეიძლება, შენთან ერთად ფოტო გადავიღოო ან თბილ სიტყვებს მეტყვის, სულ მიჩნდება სურვილი, გკითხო, **საიდან მიცნობს?** ხანდახან ვეკითხები კიდეც და ზოგს რა უთქვამს, ზოგს კი — რა. ვიღაცებს ისიც უთქვამთ, **არ ვიცი, საიდან, მაგრამ მეცნობით.**

„თბილისელები“



## მიხეილ ცაგარელი:

# პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

*— მომდევნო წლებში პლანეტა პლუტონის მერწყულის ზოდიაქოში მოძრაობის პერიოდში კირჩხიბი რისგან უნდა გათავისუფლდეს და რა უნდა გააცნობიეროს? როგორ დაეხმარებიან ახლობლები? რისი შესაძლებლობები მიეცემა და პლუტონის ზეგავლენის შედეგად წარმატებას სად პოვებს? ლომთან მიმართებით მომდევნო წლებში პლუტონის ზეგავლენა უმთავრესად რას დაუკავშირდება? რა უნდა დაასრულოს? რისი გაცხრილვა და ვისი შემოკრება მოუწევს და რას უქადის ამგვარი კავშირები? ქალწულს სანუკვარი მიზნებისა და ოცნებების ასრულებაში რა დაეხმარება? მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რომელი წლები იქნება? პლანეტა პლუტონი რას გაუძლიერებს, რაზე დააფიქრებს? რას უნდა მოახმაროს პლუტონის ენერგია? სასწორის ნიშნით დაბადებული რას შეიგრძნობს? რის გაერთიანებას შეძლებს? მის ცხოვრებაში რა გამოჩნდება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ მომავალი წლიდან პლანეტა პლუტონის დიდი ხნით მერწყულის ზოდიაქოში გადანაცვლება როგორ აისახება ზოგადად ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელზე და ამასთან დაკავშირებით რისი გათვალისწინება გვმართებს?**

— 4. **კირჩხიბს მოუწევს ამ პერიოდში ძველი შიშებისგან გათავისუფლება, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იქნება სითამამისა და გამბედაობის გამოვლენა, რათა შიშს თვალებში ჩახედოს და გააცნობიეროს, რომ უმეტესი მათგანი გამოგონილი და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია და გაუბედაობა, ზედმეტი თავმდაბლობა, სიმორცხვე და გაურკვევლობა მხოლოდ ხელს უშლის ცხოვრებაში. მას ამგვარი სისუსტეების დაძლევაში ახლობლები დაეხმარებიან. შესაძლოა, ზოგიერთ მათგანთან აკავშირებდეს ფინანსური ინტერესი, საერთო ბიუჯეტი, კაპიტალი, სესხები, ინვესტიციები და ა.შ.** გარდა ამისა ამ პერიოდში შესაძლებელი იქნება კარიერული აღმასვლა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **პლუტონი კირჩხიბს** ნიჭსა და თვითგამოხატვის უნარს გაუძლიერებს. **ნებისმიერი შემოქმედებითი საქმიანობა ან ხელოვნების დარგები** (კინო, მუსიკა, დიზაინი), **თუ სულიერი ენერგიის ნებისმიერი შერწყმა კულტურასთან კირჩხიბს დიდ წარმატებას უქადის.** იგი ახალი ტენდენციების გამო ევოლუციურ პროცესებს უფრო მძაფრად შეიგრძნობს. ყველაფერი, რაც წინა პერიოდში ისწავლა, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ნიშანდობლივია, რომ **პლანეტა პლუტონის მერწყულის** ზოდიაქოში მოძრაობის პერიოდში კირჩხიბიც და მათი საქმიანობაც უფრო მოთხოვნადი გახდება.

**5. ლომს რაც შეეხება, პლუტონი მის საწინააღმდეგო მეშვიდე ასტროლოგიურ სახლში დამკვიდრდება, ამიტომ მომავალ წლებში ამ პლანეტის გავლენა უმთავრესად დაუკავშირდება საქმიან და პირად პარტნიორულ თემას. თვითრეალიზაცია კი ამ პერიოდის აუცილებელი დანამატი იქნება. ამგვარად, მნიშვნელოვანი გახდება საქორწინო ურთიერთობა. მყარი კავშირი კიდევ უფრო გამყარდება. საეჭვო, ტოქსიკური კავშირი კი უმჯობესია, მალე დასრულდეს, რათა ადგილი გაათავისუფლოს სანდო, ურყევი სიყვარულით აღსავსე თანაცხოვრებისთვის.** გარდა ამისა, მოძველებული შეხედულებებისა და გულუბრყვილობის პერიოდი დასრულდა, ამიტომ ფსიქოლოგიური წნეხები, გამოგონილი მიჯაჭვულობა და სენტიმენტალური მოგონებანი არასაკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ საკუთარ თავს და სხვასაც არ მისცეს სრულფასოვნად ცხოვრების საშუალება. თუმცა, **ლომს** მოუწევს, შემოიკრიბოს არა უბრალოდ თანამოაზრენი ან გულშემატკივარნი, არამედ თავისნაირი ენერგეტიკის მქონე აქტიური და შემოქმედი ადამიანები. თუ დროულად გაცხრილავს სანაცნობო წრეს შემთხვევითი ნაცნობებისგან, აუცილებლად აღმოაჩენს იმ ადამიანებს, რომლებთანაც საერთო ფასეულობები აკავშირებს და ვისთანაც შემდგომ საქმიანი ან სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოუყალიბდება. სწორედ ასეთ ადამიანებს შორის შეიძლება მოიძიოს მფარველები, მასწავლებელი, კომპანიონი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნებისმიერი ასეთი კავშირი ამბიციურ ლომს ახალ კარიერულ პერსპექტივას უქადის.

**6. ქალწულის ნიშნით დაბადებული თავდაუზოგავად იშრომებს. წარსულში მიღებული ცოდნა-გამოცდილება დაეხმარება შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებასა და სწორ დაგეგმარებაში, რის შედეგადაც მომავალში სანუკვარი მიზნებისა და ოცნებების ასრულებას შეძლებს.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **პლანეტა პლუტონი** გააძლიერებს მის ამბიციებს, ნებისყოფას, მტრული გარემოს შიშებისგან გაათავისუფლებს, რის შედეგადაც უფრო ფსიქოლოგიურად ძლიერი ქმედითუნარიანი და მიზანსწრაფული გახდება. გრანდიოზული გეგმების განხორციელების სურვილი გაუჩნდება. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემდგომი ხუთი წელიწადი იქნება.** თუ მოახერხებს ავტორიტეტის ამაღლებასა და სამუშაო გუნდში კონფლიქტების თავიდან აცილებას, სერიოზულ კარიერულ აღმასვლას შეძლებს. **2032 წლამდე** პერიოდში კი ძალზე დიდი წარმატების მიღწევას შეძლებს იმ სფეროებსა თუ თემებში, რომლებზეც დიდი ხანია, ფიქრობდა, ამუშავებდა და გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობების გამო ვერ ახორციელებდა სასურველს. გარდა ამისა, **ქალწულის ნიშნით დაბადებულს პლანეტა პლუტონის** გავლენა დააფიქრებს ცხოვრების სტილის შეცვლაზე. ზოგიერთი მათგანი ყოველდღიურად დაიწყებს ახალი ტექნოლოგიების ინტენსიურად გამოყენებას. ზოგიერთი კი გადაწყვეტს მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებას. **კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობას მეტ დროს დაუთმობს,** რამეთუ ამ პერიოდში შესაძლებელი იქნება ზოგიერთი დაავადებისგან სრულად განკურნება. ავადმყოფობა კი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ რაღაცას არასწორად აკეთებს, არასწორი გზით მიდის. ამ შემთხვევაში **ქალწულმა პლუტონის ენერგია** უნდა გამოიყენოს საკუთარი ცხოვრებისა და ჩვევების, კარიერული საკითხების ტრანსფორმაციისთვის და არასასურველი, ტოქსიკური ურთიერთობებიც მარტივად გაწყდება.

**7. სასწორს რაც შეეხება, მისი შინაგანი წონასწორობა ხშირად ბოლო წლებში ირღვეოდა. ამას ემატებოდა, როგორც ყოფითი, ისე საქმიანი, ფინანსური თუ შემოქმედებასთან დაკავშირებული სირთულეები. ახლა კი არამარტო შვებას, არამედ ფანტაზიების, ახალი იდეების მოზღვავებას იგრძნობს. ეს იქნება ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ახალი პროექტების დასაწყებად, სადაც შემოქმედებითი ხედვის ბიზნესთან გაერთიანებას შეძლებს. ამავდროულად, პირად ცხოვრებასა და სამუშაოს შორის დაისადგურებს ის ბალანსი, რომელიც უფრო ჰარმონიული ცხოვრების საშუალებას მისცემს.** გარდა ამისა, გამოჩნდება ახალი გატაცებები, ახალი ნაცნობები, ახალი საქმიანობა. ზოგიერთი მათგანი იდეალურ სასიყვარულო პარტნიორს იპოვის. ძველი კავშირიც კი ან ამოწურავს თავს და უმტკივნეულოდ გაილევა ან უფრო სერიოზულ და ოფიციალურ სახეს მიიღებს. გარდა ამისა, **სასწორის** ახალი იდეები, გამოგონებები უფრო ფართო გამოხმაურებას პოვებს. შორეული მოგზაურობები ანდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მივლინებები კი სასწორის ნიშნით დაბადებულებზე მეტად დადებითად იმოქმედებს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

### 25 სექტემბერი – 1 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
კარიერული ზრდის პერიოდია. თამამად განახორციელეთ ჩანაფიქრი, რათა მშვიდად იყოთ მომავალში. ემოციები კი აკონტროლეთ და არ იკამათოთ. შესაძლოა, მოგზაურობისას სასიყვარულო კავშირი დაამყაროთ. მიუხედავად ამისა, უმჯობესია, ჯანმრთელობას მეტი ყურადღება დაუთმოთ, რადგან კარგი პერიოდია ძველი ქრონიკული დაავადებისაგან გათავისუფლებისთვის.

**კურო** (21.04-20.05)
ახლობელთა შემოთავაზებებს მეტი ყურადღება მიაქციეთ. არსებული ვითარება გამოიყენეთ და მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესეთ. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის, სახლში რემონტისთვის ან ინტერიერის შეცვლისთვის. გადაწყვეტილების მიღებაში და მიზნის მიღწევაში გამოცდილი ადამიანები დაგეხმარებიან. გზაში ან მოგზაურობის დროს დამყარებული ურთიერთობა შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ცნობისმოყვარეობითა და პრაქტიკულობით ბევრ საქმეს თავს გაართმევთ. ფიზიკური და შემოქმედებითი აქტიურობის დროა, როდესაც ხელი შეეწყობა პარტნიორული ურთიერთობის დამყარებასა და ჩანაფიქრის განხორციელებას. ოჯახის წევრები სიყვარულსა და სითბოს არ დაინანებენ, შემოსავლებიც იმატებს. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალოთ ანდა სამოგზაუროდ გაემგზავროთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეს კვირა გამორჩეული იქნება ბევრი კონტაქტებით, ხანმოკლე მოგზაურობებით და ახალი ნაცნობობით. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის გასაკაჟებლად და გარეგნობის შესაცვლელად. გონებახვილობით, იუმორითა და დიპლომატიურობით ბევრ ადამიანს მოხიბლავთ. ამავდროულად, ნუ გადაიღლებით და მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ჯანმრთელობა გაგიუმჯობესდებათ და ენერგიაც მოგემატებათ. საბანკო და ფინანსურ საქმეს თამამად გაართმევთ თავს. თავდაჯერება და მიზანსწრაფვა დაგეხმარებათ როგორც პირად ურთიერთობებში, ისე სიყვარულში. კარგი პერიოდია იდეების განხორციელებისთვის, სასიყვარულო პარტნიორის მოძიებისთვის, მეგობრებთან ერთად დროსტარებისთვის, სპორტისთვის, გადაადგილებებისა და აქტიურად მოქმედებისთვის.

**ქალწული** (24.08-23.09)
ურთიერთობებისა და აქტიურად მოქმედების დროა. კარგი იქნება, თუ დროს განათლებასა და განვითარებას დაუთმობთ. იმატებს დაინტერესება რელიგიისა და ფარული მეცნიერებების მიმართ, საზოგადოებრივ შეხვედრა-პრეზენტაციებსაც ნუ მოსწყდებით. სასიკეთო იქნება ასევე სპორტული ვარჯიში და ბუნების წიაღში სეირნობა. ახალი სასიყვარულო კავშირები კი ხანგრძლივი არ იქნება და შესაძლოა, ოჯახის წევრებთან მიმართებით პრობლემა შექმნას.

### 25 სექტემბერი – 1 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა გაუმჯობესდება და ხიბლი, სასიცოცხლო პოტენციალი და პოპულარობაც გაიზრდება. კომფორტის, დაცულობის და მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნილებაც მოიმატებს. გართობა შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ, მოგზაურობა კი შესაძლოა, არამარტო საინტერესო, არამედ ამაღელვებელიც აღმოჩნდეს და ბევრი პოზიტიური შეგრძნება დაგიტოვოთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმეების რეალიზება პარტნიორის დახმარებით გაგიადვილდებათ. კარგი პერიოდია გადაადგილებებისა და ახალი კავშირების დასამყარებლად, ოღონდ ემოციები გააკონტროლეთ და ექსტრემალურ გართობასა და რისკს მოერიდეთ. სასიყვრულო ურთიერთობა შემოქმედებისა და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის სტიმული იქნება. საქმეში წარმატება დამოკიდებული იქნება კონტაქტურობასა და გულღია, კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ენერგოპოტენციალი მოგემატებათ და თავს სანაქებოდ იგრძნობთ. დამატებითი შემოსავლის წყარო ინდივიდუალურ საქმიანობას დაუკავშირდება. ამ პერიოდში დიდია ოჯახში სიახლის ალბათობა. ეცადეთ, ფინანსებზე ნაკლებად იფიქროთ და მუდმივად წვრილმანთა გამო არ იწუწუნოთ. შორეული მოგზაურობა თქვენს სტიქიაში გაგრძნობინებთ თავს. შესაძლოა, ემიგრაციაზეც დაფიქრდეთ. კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენად.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საინტერესო შეხვედრებისა და ახალი ნაცნობობის დროა, თუმცა, ხელშეკრულების დადება და საქმის დაწყება წარმატებული არ იქნება, რადგან სხვების აზრის გათვალისწინებას არ მოისურვებთ. ყურადღებას მოითხოვს მეუღლესთან ან შეყვარებულთან გამწვავებული ურთიერთობა, რაც შესაძლოა, ჯანმრთელობაზეც აისახოს. დაძაბულობისგან გათავისუფლების მიზნით, მუსიკას უსმინეთ ან ბუნების წიაღში ისეირნეთ. შორეული მოგზაურობა კი გადადეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ხშირი გადაადგილებები და კონტაქტები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას დაუკავშირდება, რაც ოჯახის წევრთა გაკვირვებას ან უკმაყოფილებას გამოიწვევს. კარგი განწყობა ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდად დასრულებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, კონტაქტებისთვის და ახალი ინფორმაციის შეგროვებისთვის. შეყვარებულთან ერთად რომანტიკული თავგადასავლები კი ცხოვრებას გაგიხალისებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
კარგი პერიოდია სამსახურში მდგომარეობისა და საერთო სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ფინანსურ მოგებას ხანგრძლივი პროექტები მოგიტანთ. საქმის დაწყება უმჯობესია, გადადოთ. სახლში დიზაინის განახლება ან მშენებლობა სიტუაციას გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანს შეგიძლიათ, თამამად გული გადაუშალოთ, სიურპრიზები მოუწყოთ და ისიც დაუვიწყარი შეგრძნებებით უხვად დაგაჯილდოვებთ. მოკლე მანძილზე მოგზაურობებიც კარგად ჩაივლის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**26, 28, 29 სექტემბერი და 1 ოქტომბერი**

15 სექტემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 05.40 საათზე;
29 სექტემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.58 საათზე.

# ასტროლოგიური კვირა

## 25 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 18.54 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.32) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 17.04 საათზე, ჩადის 26 სექტემბერს 01.13 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 18.48 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 03.32 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს კარგი დღეა ბოდიშის მოხდისა და შეცდომების აღიარებისთვის. ხელი შეეწყობა მოლაპარაკებებს, პრეზენტაციებს. იმატებს ხიბლი, მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზები, რაც მომავალში ხელის თხოვნით დაგვირგვინდება. დღეს შესაძლებელია, საქმეში წარმატებას მიაღწიოთ, აგრეთვე სურვილებიც ახდეს. ამავდროულად, დღეს და ხვალ მჭრელ საგნებთან მიმართებით სიფრთხილე გმართებთ. კარგი დღეა ნოვატორობისთვის, განცხადება-რეკლამებისთვის, ელექტრო და აირდანადგარების, კომპიუტერის შესაძენად, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, მეცნიერული კვლევისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფორიაქი, ზედმეტი ლაპარაკი, ფანტაზიორობა. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ციტრინი, ცირკონი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 26 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 17.39 საათზე, ჩადის 27 სექტემბერს 02.33 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 19.02 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.38 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სამყარო თქვენი გეგმების სიმტკიცეს შეამოწმებს. ზედმეტი სიამაყე, ამპარტავნობა დაიოკეთ. კანონი დაიცავით, რათა უახლოეს პერიოდში არ დაჯარიმდეთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ მიღებულ ახალ დავალებას. შესაძლებელია უჩვეულო სიტუაციაში უცნაური შეხვედრაც. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, ცურვა. კარგი დღეა საზოგადოებრივ-რეფორმატორული საქმიანობისთვის, ელექტრო, აირაპარატურის, კომპიუტერის შესაძენად, პროგრამული სისტემის ასათვისებლად, მეცნიერული კვლევებისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფორიაქი, ზედმეტი ლაპარაკი, თვალების გადაღლა, ფეხზე დიდხანს დგომა, ფანტაზიორობა, საიდუმლოს გათქმა, დასაძინებელი საშუალებების გამოყენება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ციტრინი, ძოწი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 27 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 18.50 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.24) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 18.08 საათზე, ჩადის 28 სექტემბერს 03.54 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 19.12 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 04.24 საათამდე. **ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, ფინანსური შეცდომის დაშვების ან მოტყუების ტენდენცია არსებობს. დღეს და ხვალ ზედმეტად აქტიური ნუ იქნებით. თქვენი ცხოვრება გაიაზრეთ, ახლობლებს, შვილებს მეტი დრო დაუთმეთ. შედეგიანი იქნება კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. კარგი დღეა ახალი კონტაქტების დასამყარებლად, შემოქმედებისთვის, ხელსაქმეობისთვის, კულინარიისთვის, ქორწინებისთვის, მოგზაურობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის. არ არის სასურველი ექოსკოპია, ანალიზების ჩაბარება, სესხის აღება ან გაცემა, ახალი საქმის დაწყება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 28 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 18.49 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 18.33 საათზე, ჩადის 29 სექტემბერს 05.15 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.20 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.55 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყური უგდეთ გამოცდილ ადამიანთა რჩევებს. მაღალია ფინანსური სიურპრიზების ალბათობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ქველმოქმედებისთვის, ძველი ნივთებისგან გასათავისუფლებლად, სახლის კეთილმოსაწყობად, კაპიტალდაბანდებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, სპონსორის მოძიებისთვის. არ არის სასურველი ექოსკოპია, ანალიზების ჩაბარება, ბევრი სითხის, ალკოჰოლის მიღება, საიდუმლო საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 29 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.55 საათზე, ჩადის 18.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.20) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 18.57 საათზე, ჩადის 30 სექტემბერს 06.34 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.27 საათზე. **სავსემთვარეობაა, პიკი** — 13.58 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 04.17 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: სავსემთვარეობის** მძიმე ენერგიები განაპირობებენ დეპრესია-აგრესიას, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ტრავმებს, ავარიებს, პროვოკაციებს. არ არის სასურველი საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სესხის აღება-გაცემა, კამათი, წესების დარღვევა, მნიშვნელოვანი საქმის კეთება. სასიკეთოა ლოცვა, შენდობის თხოვნა, მიტევება. დღე მშვიდად გაატარეთ. სხვათა აზრსა და უფლებებს პატივი ეცით. კარგი დღეა ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ხილის საკრეფად, რთვლის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, გიშერი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 30 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 19.21 საათზე, ჩადის 1 ოქტომბერს 07.51 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 19.34 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** გამახვილებულია ინტუიცია, ექსტრასენსორული მონაცემები, სექსუალური ენერგია. აკონტროლეთ ემოციები. მეტი გულისხმიერება, მოთმინება გამოავლინეთ. ეფექტური იქნება თირკმლების, ენდოკრინული სისტემის, ყელის, კანის მკურნალობა. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ხილის საკრეფად, რთვლისთვის, სპორტული ვარჯიშისა და ღონისძიებებისთვის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმლის, მჭრელი საგნების შესაძენად. ამავდროულად სულიერად და ფიზიკურად ნუ გადაიღლებით, თვალებს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სერდოლიკი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.57 საათზე, ჩადის 18.44 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.16) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 19.47 საათზე, ჩადის 2 ოქტომბერს 09.08 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 19.44 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.50 საათიდან 05.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების დანახვა, მოვლენები წარმოაჩენენ თქვენს ღირსებებსა და სისუსტეებს. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, მასაჟისა და არომათერაპიისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებანი, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, განკითხვა, გაბრაზება, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა. აკონტროლეთ საფულე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მარგალიტი, ონიქსი, მალაქიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ 25 სექტემბერი. ორშაბათი. **წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულისა; გიორგი ჭყონდიდელისა, დავით აღმაშენებლის მოძღვრისა, მწიგნობართუხუცესისა;** მღვდელმოწამისა დოსითეოზ თბილელისა; მღვდელმოწამისა ავტონომოსი, იტალიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა იულიანესი და მისთანა 40-თა მოწამეთა; მოწამისა თეოდორე ალექსანდრიელისა; მღვდელმოწამისა კორნუტისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა.



26 სექტემბერი – ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის ტაძრის განახლებისა იერუსალიმში

✝ 26 სექტემბერი. სამშაბათი. **ენკენია, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმიდა ტაძრის განახლებისა იერუსალიმს. წინადღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვარის ამაღლებისა. წმიდისა დიდმოწამისა, საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა;** მღვდელმოწამისა კორნილი ასისთავისა; მოწამეთა: კრონიდესი, ლეონტისა და სერაპიონისა; მოწამეთა სელევკისა და სტრატონიკესი; მოწამეთა მაკროვისი და გორდიანესი; მღვდელმოწამისა ივლიანე ხუცისა; მოწამეთა: ელიასი, ზოტიკესი, ლუკიანესი და ვალერიანესი.



28 სექტემბერი – მღვდელმთავრისა ამბა იოსებ ალავერდელი ეპისკოპოსისა, ათცამეტ ასურელ მამათაგანისა

✝ 27 სექტემბერი. ოთხშაბათი. **მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. ჯვართამაღლება. მიცვალება იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.**

✝ 28 სექტემბერი. ხუთშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ჯვართამაღლებისა.** ამბა იოსებისა, ალავერდელი ეპისკოპოსისა; დიდმოწამისა ნიკიტასი; პოვნა წმიდათა ნაწილთა აკაკი აღმსარებელისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: მაქსიმესი, თეოდოტესი და ასკლიადისა; მოწამისა პორფირისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა პირველმოწამისა მთავარდიაკონისა სტეფანესი; ღირსისა ფილოთეოზ ხუცისა, მცირეაზიელისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 29 სექტემბერი. პარასკევი. მოწამეთა ძმათა ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუქალაქს წამებულთა; დიდმოწამისა ევფემია ყოვლადქებულისა; მოწამისა სევასტიანასი; მოწამისა მელიტინასი; მოწამეთა ვიქტორისა და სოსთენისა; ღირსისა დოროთესი, მეგვიპტელი მეუდაბნოისა; მოწამისა ლუდმილასი, ჩეხთა დედოფლისა.

✝ 30 სექტემბერი. შაბათი. მოწამეთა: პისტისა, ელპიდისა, აღაპისა და დედისა მათისა სოფიოსი; მოწამეთა თეოდოტიასი და აღათოკლიასი. 156-თა მოწამეთა: პელისი და ნილოსისა, მეგვიპტელ ეპისკოპოსთა, ზენონ ხუცისა, პატერმუთისი, ელიასი და სხვათა.

✝ 1 ოქტომბერი. კვირა. **წმიდისა დიდმოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმიდათა ორთა ძმათა მოწამეთა შალვასი და ელიზბარისა, ქსნის ერისთავთა;** ღირსისა ევმენი სასწაულმოქმედისა, ჰორტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა არიადნასი; **მოწამეთა სოფიოსი და ირინესი;** მოწამისა კასტორისა.












**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. მაზინა; 10. სარაგოსა; 11. ფურისოდე; 12. რერიხი; 13. კუპიდონი; 15. პომადა; 16. ტრაპიზონი; 17. მოტოროლა; 21. კალასი; 22. მორიკონე; 24. გალაქტოზა; 25. ბეცი; 27. თინათინი; 30. კაკაბაძე; 34. პასტა; 36. გერმანია; 37. ტრიბუნალი; 38. ლამპა; 39. კოლორადო; 43. მარადონა; 47. ნოხი; 49. კინოლოგი; 50. გალაქტიკა; 51. სერობა; 52. ჯიქანი; 55. დონ; 56. დარკი. 57. კიაზო; 58. ირიდა; 59. ურანოსი.

შვეულად: 1. კარუზო; 2. ვალიკო; 3. ბოროტო; 4. მარიტა; 5. ზარნაშო; 6. ნაწშირი; 7. ტროპიკები; 8. ასიმილაცია; 9. ადიდასი; 14. ფოტონი; 17. მაგი; 18. ტალღა; 19. რიქშა; 20. ლიოტა; 22. მათე; 23. რანჩერო; 26. კრანახი; 28. თამრო; 29. ნინია; 30. კარმა; 31. კობრა; 32. ბანქო; 33. ძალუა; 34. პალო; 35. სამბო; 39. კაი; 40. ლეონი; 41. რბოლა; 42. დაისი; 43. მაგიდა; 44. როლანი; 45. დუქანი; 46. ნაიადა; 47. ნართი; 48. ხაბაზი; 49. კადრი; 52. ჯიუ; 53. ქვა; 54. ნეო; 57. კი.

**კამათიკანიბალისტაკატონიანგიომალოკალიამალა**
**კერამიკადომრავალიკოკორიდარაბატიარარატიანი**

| პოლემიკა | კატიჭამია ველური | წყვეტილად, მოწყვეტით (მუს.) | დიდი ქვეწარმავალი | სოფელი ახმეტის რაიონში | მავნე მწერი | ხერხემლის ძვალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მწვა-ნილი | თხის ნაშიერი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | რომის პოლიტიკური მოღვაწე | კეთილთვისებიანი სიმსივნე | კაფე, სასაუზმე გერმანიაში | მეფის მხლებლები |



**თარაზულად:** 4. იტალიელი მსახიობი ქალი, კაბირიას როლის შემსრულებელი; 10. ქალაქი ესპანეთში; 11. მორთულ-მოკაზმული კიმონო; 12. რუსი მხატვარი; 13. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 15. ტუჩის საცხი; 16. ქალაქი თურქეთში; 17. მობილური ტელეფონების ამერიკული ფირმა; 21. ბერძენი მომღერალი ქალი (საოპერო); 22. იტალიელი კომპოზიტორი; 24. ერთ-ერთი მარტივი შაქარი; 25. ახლომხედველი; 27. ავთანდილის სატრფო („ვეფხისტყაოსანი“); 30. ქართველი მხატვარი; 34. ნივთიერების ცომისებრი მასა; 36. ევროპის სახელმწიფო; 37. სამხედრო სასამართლო; 38. გასანათებელი ხელსაწყო; 39. აშშ-ის შტატი; 43. არგენტინელი ექსფეხბურთელი; 47. ხალიჩა; 49. მეძაღლეობის სპეციალისტი; 50. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 51. ლეონარდო და ვინჩი „საიდუმლო ...“; 52. ცური; 55. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი; 56. ფრანგი გმირი ქალი; 57. პერსონაჟი ფალიაშვილის ოპერისა „დაისი“; 58; ცისარტყელას ქალღმერთი (ბერძ. მით.); 59. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

**შვეულად:** 1. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 2. ბუბა კიკაბიძის როლი ფილმში „მიმინო“; 3. ნ. ბარათაშვილი — „სულო ...“; 4. გედიას სატრფო („ნატვრის ხე“); 5. დიდი ბუ (ძვ.); 6. მყარი საწვავი; 7. დედამიწის სფეროს ყველაზე უფრო ცხელი სარტყელი; 8. რომელიმე ხალხის გათქვეფა სხვა ხალხში; 9. გერმანული სპორტული ნაწარმის ფირმა; 14. სინათლის კვანტი; 17. ჯადოქარი, მისანი; 18. ზვირთი; 19. ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 20. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 22. სახარების ერთ-ერთი ავტორი; 23. რანჩოს მეპატრონე; 26. გერმანელი ფერმწერი; 28. პეპიას ქალიშვილი („გლახის ნაამბობი“); 29. კოლუმბის ხომალდი; 30. ბედისწერა ბუდიზმში; 31. სათვალიანი გველი; 32. კარტი; 33. ბიცოლა (კუთხ.); 34. მოკლე და მსხვილი ჯოხი; 35. ჭიდაობის სახეობა; 39. ვაჟა-ფშაველა „... ყმა“; 40. ფილმი ჟან რენოს მონაწილეობით; 41. სპორტული შეჯიბრი ავტომობილებით; 42. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 43. ავეჯის სახეობა; 44. ფრანგი მწერალი; 45. წვრილი სავაჭრო ძველად; 46. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 47. დართული ძაფი; 48. პურის მცხობელი; 49. ფილმის ცალკე სცენა; 52. ორთაბრძოლის სახეობა ... ჯიცუ; 53. მაგარი ქანი; 54. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს; 57. დასტურის სიტყვა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| გამომწვარი თიხის ნაკეთობანი | რუსული ხალხური საკრავი | კიკაბიძე ფილმში „მიმინო“ | ხარების ბრძოლა | ყვავილნარის ზოლი ქუჩის გაყოლებაზე | სომხეთის საფეხბურთო კლუბი | ა-ს სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცეცხლის დასანთები ადგილი | იაპონიის იმპერატორების ტიტული | ბევრი | გაუშლელი ყვავილი | ფანჯრის ხის საფარი | რომის პაპის გვირგვინი | ქართველი ისტორიკოსი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




**WWW.ASAVALI.COM**

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვაარბიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 25 სექტემბერი – 1 ოქტომბერი №42 (1506)
გამოდის ორშაბათობით
2 009882 637296

მეცნიერება "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

